

კათოლიკე ეპისტოლეები

ზოგიერთი ეპისტოლეს „კათოლიკედ“ წოდების მნიშვნელობა

„კათოლიკეს“ სახელში იგულისხმება წმ. მოციქულთა მიერ დაწერილი 7 ეპისტოლე: ერთი – იაკობის მიერ, ორი – პეტრეს მიერ, სამი – იოანე ღვთისმეტყველის მიერ და ერთი – იუდას მიერ. ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა შედგენილობაში ისინი ჩვეულებრივ განთავსებულნი არიან, ჩვენ მართლმადიდებლურ გამოცემებში, უშუალოდ „საქმე მოციქულთას“ შემდეგ. სახელწოდება „კათოლიკე“ მიენიჭა ამ ეპისტოლეებს არა თვით დამწერთა მიერ. ასე მათ ეწოდათ შემდგომში ეკლესიის მიერ, მაგრამ, უეჭველად, ძალიან ადრე. საეკლესიო ისტორიკოსის, ევსევის (V,18) მოწმობით, ჯერ კიდევ მეორე საუკუნის მწერალმა აპოლონმა, ამხილებდა რა ერთ მონტანისტს, თქვა, რომ მან, მოციქულ იოანეს მიბადებით, დაწერა კათოლიკე ეპისტოლე.

რა გააზრებით ეწოდა ზემოთხამოთვლილ მოციქულთა ეპისტოლეებს „კათოლიკე“?

ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი მწერალთაგან კლიმენტი ალექსანდრიელი „კათოლიკეს“ უწოდებს იერუსალიმში მოციქულთა კრების ეპისტოლეს, რომელიც მიმართული იყო ანტიოქიის, სირიის და კილიკიის ქრისტიანებზე, რაზეც მოგვითხრობს საქმე მოციქულთას 15-ე თავი. რამდენადაც ეს ეპისტოლე მიმართული იყო არა რომელიმე კერძო პირისადმი ან ცალკეული ეკლესიებისადმი, არამედ საერთოდ მთელი ქრისტიანული საზოგადოებისადმი, ამიტომაც, ცხადია, რომ „კათოლიკე“ აქ გამოყენებულია „მომცველის“ მნიშვნელობით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იაკობის ეპისტოლე, პეტრეს, იოანეს და იუდასი იმიტომ იწოდება „კათოლიკედ“, რომ ისინი მიმართულნი იყვნენ არა ცალკეული ეკლესიებისადმი, არამედ ყველა ქრისტიანისადმი. „კათოლიკედ“ „მომცველის“ მნიშვნელობით იწოდება პეტრეს პირველი და იოანეს პირველი ეპისტოლეები ორიგენესთან და დიონისე არეოპაგელთან. ეპისტოლეთა მთელი შედგენილობა, ამჟამად ცნობილი „კათოლიკეს“ სახელის ქვეშ, პირველად ამ სახელით ნახსენებია ისტორიკოს ევსევთან. თუმცა, იოანეს მეორე და მესამე ეპისტოლეს აქვს კერძო დანიშნულება და ვერ ექცევიან ასეთი დასახელების „კათოლიკეს“ მნიშვნელობაში, ისინი მიერთებულნი არიან იოანეს პირველ კათოლიკე ეპისტოლესთან, როგორც მის გაგრძელებად.

განსხვავებული ხასიათი კათოლიკე ეპისტოლეებისა წმ. მოც. პავლეს იმაშია, რომ ისინი შეიცავენ უფრო საერთო და საფუძვლიან სარწმუნოებრივი მოძღვრებით დარიგებებს, მაშინ როდესაც წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეებს, უფრო სპეციალური ხასიათი აქვს, თუმცა, რასაკვირველია, არ კარგავს ქრისტეს ეკლესიის ცხოვრებაში ყველა დროისათვის და ადგილისათვის თავის მნიშვნელობას. გარდა ამისა, პავლეს ეპისტოლეებში ძლიერადაა გამორჩეული თვით მოციქულის პიროვნება, სადაც მითითებულია მისი ცხოვრების სხვადასხვა მდგომარეობა. ამასთან კათოლიკე ეპისტოლეებში დამწერთა პიროვნებები წინ არ არის წამოწეული: იქ პირდაპირაა წარმოდგენილი ყველა ქრისტიანისათვის ზოგადაუცილებელი წესები სარწმუნოებისა და ღვთისმოსაობისა.

წმ. მოც. იაკობის კათოლიკე ეპისტოლე

ცნობები დამწერის შესახებ

დამწერი თავად უწოდებს თავს „**იაკობს, ღვთისა და უფლის იესო ქრისტეს მონა**“ (1:1). სახარების ისტორიაში ცნობილია სამი იაკობი: 1) იაკობ ზებედეს ძე – ერთ-ერთი თორმეტი მოციქულთაგანი და ძმა წმ. იოანე ღვთისმეტყველისა; 2) იაკობ ალფესი – ძმა წმ. მოციქულისა და მახარებელისა მათესი, ასევე თორმეტმოციქულთაგანი და 3) იაკობი – უფლის ძმად წოდებული, ქრისტეს 70 მოციქულთაგან ერთ-ერთი და რომლის ძმებიც იყვნენ იოსია, იუდა და სიმონი (მთ.13:55), გახდა რა შემდგომში პირველი ეპისკოპოსი იერუსალიმის ეკლესიისა და მიიღო რა იუდეველთაგან „მართლის“ ზედმეტსახელი. ორი სხვა მოციქულთაგან განსასხვავებლად, მიეკუთვნებიან რა 12 მოციქულთა რიცხვს, იგი იწოდებოდა ასევე „მცირედ“.

წმ. იაკობ ზებედემ ძალიან მალე დაასრულა თავისი სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით (დაახლ. 44წ. იერუსალიმში). წმ. იაკობ ალფესი, როგორც გარდამოცემიდანაა ცნობილი, ქადაგებდა წარმართთა შორის. ამასთან ერთად წმ. იაკობის ეპისტოლე მიმართულია იუდეველთადმი, რომლებიც განთესილობაში იმყოფებოდნენ (1:1). საეკლესიო გადმოცემა კი კათოლიკე ეპისტოლეს აკუთვნებს მესამე იაკობს – უფლის ძმას, რომელიც იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი იყო. იგი სარგებლობდა დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით ყველა იუდეველს შორის, ურწმუნოთა შორისაც კი, თავისი სამართლიანობისა გამო. იგი ეწეოდა მკაცრ მოსაგრე ცხოვრებას, იყო ქალწული, არ სვამდა არც ღვინოს, არც არანაირ სათრობელს, თავს იკავებდა ხორცის ჭამისაგან, იცვამდა მხოლოდ სელის ტანისამოსს და მკაცრად იცავდა სჯულს, განმარტოვდებოდა რა ხშირად ლოცვისათვის და მარხვისათვის იერუსალიმის ტაძარში. იუდეველებმა, რომელთაც არც კი სწამდათ ქრისტე უწოდეს მას „მართალი“ და „ერის ბურჯი“. ყოველივე აქედან ბუნებრივია, რომ მას შეეძლო მიემართა ავტორიტეტული სიტყვით ყველა „**განთესილობაში მყოფი 12 ტომისათვის**“.

წმ. მოც. იაკობის ცხოვრების შესახებ დაცულია საკმაოდ ბევრი ცნობა. იგი იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დამწინდველის, იოსების უფროსი ვაჟი, მისი პირველი ქორწინებიდან, ღვიძლი ძმა სიმონის, იუდას და იოსიას (მთ. 13:55). იგი მოიხსენიება სახარებაში, როგორც უფლის იესო ქრისტეს ხორციელ ძმად. იგი ახლდა იოსებს და ყოვლადწმიდა მარიამს ყრმასთან ერთად ეგვიპტეში მათი გაქცევისას. როგორც ჩანს, მას ძმებთან ერთად დიდხანს არ რწმენია უფალი იესო ქრისტე, როგორც მესია (ინ. 7:3-5), რისთვისაც, შესაძლებელია, იგი ვერ გახდა ღირსი მისი უახლოესი 12 მოციქულის რიცხვში ყოფნისა. მაგრამ შემდეგ მთელი გულით ირწმუნა და უფალმა, თავისი აღდგომის შემდეგ, გახადა იგი ღირსი თავისი განსაკუთრებული ხილვის (1კორ. 15:7). ქრისტეს ამადლებიას იგი დაყენებულ იქნა იერუსალიმის პირველ ეპისკოპოსად, და მისი ხარისხიდან და ავტორიტეტულობიდან გამომდინარე, თავმჯდომარეობდა იერუსალიმში პირველ მოციქულთა კრებას (საქმ. თ.15). უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მთელი მოღვაწეობა თავს იყრია პალესტინაში და იგი არ დადიოდა ქადაგებით სხვა ქვეყნებში, სხვა მოციქულთა მსგავსად; თავისი სიცოცხლე დაასრულა მოწამებრივი სიკვდილით დაახლ. 64 წელს. იგი იუდეველი მთავრების მიერ გადმოგდებულ იქნა იერუსალიმის ტაძრის ფრთიდან. იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, ჩამოთვლის რა იერუსალიმის დაცემის მიზეზებს რომაელებთან ომის შედეგად, ამბობს, რომ უფალმა დასაჯა ებრაელები, სხვათაშორის, მართალი იაკობის მკვლელობისათვის. გადმოცემა წმ. იაკობს,

უფლის ძმას, მიაწერს ძველი საღვთო ლიტურდიის შედგენას, რომელიც დღემდე აღესრულება იერუსალიმში მისი ხსენების დღეს 23 ოქტომბერს.

ეპისტოლეს დანიშნულება, დრო და ადგილი მისი დაწერისა

პირველი მუხლის სიტყვებიდან როგორც ჩანს, წმ. მოც. იაკობის ეპისტოლეს დანიშნულება იყო მიმართვა „განთესილობაში მყოფი 12 ტომისადმი“, ე.ი. ებრაელთადმი. როგორც ჩანს, ავტორის სიტყვა მიმართულია არა მხოლოდ ებრაელებისადმი, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანობა, არამედ ებრაელთადმი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ, მით უფრო, რომ ერთნიც და მეორენიც დიდი ხნის განმავლობაში არ იყვნენ გამოყოფილნი ერთმანეთისაგან და როგორც ჩანს საქმე მოციქულთადან, მათ საერთო შეკრებები ჰქონდათ. მოც. იაკობი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით ურწმუნო იუდეელებშიც, ამიტომაც მას შეეძლო მიემართა მათთვის ავტორიტეტული სიტყვით. გამოთქმა „განთესილობაში მყოფი 12 ტომისათვის“ არ გამრიცხავს პალესტინაში მცხოვრებ ებრაელებს.

დრო და ადგილი დაწერისა არ არის მითითებული. წმ. მოც. იაკობი აღესრულა დაახლ. 64 წ. ქრ. შ.-დან. სავარაუდოა, რომ ეპისტოლე დაწერა აღსრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ვინაიდან ქრისტიანული საზოგადოების მდგომარეობა მასში აღწერილია ერთობ მსგავსად წმ. მოც. პავლეს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში მის აღწერასთან. განმმარტებლების უმრავლესობა იხრება იმ აზრისკენ, რომ იგი დაწერილია 55–60 წლებში. ადგილი დაწერისა, ალბათ, იერუსალიმი ან საერთოდ პალესტინა იყო, რამდენადაც არანაირი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, რომ წმ. იაკობს ოდესმე დაეტოვოს პალესტინა.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი

წმ. იაკობ მოციქულის ეპისტოლეს დაწერის მიზეზი იყო ის ვარაზნი, რომლებიც გადაჰქონდათ იუდეეელებს, ცხოვრობდნენ რა განთესილობაში, თავიანთი ურწმუნო ძმებისაგან, ასევე განსაკუთრებით წარმართთაგან. ეს განსაცდელები იმდენად დიდი იყო, რომ ბევრმა, არ აღმოაჩნდათ რა სათანადო ძალა მათი გადატანის, დაიწყო სულით დაცემა და მერყეობა სარწმუნოებაში. ყოველივე ამან აღძრა წმ. იაკობი მიეცა მათთვის აუცილებელი ზნეობრივი კურნება ეპისტოლეს სახით.

უტყუარობა იაკობისეული ეპისტოლესი

ორიგენესა და ევსევი კესარიელის მოწმობით, რომ იაკობისეული ეპისტოლეს უტყუარობას ძველ ეკლესიაში ყველა არ ცნობდა უდავოდ, რომ ახალ დროში ლუთერს მისცა საბაბი დაეჭვებულებო მის უტყუარობაში, რამდენადაც იგი შეიცავდა ლუთერისათვის უსიამოვნო მტკიცებულებას, რომ „რწმენა საქმის გარეშე მკვდარია“ (2:26). ერთი მხრივ, ცნობილ და გამოჩენილ მამათაგან და ეკლესიის მასწავლებელთაგან არავის არ გამოუთქვამს ეჭვი მის უტყუარობაში. ეჭვების საბაბი შესაძლებელია ყოფილიყო მხოლოდ ის, რომ არა ყველა უძველესი მწერალი ეკლესიისა მოიხსენებს ამ ეპისტოლის შესახებ, რამდენადაც მასში ნაკლებია მასალა სარგებლობისათვის მათ აპოლოგეტურ-პოლემიკურ შრომებში. გარდა ამისა, მის მინაწერში არაფერია ნათქვამი მისი მოციქულბრივი ავტორიტეტის შესახებ, რამდენადაც წმ. იაკობი, თავმდაბლობით, გაჩუმებულია თავისი მოციქულბრივი ღირსების შესახებ.

სამაგიეროდ არსებობს საფუძველი, რომ ასეთი უძველესი ქრისტიანი მწერლები, როგორცაა კლიმენტი რომაელი – „მწვემის“ ავტორი **ერმა**, წმ. ირინეოს ლიონელი, კლიმენტი ალექსანდრიელი და ტერტიულიანე, იცოდნენ ეს ეპისტოლე, II ს-ის სირიულ თარგმანში, პეშიტოში, შეტანილია იგი. ევსევი კესარიელის დროიდან ყოველგვარი ეჭვი ამ ეპისტოლეს უტყუარობაში წყდება, ეპისტოლეს მთელი ეკლესია ცნობს და შეტანილია ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა კანონში.

ეპისტოლეს საღვთო წიგნთა ხასიათი და მისი შინაარსი

ეპისტოლეს ზოგადი ხასიათი წმიდა ზნეობრივ-მასწავლებლურია, ამასთან მოციქულის ზნეობრივი დარიგება გამორჩეულია განსაკუთრებული ძალით, ამაღლებულობით და ასკეტური სიმკაცრით. გადმოცემული ნაწევებ-ნაწევებია, ატარებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტონს და ამასთან ერთად სიყვარულის მომცველია.

ეპისტოლე შეიცავს 5 თავს.

თავი 1: მინაწერი და მისაღმება (1). სწავლება განსაცდელების შესახებ (2-4). სიბრძნისა და ღოცვის შესახებ (5-8), სიმდიდრის არარობის შესახებ (9-11). განსაცდელის წყარო – არ არის ღმერთი (12-18). მრისხანებისა და ენის დაოკებისა და სჯულის აღსრულების შესახებ (19-26). ნამდვილი ღვთისმოსაობის არსი (27).

თავი 2: მოყვასისადმი არაპირფერული ურთიერთობისათვის დარიგება (1-13). სწავლება რწმენასა და კეთილსაქმეების შორის ურთიერთობის შესახებ (14-26).

თავი 3: თვითმარქვია მასწავლებლობისაგან და თავდაუჭერელი ენისაგან თავშეკავება (1-14). ჭეშმარიტი და ცრუ სიბრძნე (15-18).

თავი 4: მამხილებელი სიტყვა უინის წინააღმდეგ (1-3), ამ სოფელთან მეგობრობის წინააღმდეგ (4-10), ბოროტი სიტყვის წინააღმდეგ (11-12) და თვითდაჯერებულობის წინააღმდეგ (12-17).

თავი 5: გასასტიკებული მდიდრების მხილება (1-6). მრავალმოთმინების და ტანჯვის შესახებ დარიგებები (7-13), ზეთისკურთხევის საიდუმლოს შესახებ (14-15), ცოდვათა აღიარების შესახებ (16-18), გზასაცდენილთა მოქცევის შესახებ (19-20).

წმ. მოც. იაკობის ეპისტოლეს ეგზეგეტური განხილვა

ეპისტოლეს დასაწყისში, არაფერს არ ამბობს რა თავის მოციქულებრივი ღირსების შესახებ, წმ. იაკობი უწოდებს თავს „ღვთისა და უფლის იესო ქრისტეს მონას“. ძველებთან ჩვეულებრივი მისაღმება „გიხაროდეთ“ მოციქულის ბაგეებში, რასაკვირველია, განსაკუთრებული უმაღლესი სიხარულის აღმნიშვნელია უფლის როგორც მხნელის შესახებ. მისაღმების შემდეგ წმ. მოციქული მაშინვე იწყებს საუბარს განსაცდელების შესახებ, რომლებშიც, უეჭველად, სხვადასხვა უბედურებების სახელით ჩვენი რწმენის გამოცდა იგულისხმება, რომლებიც შეიძლება ქრისტიანს დაატყდეს თავს მიწიერ ცხოვრებაში. ეს განსაცდელები აწრთობენ ჩვენს რწმენას და აღგვამაღლებენ ჩვენ მაღლა და მაღლა ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ მოთმინების ღვაწლის მეშვეობით. თუკი განსაცდელებთან ბრძოლაში ადამიანი თავის სისუსტეს გრძნობს, იგი არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთას და სულმოკლეობას. მას შეუძლია თხოვოს ღმერთს განსაცდელების გადატანის სიბრძნე „და მიეცემა“. სრულყოფილი ქრისტიანული მოთმინების სათნოება იმდენად მაღალია, რომ

განსაკუთრებული სულიერი სიბრძნის, რომელიც უფალი ღმერთისაგან იძლევა, გარეშე იგი სუსტი ადამიანური ძალებისთვის მიუღწეველია. „**რწმენით და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან ეჭვიანი ჰგავს ზღვის ტალღას, ქარისაგან აღძრულსა და მიმოტაცებულს**“. (მუხლი 6). – „**ნურც ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღვთისაგან მიიღებს რაიმეს**“ (მუხლი 7-8) – ლოცვაში თხოვნის მიღებისათვის მთავარი პირობა – მტკიცე, ეჭვგარეშე რწმენაა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი რწმენის მეშვეობით ადამიანი შედის ღმერთთან იმ ზნეობრივ ურთიერთობაში, რომლის მეშვეობით ღვთაებრივი მაღლი შეიძლება მიეცეს ადამიანის სულს, ჭეშმარიტი სიბრძნით აღვსებულს სიხარულით გადააქვს ბედის ყოველგვარი გამოცდა და უკუღმართობა, მდიდარია თუ ღარიბი იგი. „**თავმდაბალი ძმა იქოს თავისი სიმაღლით**“ (მუხლი9) – „**იქოს**“ ნიშნავს აქ: „ინუგეშოს თავი“ თავისი უმაღლესი შეგნებით ღმერთის მიერ დაშვებული ჭირ-ვარამის გადატანაში. ქრისტიანი საერთოდ ჭირ-ვარამს უყურებს, როგორც მისდამი ღმერთის მოწყალებისა და კეთილი ნების საქმეს. „**მდიდარი კი თავისი სიმდაბლით, რადგან გადაივლის, როგორც ბალახის ყვავილი**“ (მუხლ. 10-11) – მდიდარი შეიძლება იქოს ან ინუგეშოს თავი მხოლოდ თავისი სიმდიდრის არარაობის, გახრწნის აღიარებით. „**ნეტარია კაცი, რომელმაც დაითმინა განსაცდელი**“ (მუხლ.12), იმიტომ რომ გადატანილი განსაცდელი ხელს უწყობს ადამიანის სრულყოფილებას და ანიჭებს მას „**სიცოცხლის გვირგვინს**“. ღმერთი უგზავნის ადამიანებს განსაცდელებს არა მათ ცოდვაში ჩათრევისათვის, არამედ მათი ძალების განმტკიცებისათვის, რათა წინააღმდეგეს ცოდვას. და თუკი ადამიანი ეცემა ცდუნებებთან ბრძოლაში, მაშინ ამაში თვით ადამიანია დამნაშავე, იმიტომ რომ „**ყოველი იცდება თავისი გულისთქმით**“ (მუხლ. 14). ხოლო უფალი ყოველთვის მხოლოდ შეეწევა ადამიანის სიკეთესა და ზნეობრივ სრულყოფას: „**მაღლიდან გარდამომავალი სიბრძნე, პირველყოფლისა წმიდაა, მერე მშვიდობიანი, ღმობიერი, ნებიერი, წყალობითაა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო**“ (მუხლ.17)

შემდგომ წმ. მოც. საუბრობს ქრისტიანის ჭეშმარიტ სიტყვასთან ურთიერთობის შესახებ (მუხლ. 18-27). რამდენადაც ჩვენ ყველა ღმერთისაგან ჭეშმარიტი სიტყვით ვართ შობილნი, საჭიროა ყოველმხრივ ვიზრუნოთ საკუთარ ზნეობრივ განვითარებაზე, ხოლო ამისათვის უპირველესად საჭიროა ვიყოთ „**სმენაში მკვირცხლნი**“ და „**სიტყვაში ნელი და რისხვაში ნელი**“, ვინაიდან „**ადამიანის რისხვა არ ქმნის ღვთის სიმართლეს**.“ (მუხლ.20). მაგრამ ვიყოთ სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მსმენელნი, რათა არ მივემსგავსოთ იმ ადამიანს, რომელიც ყურადღებით იცქირება სარკეში და ყურად არ ღებულობს იმას, რასაც მასში ხედავს, თითქოს არც კი ჩაუხედაიაო. მხოლოდ ღვთის სჯულის ყოველი ზნეობრივი მოთხოვნების ცხოვრებაში ენერგიულად გატარება აქცევს ადამიანს ჭეშმარიტად ღვთისმოსავს: სხვაგვარად მასთან „**ფუჭი სარწმუნოებაა**“ (მუხლ. 22-27)

მეორე თავში მოციქული ამხელს მოყვასთან ურთიერთობაში მიკერძოებას, რომელიც ჩვეულებრივ თანამგზავრად ითვლება „**ფუჭი სარწმუნოების**“ და ამტკიცებს, რომ ერთი გონივრული სარწმუნოება, მასთან ადამიანის მთელი სიცოცხლის შეწყობის გარეშე, არ გააჩნია არანაირი მნიშვნელობა. მსგავსად იმისა, როგორც მარტო სიტყვები ვერ ათბობს და ვერ აძლევს შიშველ და მშიერ ჩვენს ძმებს, „**ასევე რწმენას თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია**“. (მუხლ.17) რა აცხოვნებს საკუთრივ ადამიანს? რწმენა თუ საქმე? და ხომ არ მოდის წმ. მოც. პავლეს სიტყვებთან წინააღმდეგობაში იმის შესახებ, რომ ადამიანი გადარჩება რწმენით რჯულის საქმეებისაგან დამოუკიდებლად (რომ. 3:28)? უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვები ცხოველი ქმედითუნარიანი რწმენის აუცილებლობის შესახებ გადარჩენისათვის დაწერილია წმ. იაკობის მიერ სწორედ იმიტომ, რომ ბევრმა იუდეველმა დამახინჯებით გაიგეს წმ. მოც. პავლეს

სიტყვები. მოც. პავლე დაჟინებით უქადაგებდა იუდეველებს, რომ ქრისტეს მოსვლის დროიდან მოსეს სჯულის წესებმა დაკარგეს ყოველგვარი მნიშვნელობა და გადარჩენისთვის აუცილებელია ქრისტეში რწმენა და არა მოსეს სჯულის საქმეები. ბევრმა იუდეველთაგანმა სწორად გაიგო ეს აზრი. წმ. მოც. იაკობი აღნიშნავს, რომ ერთი ცივი გონივრული რწმენა გადარჩენისათვის არ არის საკმარისი, ვინაიდან **„ეშმაკებსაც სწამთ იგი და თრთიან“** (2:19). წმ. მოც იაკობის სიტყვების აზრი ასეთია, რომ ჭეშმარიტი გადამრჩენი რწმენა მჭიდროდ არის დაკავშირებული კეთილ საქმეებთან: რწმენა პირველობს და წინ უძღვის, როგორც მიზეზი, ხოლო საქმეები მოსდევს, როგორც მისი შედეგი. მაშასადამე, ვერც რწმენა, ვერც საქმე, ერთმანეთისაგან ცალკ-ცალკე, ვერ გადაარჩენს ადამიანს, ვინაიდან ერთმანეთის გარეშე ისინი შეუძლებელი არიან: ეს ორი განუყოფელი თუმცა სხვადასხვა მხარეა ერთიდაიგივე საქმისა. **„ვინც მთელ რჯულს იცავს და ერთში შესცოდავს, იგი ყველაფერში დამნაშავე ხდება“** (მუხლი 10). რატომ ასე? იმიტომ, რომ მთელი სჯული თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალსახეობრივი კერძო მცნებებით არის ერთი სჯულმდებელი ღმერთის ნება და ერთი მცნების დარღვევა არის, გამომდინარე აქედან, ერთი სჯულმდებლის ნებისადმი დაუმორჩილებლობა, და მაშასადამე, საერთოდ სჯულის დარღვევა. ნეტ. თეოფილაქტე მთელ სჯულში აქ ქრისტიანულ სიყვარულს ხედავს, რომელშიც თვით უფლის სიტყვებით, თავმოყრილია „მთელი სჯული და წინასწარმეტყველება“ (მთ. 24:40): „ვისაც მოყვასი უყვარს, იგი არც იმრუშებს, არც მოკლავს... იმაზე არ არის საუბარი, რათა კეთილის მოქმედთ არ გააჩნდეთ საერთოდ ნაკლი, არამედ იმაზე, რომ სიყვარული უნდა ჰქონდეთ არა უკმარისი, არა პირმოთნე, არამედ სრული“.

„წყალობა აღემატება მსჯავრს“ (მუხლ.13) – სამსჯავრო ღვთის მართლმსაჯულებით ემუქრება ყველა ცოდვილს განკითხვით, ხოლო ღვთის მართლმსაჯულების წინაშე ცოდვილია ყველა მორწმუნე ქრისტიანებიც კი; მაგრამ მოწყალება კეთილისმყოფელი სიყვარული ღვთის სჯულის თავის თავში ატარებს რწმენას, რომ იგი ძლევს სამსჯავროს საშიშ ძალას და ათავისუფლებს ცოდვებისათვის დამსახურებული სასჯელისაგან, განამართლებს, გადაარჩენს“. (ეპ. მიქაელი)

წმ. იაკობი შემდგომ მიუთითებს, რომ ძვ. აღთქმის მართლებიც, როგორცაა აბრაამი და ქალი რააბი, ებრაელებთან ერთად მონაწილეობდნენ რა იერუსალიმის აღებაში, გადარჩნენ არა მხოლოდ რწმენით, არამედ საქმეებით, რომლებითაც მათ გამოავლინეს თავიანთი რწმენა. **„როგორც სხეულია სულის გარეშე მკვდარი, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეების გარეშე“**. (2,26)

ფუჭი ღვთისმოსაობა ხშირად ვლინდება სხვების მასწავლებლობის მიდრეკილებაში, თუ როგორ უნდა იცხოვრო. **მესამე თავში** წმ. იაკობი ამხელს მასწავლებლობის ამ ვნებას. იგი აჩვენებს აქ, როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში ადამიანის სიტყვას, და როგორი დიდი ზნეობრივი პასუხისმგებლობა დევს მასწავლებელზე, და ამიტომაც როგორი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მასწავლებლობის მსახურებას. **„ბევრი ნუ გახდებით მასწავლებლები. იცოდეთ, რომ უფრო დიდ მსჯავრს მიიღებთ“** (3:1) ენის, როგორც სიტყვის ორგანოს მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში წმ. იაკობი აღარებს ლაგამს, საჭეს და ცეცხლს. ადამიანის ხელში ლაგამი აიძულებს ძლიერ ცხენს დამორჩილებას, ხოლო მცირე საჭე აძლევს მიმართულებას დიდ გემებს, მიუხედავად ძლიერი ქარების საწინააღმდეგო ქმედებისა.

„ასევეა ენაც. პატარა ასოა და ბევრს იქადის. აჰა, რა მცირე ცეცხლი ჰბუგავს დიდ ტყეს. ენაც ცეცხლია, უსამართლობის სამყაროა იგი. იგია მთელი სხეულის წამბილწავი და ჩვენი დაბადების ბორბლის აღმაგზნებელი“ (3:5-6). ჯოჯოხეთისაგან აღგზნებული, ე.ი. ეშმაკისაგან, სიცრუის მამისაგან, ენის ლაგამის ამოდება არ ხერხდება ადამიანის საკუთარი ძალებით. მხოლოდ ღვთის

მადლის დახმარებით ადამიანი შეძლებს თავისი ენის დამორჩილებას. მოუწოდებს რა ამისკენ ქრისტიანს, წმ. მოციქული მიუთითებს იმ შეუსაბამობაზე, რომ ჩვენ ერთი და იგივე ენით ვაკურთხევთ ღმერთს და ვწყევლით ადამიანებს. ქრისტიანული სიბრძნის არსი იმაშია, რომ იგი არამხოლოდ შიშველი ცოდნაა, არამედ თვით ცხოვრებაც. ვინც ფლობს ნამდვილ ქრისტიანულ სიბრძნეს, ის სუფთაა თავის განზრახვაში, მშვიდია, თავმდაბალი სურვილებში, უფროსების დამჯერე, ე.ი. ემორჩილება ავტორიტეტს, აღსავსეა მოწყალებითა და კეთილი საქმეებით. ამ ზეციური სიბრძნის საწინააღმდეგოდ, არსებობს სიბრძნე „მიწიერი, მშვინვიერი, სატანური“, რომლის წყაროც სიცრუის მამაა – ეშმაკია. ამ სიბრძნის დამახასიათებელი გამოვლინებებია – შური და შულღი.

მეთხე თავში წმ. მოციქული აჩვენებს სატანური სიბრძნის ქადაგებში ნაყოფებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ სიბრძნის მქადაგებლები ართობენ სულმდაბალ მოთხოვნილებებს ადამიანთა, ახარებენ მიწიერ სიკეთეებისადმი სიყვარულს და შეაგონებენ ამპარტავნულ აზრს, რომ ადამიანს თავად შეუძლია, საკუთარი ძალებით, ღვთის დახმარების გარეშე მიაღწიოს ბედნიერებასაც და წარმატებასაც. მწარე სინამდვილე უმოწყალოდ ანგრევს ამ თვითდაჯერებულ და სუსტი აზროვნების თეორიას მიწიერი კეთილდღეობის მოწუბისა: ამ მიწიერი სიბრძნის დანერგვის შედეგად ადამიანთა შორის მხოლოდ და მხოლოდ მტრობა და გახლეჩა სუფევს. უსაზღვრო მიჯაჭველობა მიწიერი სიკეთეებისადმი და ამპარტავნული თვითდაჯერებულობა არის ღმერთის დაღატი და ეშმაკისაგან მსახურება. ამიტომაც „ღმერთი ამპარტავნთ ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს; ანიჭებს“ (4,6). წმ. მოციქული ამიტომაც ასწავლის ცოდვათა შემუსვრილებას და თავმდაბლობას, ვინაიდან ზნეობრიობა აამაღლებს ადამიანს. შემდგომ წმ. იაკობი იძლევა დარიგებას, რათა არ იბილწსიტყვაონ ერთმანეთთან და არ განიკითხონ ერთმანეთი ადამიანებმა, ვინაიდან სამსჯავრო ეკუთვნის ერთ ღმერთს, ასევე ასწავლის არ იყვნენ პატივმოყვარენი, ვინაიდან მას მიჰყავს ადამიანი ამპარტავნებისაკენ.

მოუწოდებს რა ქრისტიანებს დაემორჩილონ ღმერთს და წინაღუდგნენ ეშმაკის შთაგონებას წმ. მოციქული **მეხუთე თავში** ამხელს გულით გასასტიკებულ მდიდრებს, ემუქრება რა მათ ღვთის სასჯელით, რომელიც არარაობად აქცევს ყოველგვარ მიწიერ სიმდიდრეს (5:1-6). ამასთან ერთად იგი შეაგონებს მდიდართა დევნისაგან ტანჯულთ, და, თავისთავად იგულისხმება, საერთოდ ყველა ქრისტიანს, მოთმინებით გადაიტანონ ტანჯვა და ცხოვრებისეული ყველა უბედურება. ამ დიდხანს თმენის საზღვრად მითითებულია უფლის მოსვლა. მოთმინებისაკენ შეგონება განმტკიცებულია მითითებით მიწის მუშაკზე. როგორც იგი მოთმინებით ელოდება თავისი მკისას ნაყოფს, ასევე ქრისტიანიც მოთმინებით უნდა ელოდოს თავისი ცხოვრებისაგან ნაყოფს, როცა ქრისტე გამოჩნდება თავისი დიდებით და მიაგებს თითოეულს მისი საქმეების მიხედვით. **„მოახლოებულია უფლის მოსვლა“**. ხშირად საუბრობენ ქრისტეს მეორედ მოსვლის მოახლოების შესახებ. იგი ნამდვილად ახლოა მეორედ მოსვლის შინაგანი ზნეობრივი კავშირით პირველთან, ვინაიდან ქრისტეს მოსვლის მომენტიდან დედამიწაზე დადგა სამყაროს უკანასკნელი ეპოქა, როგორც უწოდებდნენ ასე ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველები (ისაია 2:1; 4:2). მეორედ მოსვლა ქრისტესი კიდევ იმიტომაც ახლოს, რომ ჩვენ არ ვიცით არც დღე, არც მისი საათი და ყოველთვის უნდა ვიყოთ მზად მის შესახვედრად. თავისი დარიგების გასაძლიერებლად ტანჯვათა მოთმინებით გადატანის შესახებ მოციქული მიუთითებს ძვ. აღთქმის ისტორიაზე: წინასწარმეტყველებზე, რომლებიც ითმენდნენ დევნას სახალხო ხელისუფალთა მხრიდან, ძვ. აღთქმისეულ უდიდეს ტანჯულზე – იობზე, რომელიც დაჯილდოვდა შემდგომ ტანჯვის გამო ღვთისაგან, შემდეგ წმ. მოციქული შეგვეგონებს თავი მოვარიდოთ ფიცს, ე.ი. ღვთის გმობას, თითქმის უფლისავე სიტყვებით მთ. 5:33-37-ში.

ცხოვრებისეულ ყველა მდგომარეობაში, როგორც ჭირში, ასევე სიხარულშიც, ღოცვით ან თხოვნით უნდა მივმართოთ უფალს. ავადმყოფობისას წმ. იაკობი გვირჩევს ეკლესიის ხუცესთაგან მივიღოთ კურნება ზეთისცხების მეშვეობით. „**მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი და ილოცონ მათზე და სხონ ზეთი უფლის სახელით. რწმენის ღოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და თუ რამ ცოდვები ჩაუდენია, მიეტევება**“. (5:14-15) აქ მოცემულია მითითება ზეთისკურთხევის საიდუმლოს მოციქულებრივი წარმომავლობაზე. უსამართლოდ თვლიან პროტესტანტები აქ ჩვეულებრივ მკურნალობას ზეთით; მთელი რიგი ნიშნები მოციქულის ამ სიტყვებში მიუთითებენ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი მკურნალობა, არამედ სწორედ საიდუმლოა; მოგვიწოდებს, მოვუწოდოთ ხუცესთ, მათ უნდა ილოცონ ავადმყოფზე, მოწოდებულია არა ერთი, არამედ რამდენიმე, რაც უბრალო ცხებისათვის არ არის საჭირო. უცნაურია ზეთის, როგორც ყველა სნეულებისაგან კურნების საშუალებად მითითება. საიდუმლოში კი ზეთი მხოლოდ ხილულ საგანს წარმოადგენს. არა ზეთი, არამედ „**ღოცვა რწმენისა კურნავს ავადმყოფს**“ და საბოლოოდ ადამიანს მიეტევება ცოდვები. ყოველივე ეს არ ტოვებს ეჭვს იმაში, რომ მოციქული საუბრობს აქ სწორედ საიდუმლოს შესახებ. სულიერი სნეულებისაგან – ცოდვათაგან – განკურნებისათვის მოციქული გვირჩევს ქრისტიანებს აღსარებას ერთმანეთისადმი შეცოდებებისა. აქ უნდა ვიგულისხმოთ აღსარება სულიერი მამის წინაშე, ე.ი. აღსარების საიდუმლო, რომელიც ჩვეულებრივ შეერთებულია ზეთისკურთხევის საიდუმლოსთან. „**ბევრი რამ შეუძლია მართლის ძლიერ ღოცვას**“. (5:16) – „**მართალში**“ აქ ის ადამიანები იგულისხმებიან, რომელთა ღოცვაც უფრო სრულყოფილია. აქ, რასაკვირველია, იგულისხმებიან არამარტო პირადული სიმართლით დაჯილდოებულნი, არამედ მღვდლებიც, განსაკუთრებული მადლმოსილი უფლებამოსილებით დაჯილდოებულნი ილოცონ ადამიანთათვის და აღასრულონ საიდუმლო. იმის მაგალითად, თუ რამდენი შეუძლია მართლის ღოცვას, წმ. მოც. მოჰყავს წმ. წინასწარმეტყველ ილიას ღოცვა, რომელმაც დახურა ცა და შემდეგ გააღო. რათა არ იფიქრონ, რომ ჩვეულებრივი ადამიანებისათვის არ არის მოყვანილი, მოციქული ამბობს, რომ „**ილია იყო ჩვენივე მსგავსი კაცი**“.

დასასრულს, წმ. მოციქული საუბრობს მისიონერული მოღვაწეობის მნიშვნელობაზე, რომლის მიზანია ჭეშმარიტების გზასაცდენილთა მართალ სარწმუნოებაზე მოქცევა. „**ცოდვილის მომქცევი მისი ცდომილების გზიდან, სიკვდილისაგან იხსნის მის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს**“. (5:20) წმ. მოციქული საუბრობს აქ მნიშვნელოვან კეთილ საქმეებზე უფრო შეუდარებელზე – სულიერი წყალობის საქმეებზე, რომელთაც ღვთის თვალში განსაკუთრებულად მაღალი ფასი აქვთ.

წმ. მოც. პეტრეს პირველი კათოლიკე ეპისტოლე

ცნობები მწერლის შესახებ

როგორც უძველესი ქრისტიანული გადმოცემა მოწმობს, ასევე თვით ეპისტოლეში მოცემული ნიშნები ამტკიცებენ მის წმ. მოციქულთა თავის პეტრესადმი კუთვნილებას. ამ ეპისტოლეთი სარგებლობს თავის ეპისტოლეებში მოციქულთა კაცი და მოწაფე წმ. იოანე ღვთისმეტყველისა წმ. პოლიკარპე; მას იცნობდა და მისით სარგებლობდა წმ. პაპი იერაპოლელიც. ამ ეპისტოლეზე მინიშნებებს ვხვდებით წმ. ირინეოს ლიონელთან, ტერტულიანესთან, კლიმენტი ალექსანდრიელთან და ორიგენესთან. იგი ჩანს პეშიტოს სირიულ თარგმანშიც.

სიტყვის ტონი ეპისტოლის უამრავ ადგილში სრულიად პასუხობს სახარებიდან ჩვენთვის ცნობილ მოც. პეტრეს ტემპერამენტულ სიფიცხეს;

სიცხადე და სიზუსტე სიტყვისა, მისი მსგავსება საქმე მოციქულთაში მოც. პეტრეს სიტყვასთან ასევე მჭერმეტყველურად მოწმობს მოც. პეტრეს უეჭველ ავტორობაზე.

წმ. მოც. პეტრე, ადრე სიმონი, იყო მეთევზე იონას, გალილეის ბეთსაიდიდან, შვილი და ძმა წმ. მოც. ანდრია პირველწოდებულისა, რომელმაც მიიყვანა იგი ქრისტესთან. წმ. პეტრე იყო ცოლიანი და ჰქონდა სახლი კაპერნაუმში (მთ.8:14). ქრისტე მაცხოვრის მიერ გენესარეთის ტბაში თევზჭერიდან (ლკ.5:8) მოწოდებულმა, მან მისდამი თავისი განსაკუთრებული ერთგულება გამოხატა, რის გამოც ღირსი გახდა უფალთან ზებედეს ძეებთან ერთად (ლკ.9:28) დაახლოების. სულით ძლიერმა, მგზნებარე და გაბედულმა, ნამდვილად დაიჭირა პირველი ადგილი მოციქულთა დასში. მან პირველად გაბედულად აღიარა უფალი იესო ქრისტე ქრისტედ, ე.ი. მესიად (მთ.16:16) და ამისთვის გახდა ღირსი კლდედ (პეტრედ) წოდებისა. პეტრეს სარწმუნოების ამ კლდეზე შეჰპირდა თავისი ეკლესიის შექმნას, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან (მთ. 16:18). უფლის სამგზის უარყოფა წმ. პეტრემ სინანულის მწარე ცრემლებით განწმინდა, რის შედეგადაც უფალმა თავისი აღდგომისას კვლავ აღადგინა იგი მოციქულებრივ ღირსებაში, სამგზის, უარყოფის მსგავსად, დააკისრა რა თავისი ცხვრების მწყემსვა (ინ. 21:15-17). მან პირველმა შეუწყო ხელი ქრისტეს ეკლესიის გავრცელებას და განმტკიცებას სულიწმიდის მოფენის დღიდან, წარმოთქვა რა ძლიერი სიტყვა ხალხის წინაშე ორმოცდამეათე დღეს და მოაქცია 3 000 სული ქრისტეში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ წარმოთქვა რა სხვა ძლიერი სიტყვა, შობიდან კოჭლის განკურნებასთან დაკავშირებით, ტაძარში, მოაქცია კიდევ 5 000 (საქმ. მოც. თ.2-4). საქმე მოციქულთა პირველ ნაწილი საუბრობს განსაკუთრებულად მისი მოციქულებრივი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ იმ დროიდან, რაც იგი, სასწაულებრივად იქნა განთავისუფლებული ანგელოზის მიერ პატიმრობიდან, წავიდა სხვა ადგილას. (საქმ. 12:17). მის შესახებ საქმე მოციქულთაში მოიხსენიება კიდევ ერთხელ, მოციქულთა კრების შესახებ თხრობისას (თ.15). სხვა დანარჩენი ცნობები მის შესახებ შემოინახა მხოლოდ საეკლესიო გარდამოცემამ, არც ისე სრული და არც ისე სრულად განსაზღვრული. ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ მან მიიღო მონაწილეობა სახარების ქადაგებით მოგზაურობაში პალესტინის, ფინიკიის და სირიის ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროებზე, იყო ანტიოქიაში, სადაც ხელი დაასხა პირველ ეპისკოპოსს ევოდის; შემდეგ უქადაგებდა იუდეველებს და პროზელიტებს მცირე აზიის ოლქებში; შემდეგ ქადაგებდა ეგვიპტეში, სადაც ხელი დაასხა მარკოსს, პირველ ეპისკოპოსს ქ. ალექსანდრიისთვის; აქედან გადავიდა საბერძნეთში (აქაიაში) და იქადაგა კორინთოში, რაც ჩანს 1კორ. 1:12-დან. გადმოცემით, წმ. პეტრე საბერძნეთიდან იტალიაში გაემგზავრა და იყო რომში, შემდეგ ესტუმრა ესპანეთს, კართაგენს და ბრიტანეთს. თავისი სიცოცხლის დასასრულს, წმ. პეტრე კვლავ მივიდა რომში, სადაც მიიღო მოწამებრივი აღსასრული წმ. მოც. პავლესთან ერთად 67 წელს, აცვეს რა ჯვარს პირუკულმა.

ეპისტოლის პირველდაწყებითი მნიშვნელობა, დაწერის საბაბი და მიზანი

ეპისტოლის პირველდაწყებითი მნიშვნელობა ჩანს თვით მისი მინაწერიდან: იგი მიმართულია „**პონტოს, გალატიის, კაპადოკიის, აზიისა და ბითინიის განთესილობის ხიზნებს**“ (1:1) – მცირე აზიის პროვინციებისადმი. ამ „ხიზნებში“ უნდა გავიგოთ მოქცეული იუდეველები, ვინაიდან წმ. პეტრე განსაკუთრებით „წინადაცვეთილთა მოციქული“ (გალ. 2:7) იყო, მაგრამ როგორც ჩანს ეპისტოლეს სხვა ადგილებიდან (2:10, 4:3,4), აქ მხედველობაშია წარმართებიც, რომლებიც, რასაკვირველია, ასევე შედიან მცირე აზიის ქრისტიანული საზოგადოების

შემადგენლობაში, რაც ჩანს საქმე მოციქულთას წიგნიდან და წმ. მოც. პავლეს ზოგიერთი ეპისტოლედან.

რამ დააწერინა წმ. მოც. პეტრეს მცირე აზიელი ქრისტიანებისადმი ეპისტოლე, რომელთა საზოგადოებებიც, როგორც საქმე მოციქულთას წიგნიდანაა ცნობილი, წმ. მოც პავლეს მიერ იყო დაფუძნებული?

შინაგანი საბაბით, რასაკვირველია, წმ. მოც პეტრესთვის იყო უფლის ბრძანება „განმტკიცება თვისთა ძმათა“ (ლკ. 22:32). გარეგან საბაბად გამოვლინდა განწყობილებები, რომლებიც ამ საზოგადოებებში გაჩნდა, ხოლო განსაკუთრებით დევნები, რომლებიც მათ ქრისტეს ჯვრის მტრებისაგან დაატყდათ თავს. გარდა გარე მტრებისა, გამოჩნდნენ ასევე დახვეწილი მტრები – შიგა, ცრუმასწავლებელთა სახით. სარგებლობნენ რა წმ. მოც. პავლეს არყოფნით, მათ დაიწყეს დამახინჯება მისი სწავლებისა ქრისტიანული თავისუფლების შესახებ. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ცნობები მცირე აზიის თემებზე თავს დამტყდარი გამოცდის შესახებ, წმ. მოც. პეტრეს მიუტანა სოლოვანმა, იყო რა მუდმივი თანამგზავრი წმ. მოც. პავლესი, მაგრამ წმ. პავლეს დატყვევების შემდეგ გადავიდა წმ. პეტრესთან.

ეპისტოლის მიზანია, მაშასადამე, გამხნეება, ნუგეში მცირე აზიელი ქრისტიანებისა ჭირში და მათი განმტკიცება რწმენაში. წმ. პეტრე თავად აღნიშნავს უკანასკნელ მიზანს: „მცირე რა მოგწერეთ თქვენს შესაგონებლად და დასამოწმებლად, რომ ღვთის ეს მადლი, რომელშიც დგახართ ჭეშმარიტია“. (5:12)

ადგილი და დრო ეპისტოლის დაწერისა

ადგილად, საიდანაც წმ. პეტრემ დაწერა თავისი პირველი ეპისტოლე, მითითებულია ბაბილონი (5:13). რომაელ-კათოლიკებს, ამტკიცებენ რა, რომ წმ. მოც. პეტრე 25 წელი იყო ქ. რომის ეპისკოპოსი, სურთ დაინახონ ამ „ბაბილონიში“ რომის ალეგორიული დასახელება. ერთობ უადგილოა ასეთი ალეგორია გამოსამშვიდობებელ მისალმებაში. ბუნებრივია დავინახოთ ამაში ნამდვილი სახელწოდება ქალაქისა. არ არის აუცილებლობა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ევფრატის ბაბილონი, რომლის იმპერატორის მიერ სტუმრობის შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი. ეგვიპტეში ნილოსის ნაპირზე იყო მცირე ქალაქი, ბაბილონიდან გადმოსახლებულთა მიერ დაარსებული, რომელსაც უწოდეს ასევე ბაბილონი. ქრისტიანული ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია ბაბილონის ეკლესია ეგვიპტეში (წმინდანთა ცხოვრება 4 იანვარი ღირსი ზოსიმეს ცხოვრება). წმ. პეტრე იყო ეგვიპტეში, იქ, ალექსანდრიაში, წმ. მარკოზი დააყენა ეპისკოპოსად, ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ მას შეეძლო იქედან დაეწერა და ამასთან მოკითხვა გადაეცა წმ. მარკოზისაგან.

როდის დაიწერა ეს ეპისტოლე, ზუსტად ძნელია განსაზღვრა. წინადადებები მისი დაწერის დროის შესახებ დაფუძნებულია იმაზე, რომ წმ. პეტრესთან ერთად იმყოფებოდნენ მაშინ სილოვანი და მარკოზი, რომელთა სახელითაც მოციქული აგზავნის მოკითხვას მცირე აზიაში (1 კორ. 5:12,13). ეს ორი პირი თანამგზავრობდნენ წმ. მოც. პავლეს და კარგად იცნობდნენ მცირე აზიელი ქრისტიანები. მისი დატოვება მათ მოუხდათ, ალბად მას შემდეგ რაც წმ. მოც. პავლე საპრობილეში ჩასვეს და გაგზავნეს რომში კეისრის სამსჯავროზე (საქმ. თ.26,27). ბუნებრივი იყო წმ. პეტრესთვისაც, სწორედ წმ. მოციქულ პავლეს შეპყრობის შემდეგ ეზრუნა მის სამწყსოზე. რამდენადაც პირველი ეპისტოლე დაიწერა მეორემდე არცთუ გვიან, რომელიც უეჭველია, დაწერილი იყო წმ. პეტრეს მოწამეობრივი აღსასრულის წინ, 67 წ. ამიტომაც პირველი ეპისტოლის დაწერის ვადა განისაზღვრება 62 და 67 წწ. შორის ქრისტეს შობიდან.

ეგზეგეტური განხილვა წმ. მოციქულ პეტრეს I ეპისტოლეს

წმ. მოციქული პეტრე თავის პირველ ეპისტოლეს იწყებს სიტყვებით: „**პეტრე, იესო ქრისტეს მოციქული**“ – არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ წმ. მოციქული განზრახ წარმოაჩინოს თავის მოციქულებრივ ღირსებას, ვინაიდან ეკლესიები, რომელთაც იგი წერდა, მის მიერ არ იყო დაფუძნებული და პირადული ნაცნობობა მასთან არ ჰქონიათ. შემდგომ ჩამოთვლის რა ვის მიმართაც არის მისი ეპისტოლეები მიმართული, წმ. მოციქული პეტრე თავისი ეპისტოლეს მთელ განფენილობაზე სხვადასხვა ღვთივსულიერ შეგონებებით ცდილობს დაჩაგრული მცირე აზიელი ქრისტიანების ზნეობრივი ცხოვრების განმტკიცებასა და ამაღლებას. პირველ ორ თავს დოგმატური ელფერი დასდევს დანარჩენ თავებში მოცულია ზნეობრივი დარიგებები.

პონტოს, გალატიის კაბადოკიის აზიისა და ბითინიის ქრისტიანებს წმ. მოციქული უწოდებს „**ხიზნებს**“ ორგვარი სახით; ისინი ცხოვრობენ თავიანთი სამშობლოს გარეთ – პალესტინის ქრისტიანთათვის მიწაზე ცხოვრება არის მწირობა და ხიზნობა, ვინაიდან ნამდვილი სამშობლო ქრისტიანისა არის სხვა, სულიერი სამყარო. მოციქული მათ „**რჩეულთ**“ უწოდებს იმ გაგებით, რომ ახალ აღთქმაში ყველა ქრისტიანი შეადგენს ღვთის რჩეულ ერს, როგორებიც იყვნენ ძველ აღთქმაში იუდეველები (1.1). ისინი ამორჩეულნი არიან „**მამა ღვთის წინასწარი განჭვრეტით და სულის მიერ განწმენდით, დამორჩილებად და იესო ქრისტეს სისხლის საპკურებლად**“ – ყოვლადწმიდა სამების სამივე პირი მონაწილეობდა კაცთა ხსნის საქმეში: მამა ღმერთი, თავისი წინასწარი ჭვრეტით, იცის რა თუ ადამიანთაგან ვინ როგორ გამოიყენებს მისდამი მიცემულ თავისუფალ ნებას, წინასწარ წარმართავს ხსნისაკენ; ძე ღვთისამ თავისი ჯვარზე სიკვდილით აღასრულა თვით ხსნის საქმე, ხოლო სული წმიდა თავისი მადლის მეშვეობით განანათლებდა რჩეულთ, უთვისებს რა მათ ქრისტეს მიერ აღსრულებულ ხსნის საქმეს (მუხლ. 2). სამყაროს გადარჩენისთვის ღვთისადმი მადლიერებით აღვისილი გულის სიღრმიდან მოციქული აღაველენს ქება-დიდებას ღვთისადმი, რომელმაც მიანიჭა ადამიანებს „**უჭკნობი მემკვიდრეობა**“, მშვენიერი მიწიერის საპირისპიროდ, რომელსაც ელოდნენ იუდეველები მესიისაგან (მუხლ. 3-4). თქვა რა შემდგომ, ღვთის ძალას „**რწმენის მეშვეობით**“ იცავს მათ „**ხსნისათვის**“, მოციქული შეაგონებს, რომ ეს ხსნა მთელი თავისი ძალით მხოლოდ უკანასკნელ ჟამს გამოცხადდება; ამჯერად კი მცირე ხანს უნდა გავწვალდეთ, რათა გამოცდის ცეცხლით გამოცდილი რწმენა აღმოჩნდეს თვით განწმენდილ ოქროზე უძვირფასესი „**იესო ქრისტეს გამოცხადებისას**“, ე.ი. მისი მეორედ მოსვლისას. თავის ხოტბას წმ. მოციქული ამთავრებს ჩვენი ხსნის აღმშენებლობის დიდ მნიშვნელობაზე მითითებით, რომლისადმიც მიმართული იყო ყველა ძიება და კვლევა წინასწარმეტყველთა და რომელიც ისე ღრმია, რომ მასში „**ჩაწვდომასაც ანგელოზები ნატრობენ**“ (მუხლ. 8-12). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე მოციქული წარმოგვიდგენს ზნეობრივ დარიგებებს, აძლიერებს რა მათ მაღალი დოგმატური ჭვრეტით. პირველი საერთო დარიგება – ქრისტეს მადლზე სრული სასოების შესახებ ბავშვური მორჩილებით ღვთისადმი, როგორც მამისადმი და მისდამი წმიდა ცხოვრების მსგავსების ლტოლვით: „**იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე**“ (მუხლ. 13-16). ამისადმი ისეთი მაღალი ჭვრეტა უნდა ავლძრათ, რა ფასადაც ვართ ქრისტიანები გამოსხნილი. „**არა ხრწნადი ვერცხლითა და ოქროთი**“, „**არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით**“ (მუხლ. 17-20). ამაშია მაღალი განზრახვა – ქრისტეს სარწმუნოების და მასზე გაჩერება, მიუხედავად არანაირი ცდუნებისა (მუხლ. 21-25).

მეორე თავში წმ. პეტრე შეაგონებს ქრისტიანებს, რომ მათ, ცხოვრობენ რა მტრულად განწყობილ წარმართთა შორის, თავიანთი წმინდა, კეთილსინდისიერი ცხოვრებით აჩვენონ, რომ ისინი „**რჩეული მოდგმაა, სამეფო სამღვდელეობა, წმინდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოს მათი სათნოებანი, ვინც**

სიბნელიდან თავიანთი ნათლისაკენ გამოუხმო“. მაშინ წარმართებიც, ხედავდნენ რა ქრისტიანთა კეთილსინდისიერ ცხოვრებას, მოიქცევიან ქრისტესკენ და განადიდებენ ღმერთს იმისათვის, რისთვისაც ადრე ბოროტსიტყვაობდნენ მორწმუნეებზე.

აქ რომაელი კათოლიკების ცრუსწავლების უარსაყოფად იმის შესახებ, რომ ქვად, რომელზეც დაფუძნებულია ეკლესია, ითვლება მოც. პეტრეს პიროვნება, მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ თავად მოც. პეტრე უწოდებს „ქვას“ არა თავის თავს, არამედ უფალ იესო ქრისტეს, რაც ჩანს მეოთხე მუხლიდან. ეკლესიის საფუძველი, მისი ქვაკუთხედი თვით უფალი იესო ქრისტეა, ხოლო მისი მორწმუნე ეკლესიის წევრები, „**ცოცხალი ქვები**“ უნდა დაშენდნენ ამ ქვაზე **„სულიერ სახლად, წმიდა სამღვდელოებად, რათა შესწირონ ღვთის მოსაწონი სულიერი მსხვერპლები“** (მუხლ.5) – როგორც ძველ აღთქმაში ღმერთს გააჩნდა თავისი ტაძარი და თავისი სამღვდელოება, ასევე ახალ აღთქმაში ქრისტიანთა მთელი საზოგადოება სულიერი გაგებით უნდა იყოს ერთდროულად ტაძარიც და სამღვდელოება. ეს, რასაკვირველია, ხატოვანი სიტყვებია, და ამით არ არის გაუქმებული სამღვდელოება, როგორც პირთა განსაკუთრებული კლასი, დაყენებულნი ეკლესიაში სწავლებისათვის, საიდუმლოთა აღსრულებისათვის და მართვისათვის. ყველა მორწმუნე იწოდება **„წმიდა სამღვდელოებად“** იმიტომ, რომ ისინი ღმერთს **„სულიერ მსხვერპლებს სწირავენ“**, ე.ი. სათნოების მსხვერპლს. სათნოებები იწოდებიან **„მსხვერპლებად“** იმიტომ, რომ მათი შესრულება დაკავშირებულია თავიანთი ვნებებისა და ავხორცობის ჩაქრობის დეაწლთან. 6-8 მუხლებში წმ. მოციქული კვლავ უწოდებს უფალ იესო ქრისტეს **„ქვაკუთხედს“**, ესესხება რა ისაიას წინასწარმეტყველებას 28:16, რომლის სიტყვები, უეჭველია, მესიისადმი არის მიმართული. ამ წინასწარმეტყველებას საკუთარი თავისადმი მიმართავდა თვით უფალი იესო ქრისტე. (მთ. 21:42). მეცხრე მუხლში წმ. მოციქული ქრისტიანებს კვლავ უწოდებს **„რჩეულ მოდგმას, სამეფო სამღვდელოებას, წმიდა ერს, წილხვედრ ხალხს“**, – ყველა ეს ნიშანი აღებულია ძველი აღთქმის ებრაელი ერის სახელწოდებიდან და მიკუთვნილი აქვს ქრისტიანებს, რამდენადაც ქრისტიანებში საბოლოოდ მოვიდა იმის აღსრულება, რასაც თავდაპირველად აღნიშნავდნენ ეს სახელები ებრაელ ერთან მიმართებაში. და წმ. იოანე ღვთისმეტყველი თავის აპოკალიპსში ამბობს, რომ სულიერი გაგებით უფალმა იესო ქრისტემ გვაქცია ყველა ჩვენ, ქრისტიანები ღმერთისა და თავის მამისათვის მეფეებად და მღვდლებად. (1:6) ეს ხატოვანი გამოთქმები მითითებული მხოლოდ ქრისტიანული წოდების მაღალ ღირსებაზე, რასაკვირველია, პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, როგორც ამას სექტანტები აკეთებენ, უარყოფენ რა მოციქულის ამ სიტყვების საფუძველზე კანონიერად დაწესებულ ეკლესიაში სამღვდელოებას და სამეფო ძალაუფლებას. **„ოდესდაც არახალხი იყავით, ახლა ღვთის ხალხი ხართ“** (მუხლ. 10) – ეს სიტყვები ნახესხებია წინასწარმეტყველ ოსიადან (2:23), სადაც ღმერთი, უწოდებს რა მაშინდელ ებრაელ ხალხს არა თავის ერს, რადგანც იგი თავისი ცოდვილი ცხოვრების სახით არ იყო ამის ღირსი, პირდება, რომ მესიის დროს ერი გახდება ამის ღირსი, რათა ღმერთმა უთხრა მას: **„შენ ხარ ერი ჩემი“**. ეს დანაპირები აღსრულდა, როცა იუდეველი ერის საუკეთესო ნაწილმა მიიღო ქრისტეს სწავლება. მე-11 მუხლიდან მოციქული იწყებს წმიდა ზნეობრივ დარიგებებს, ეხება რა ქრისტიანთა შინაგან და პირად ცხოვრებას. აქ იგი დაწვრილებით გვიხსნის, რაში უნდა გამოიხატოს ქრისტიანთა ეს სამეფო მღვდლობა, როგორი სულიერი მსხვერპლები უნდა შესწირონ მათ და როგორ უნდა მოიქცნენ, რათა წარმართებმა, რომლებიც ხედავენ მათ სათნო ცხოვრებას, განადიდონ ისინი იმისთვის, რისთვისაც ესეა ბოროტსიტყვაობდნენ. ქრისტიანთა დევნის სათავეებში წარმართული ძალები და წარმართული საზოგადოების ელიტა იდგნენ, ხოლო ქრისტიანობა თავდაპირველად განსაკუთრებით მონათა შორის

გავრცელდა. უთანასწორო მდგომარეობა მონების კიდევ უფრო რთულდება დევნილი ქრისტიანული სარწმუნოების მათ მიერ მიღებასთან დაკავშირებით. დევნას შეეძლოთ ჯერ კიდევ რწმენაში გაუძლიერებელ ქრისტიანებში წარმოეშვა დრტივნება. ამის გაფრთხილებისთვის 13-18 მხლებში ასწავლის ყოველგვარი ადამიანური დადგენილებისადმი მორჩილებას „ღვთის გულისათვის“. ეს მორჩილება და ქრისტიანული თავისუფლება არ გამოირიცხავს ერთმანეთს, არამედ პირიქით თავისუფლება გააგებული ჭეშმარიტი აზრით აკისრებს მორჩილების ვალდებულებას და მასთან დაკავშირებულ მოვალეობებს. ქრისტიანული თავისუფლება – ეს სულიერი თავისუფლებაა და არა გარეგნული: იგი მდგომარეობს ცოდვის მონობისაგან, ცოდვილი სამყაროსაგან და ეშმაკისაგან თავისუფლებაში, მაგრამ ამავე დროს იგი არის ღვთისადმი მონობა და ამიტომაც ეკისრება ვალდებულებები, რომელთაც მოითხოვს ღვთის სიტყვა. შესაძლებელია ქრისტიანული თავისუფლების ბოროტად გამოყენება, ამახინჯებს რა მის შესახებ გაგებას, რისიც უნდა ეშინოდეს ქრისტიანს. ქრისტიანული თავისუფლების გაგების ასეთი ბოროტი გამოყენებისაგან დასაცავად მოციქულს მხედველობაში ჰყავს, შესაძლებელია მაშინ გამოჩენილი ცრუწინასწარმეტყველები – გნოსტიკოსები. მოუწოდებს რა მოთმინებით უსამართლო ჭირ-ვარამთა გადატანას, მოციქული მიუთითებს თვით უფალ იესო ქრისტეს მაგალითზე (მუხლ. 2-25) და არწმუნებს ქრისტიანებს „რათა მის კვალს მიჰყვნენ“, ე.ი. მიბაძონ მას მოთმინებით ტანჯვის გადატანაში.

მესამე თავში მოციქული იძლევა ზნეობრივ დარიგებებს ცოლებისადმი, ქმრებისადმი და ყველა ქრისტიანისადმი. ცოლებს მოციქული უქადაგებს, რათა ისინი დამორჩილდნენ თავიანთ ქმრებს. აქ მხედველობაშია განსაკუთრებით ქრისტიანი ცოლები, იყვნენ რა გათხოვილნი იუდეველ ქმრებზე ან წარმართებზე, რომელთაც არ მიუღიათ ქრისტიანული რწმენა. ასეთი ცოლების მდგომარეობა, რასაკვირველია, ერთობ რთული იყო. მათში ბუნებრივია შეიძლება წამოშობილიყო ცდუნება – გამხდარიყვნენ, უკვე ქრისტიანული რწმენით განათლებულნი, პირთა განსაკუთრებულ ხელმძღვანელობის ქვეშ, ე.ი. სხვა მამაკაცთა, გამხდარიყვნენ სხვა მამაკაცების მორჩილები, რის გამოც შესაძლებელია ოჯახურ ცხოვრებაში გაჩენილიყო უთანხმოება და გაუგებრობა. მოციქული განსაკუთრებული მზრუნველობით იცავს ასეთ ცოლებს მსგავსი ცდუნებებისაგან და შეაგონებს მათ დამორჩილებოდნენ საკუთარ ქმრებს, თუნდაც ურწმუნოები ყოფილიყვნენ, მიუთითებს რა ამის უმაღლეს მიზანს: „რათა ისინი, ვინც არ ერწმუნებიან სიტყვას, სიტყვის გარეშე გახდნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით“. მოციქული შეაგონებს, რომ ჭეშმარიტი მორთულობა ქრისტიანი ქალებისა მდგომარეობს არა გარეგნულ ნაწნავებში, არამედ შინაგან სილამაზეში, „უხრწნელ მყუდროებაში და სულის სიმშვიდეში, რაც ძვირფასია ღვთის წინაშე“ (მუხლ. 4) მაგალითად მოციქულს მოჰყავს სარა, ემორჩილებოდა რა თავის ქმარს აბრაამს.

ქალების მიძიმე მდგომარეობა, როგორც ძველ წარმართულ სამყაროში, ასევე ებრაელებში, აღძრავს მოციქულს მისცეს დარიგება ქმრებსაც ცოლთა მიმართებაში, რათა დარიგებებს ცოლთა მორჩილების შესახებ არ მიეცა ქმრებისათვის საბაბი ამ მორჩილების ბოროტად გამოყენებისა. ქმარი უნდა უფრთხილდებოდეს ცოლს: როგორც „უუძლურეს ჭურჭელს“. შემდგომ მოციქული აძლევს ზნეობრივ დარიგებებს ყველა ქრისტიანს, შეაგონებს რა მათ იმხიარულონ თუკი ისინი სიმართლისათვის ისჯებიან, ვინაიდან, „ქრისტეც ... მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, მართალი უსამართლოთათვის... მოიკლა ხორციით და გაცოცხლდა სულით, რომლითაც წავიდა და უქადაგა საპყრობილეში სულებსაც“. (მუხლ. 18-19) „საპყრობილეში“, როგორც აქ გამოყენებული ბერძნული სიტყვა გვიჩვენებს უნდა ვიგულისხმოთ ჯოჯოხეთი ანუ „შეოლი“ – ადგილი, სადაც ჩადიდდნენ, ებრაულთა რწმენით, ადამიანთა ყველა სული,

რომლებიც ქრისტეს მოსვლამდე კვდებოდნენ. ეს ადგილი უფსკრულშია, ე.ი მიწის ქვეშ, ან მიწის შიგნით. ეს არ არის ჯოჯოხეთ ჩვენი პირდაპირი სიტყვების გაგებით, როგორც ადგილი ცოდვილთა მარადიული ტანჯვისა, მაგრამ მაინც ადგილია, როგორც მისი სახელი გვიჩვენებს, არასასიამოვნო, არასასურველი ადამიანის სულისთვის. ასეთი იყო ეს ადგილი ქრისტეს მოსვლამდე ძველ აღთქმაში ყველა მოკვდავი ადამიანისათვის. თუმცა იქაც იყო სხვადასხვა საფეხური ურწმუნოებასა და მომკვდართა სიმართლესთან დამოკიდებულებაში. ამ „საპყრობილეში“ ჩავიდა უფალი მის მიერ აღსრულებული კაცთა ხსნის შესახებ საქადაგებლად. ეს იყო მოწოდება ყოველი მომკვდარისა ქრისტემდე და შეოლში მყოფი სულებისა ქრისტეს სასუფეველში შესვლისათვის, ამასთან ერთად მონანულნი და მორწმუნენი ეჭვგარეშე განთავისუფლდნენ მათი ტყვეობის ადგილიდან და შეყვანილნი იქნენ ქრისტეს აღდგომით გახსნილ სამოთხეში – მართალთა ნეტარების ადგილას. საეკლესიო გადმოცემით, თვით ქრისტეს ეს ქადაგება ჯოჯოხეთში წინასწარუწყებული იყო იქ ქრისტეს შესახებ ქადაგებით წმ. იოანე ნათლისმცემლის მიერ. (იხ. მისი ტროპარი) „ურჩნი“ – ნიშნავს, რომ ქრისტე მაცხოვრის ქადაგება მიმართული იყო მეტნაკლებად ურჩი ცოდვილებისადმი, რომელთა მაგალითად მოციქულს მოჰყავს ნოეს თანამედროვენი, დაიღუპნენ რა წარღვნისაგან. მე-4 თავის მე-6 მუხლიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთებისაგან გადარჩენილნი იყვნენ ქრისტეს ქადაგებით ჯოჯოხეთში: „რადგან იმიტომ ესარათ მკვდართაც, რომ კაცთა კვალზე ხორცში განკითხულებმა ღვთის კვალზე სულში იცოცხლონ“. ამით მოციქული ხაზს უსვამს იმასაც, რომ ქრისტეს ქადაგება მიმართული იყო ყველა ადამიანის მიმართ (მუხლ. 19-20). წარღვნისა და კიდობანში გადარჩენილთა შესახებ აზრიდან მეოცე მუხლში მოციქული გადადის ნათლობის საიდუმლოსაკენ, რომლის წინასახეც წარღვნის წყალი იყო. 21-ე მუხლში მოციქული განსაზღვრავს ნათლობის არსს. იგი არ არის „ხორციელი ტუჩის ჩამორეცხვა“, მსგავსი მაგალითად მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანი იუდაისტური განბანვის, რომლებიც განწმენდნენ რა მხოლოდ სხეულს, არანაირად არ შეეხებოდნენ სულიერ უწმინდურობებს. იგი არის „კეთილი სინდისის ღვთისთვის შეპირება“. ეს სიტყვები არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ სინდისი კეთილია, ან სულიერი სიბილწისგან განწმენდა არ მოიცემა ნათლისღებაში, ვინაიდან შემდეგ თქმულია, რომ „ნათლისღება გვიხსნის იესო ქრისტეს აღდგომით“ (მუხლ. 21). მოციქული მიუთითებს აქ მონათლულთათვის ახალი ცხოვრების დაწყების შედგომის აუცილებლობაზე.

მეოთხე თავი მთლიანად მიძღვნილია ზნეობრივ დარიგებებისადმი. ეს ზნეობრივი დარიგება ეძღვნება ქრისტეს ტანჯვის შესახებ აზრებს „რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით, ვინაიდან ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა.“ (მუხლ. 1) მთელი ეს თავი გაუღენთილია სარწმუნოებისათვის ტანჯვის მოთმინებით გადატანის შესახებ აზრით, სარწმუნოების მტრების ბოროტ ურთიერთობებზე სათნო ცხოვრებით გამარჯვებით აუცილებლობაზე აზრით. „ვინც ხორციელად იტანჯება შეწყვიტა ცოდვის ჩადენა“ – ხორციელი ტანჯვა საკუთარი თავის მოკვდინების ნებაყოფლობითი ღვაწლით ან გარედან ან შიგნიდან ძალადობრივი ჩაგვრით შეასუსტებენ ადამიანის ცოდვისმიერ ძალას და მოქმედებას. ამასთან ერთად აქ გამოხატულია იგივე აზრი, რაც წმ. პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მეექვსე თავში: იმის შესახებ, რომ ქრისტესთან თანაჯვარცმული და მასთან მომკვდარი ცოდვისთვის კვდება, უნდა თვლიდეს თავს ცოდვისთვის მკვდრად, ხოლო ღმერთისთვის ცოცხლად. მოციქული შეაგონებს ქრისტიანებს არ აღელდნენ იმით, რომ წარმართები ბოროტსიტყვაობდნენ მათზე მათში მომხდარი ძირეული გარდაქმნის გამო მათ ცხოვრებაში, შეახსენებს რა, რომ ისინი განიკითხებიან ღმერთის მიერ მათი გარყვნილებისა გამო. (მუხლ.2-6).

„ყველაფრის აღსასრული მოახლოებულია“ – იმ აზრით, რომ ქრისტიანები ყოველთვის უნდა იყვნენ მზად ქრისტეს მოსვლისათვის. აქედან მოციქული ასკვნის ქრისტიანისათვის ზნეობრივი ცხოვრების აუცილებლობას და იძლევა მთელ რიგ დარიგებებს, აყენებს რა ყველაფრის თავში სიყვარულს, იმიტომ რომ **„ცოდვათა სიმრავლეს სიყვარული ფარავს“** (მუხლ.8) როგორც ასწავლის ამის შესახებ წმ. მოც. იაკობი. მე-4 თავი მთავრდება მოწამეთადმი დარიგებებით **„ცეცხლოვანი განსაცდელები... ნუ იქნება უცხო“** (მუხლ.12) ქრისტიანებმა თავიანთი სარწმუნოება უშიშრად უნდა აღიარონ, არ უნდა შეუშინდნენ გალანძვასა და ტანჯვას, არამედ უნდა ადიდებდნენ ღმერთს თავიანთი ასეთი ხვედრისთვის (მუხლ. 13-18).

მესუთე თავი შეიცავს მოძღვრებისადმი და მრევლისადმი დარიგებებს, მოციქულებრივ კურთხევას და დამამთავრებელ მიმართვას. მოძღვრებს მოციქული შეაგონებს ღვთის სამწყსოს მწყემსვას არა იძულებით, არამედ ნებით და ღვთისთვის სათნოდ, არ ბილწი ანგარებისთვის, არამედ გულმოდგინებით. იყოს მაგალითი სამწყსოსთვის. სამწყსოს არიგებს, რათა ისინი, დამორჩილდნენ თავიანთ ხუცესთ და დამდაბლდნენ ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ და თვითონაც, ერთი მხრივ, ფხიზლობდნენ, ვინაიდან მოწინააღმდეგე ეშმაკი როგორც ლომი დაძრწის, ეძებს ვინ ჩაყლაპოს. სამ ძირითად ნიშანს მიუთითებს აქ წმ. მოციქული მოძღვრობისას: 1. **„მწყემსეთ ღვთის სამწყსო არა იძულებით, არამედ ნებით და ღვთისთვის სათნოდ“** – აქ საუბარია იმის შესახებ, რომ მოძღვარი თვით უნდა იყოს სიყვარულით აღვსილი თავისი დიდი საქმისადმი, უნდა გრძნობდეს მისდამი შინაგან მოწოდებას, რათა არ იყოს დაქირავებული, ნაცვლად ჭეშმარიტი მწყემსისა. (5:2) 2) **„არა ბილწი ანგარებისთვის, არამედ გულმოდგინებით“** – ეს კეთილი მოძღვრობის მეორე ნიშანია, რომელსაც უანგარობა შეიძლება ვუწოდოთ. ეს არ ნიშნავს, რომ მოძღვარი არაფრით არ უნდა სარგებლობდეს თავისი სამწყსოსაგან (იხ. 1კოლ. 9:7,13,14), არამედ მხოლოდ იმას, რომ მოძღვარმა თავისი პირადი გამორჩენა და მატერიალური სიკეთე არ უნდა მოაქციოს თავისი სამოძღვრო საქმიანობის თავში. 3. **„ნუკი ეუფლებით ღვთის წილს, არამედ მაგალითი იყავით სამწყსოსათვის“** – მოძღვარს არ შეიძლება არ ჰქონდეს ძალაუფლება თავის სამწყსოზე, მაგრამ ეს ძალაუფლება არ უნდა ატარებდეს ფიზიკური ძალდატანებითი ძალაუფლების, ჩაგვრის ხასიათს, რომელშიც თავმოყვარეობის ელემენტი იჩენს თავს, ჭეშმარიტი მოძღვარი თავად უნდა უფლენდეს თავისი კეთილი საქმის მაგალითს თავის სამწყსოს – მაშინ იგი, მარტივად, ძალდატანების გარეშე მოიხვეჭს აუცილებელ ავტორიტეტს და სულიერ ძალაუფლებას მათზე. (5:3). ასეთი კეთილი მოძღვრობისათვის წმ. მოც. გვპირდება **„დიდების უჭკნობ გვირგვინს“** მწყემსმთავრისაგან – ქრისტესაგან. (5:4) **„ასევე ახალგაზრდებო“**, ე.ი ყველა არ არის ხუცესი, მღვდელი, არამედ საეკლესიო საზოგადოებაში უმცროსი, ახალგაზრდა, ე.ი სამწყსო, **„დაემორჩილეთ ხუცესთ“**, **„დაემორჩილეთ ერთმანეთს, შეიმოსეთ თავმდაბლობა, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“**. – **„დაემორჩილეთ ერთმანეთს“** ნიშნავს, რომ თითოეულმა თავის მდგომარეობაში უფროსს უნდა დაემორჩილოს და ამით გამოავლინოს თავმდაბლობა, რომელიც მოიზიდავს ადამიანზე ღვთის მადლს (5:5.7). მოციქული მოუწოდებს სიფხიზლისაკენ და სულიერი მღვიძარებისაკენ, მიუთითებს რა, რომ კაცთა ხსნის მტერი – ეშმაკი **„დაძრწის, როგორც მბრდღვინავი ლომი, ეძებს ვინ ჩაყლაპოს“** - მსგავსად მშიერი ლომისა, ეშმაკი მუდმივად სულიერად მშიერია და მუდმივად გახელებულია იმის წინააღმდეგ, ვისი ჩაყლაპვაც არ შეუძლია, მათ აშინებს როგორც ლომი თავის ღრიალით, თავისი ბოროტებით და მიიღტვის მიაყენოს მათ რაღაც ზიანი. წინააღმდეგობა მისდამი უპირველესად საჭიროა **„მტკიცე რწმენით“**, ვინაიდან რწმენა აკავშირებს ქრისტესთან, ეშმაკზე გამარჯვებულთან. (5:8-9). თავის პირველ ეპისტოლეს წმ.

პეტრე ამთავრებს კეთილი სურვილებით ღმერთის სახელით – იყვნენ მტკიცენი, სარწმუნეობაში ურყევნი, გადასცემს მოკითხვას ეკლესიისაგან ბაბილონში და „მარკოზისაგან თავისი შვილისაგან“ და „ქრისტეში მშვიდობით ყოფნას“ უსურვებს. (5:10-14)

სილოვანე – ერთ-ერთი 70-განი მოციქული, თანამგზავრი და თანაშემწე წმ. მოციქულ პავლესი. გადმოცემით იგი იყო სალონიკეს პირველი ეპისკოპოსი. მისი ხსენება აღესრულება 4 იანვარს და 30 ივლისს.

წმ. მოციქული პეტრეს მეორე კათოლიკე ეპისტოლე

პირველდაწყებითი დანიშნულება, აღძვრა დაწერისაკენ და ეპისტოლეს მიზანი.

როგორც ამ ეპისტოლეს შესამე თავის პირველი მუხლიდან ჩანს, იგი დაწერილია იგივე მცირე აზიის ქრისტიანებისადმი, როგორც პირველი ეპისტოლე. ამ მეორე ეპისტოლეში მოციქული პეტრე განსაკუთრებით ცდილობს მორწმუნეთა დაცვას გარყვნილ ცრუმოდვართაგან, რომელთა მოღვაწეობა უფრო საშიში გახდა, ვიდრე ადრე. ეს ცრუ სწავლებები იმათი მსგავსნია, რომელთაც მოციქული პავლე თავის ე.წ. „სამოდვრო ეპისტოლეებში“ ტიმოთესა და ტიტეს მიმართ ამხელს. დიდ მსგავსებას ამ ცრუმასწავლებელთა მხილებაში ჩვენ ვხედავთ ასევე წმ. მოც. იუდას მხილებებთან. ორივე მოციქული სრულიად ერთგვარი ნიშნებით გამოხატავენ დამღუპველ და გარყვნილ ერეტიკოსებს, რომელთა ცრუსწავლება ემუქრებოდა ქრისტიანთა რწმენასა და ზნეობრიობას. (შეად. პეტრეს ეპისტ. 2თ. და წმ. იუდას ეპისტ.). ამ ცრუსწავლებებს გააჩნდათ საფუძველი უზნეო და წარმართულ ამპარტავნებაში.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი

ამის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ წმ. პეტრეს პირველი თავის 14 მუხლში მოყვანილი სიტყვები: „ვიცი რომ მალე უნდა მივატოვო ჩემი კარავი, როგორც გამომიცხადა კიდევ ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ“. მაშასადამე, ეს ეპისტოლე დაწერილია ცოტათი ადრე წმ. მოც. პეტრეს მოწამეობრივ სიკვდილამდე, როგორც გადმოცემა ამბობს, 67 წ. რამდენადაც ეს მეორე ეპისტოლე დაწერილია პირველის შემდეგ, ამიტომაც იგი შეიძლება მიგაკუთვნოთ 65-66 წ.წ. თავისი უკანასკნელი ცხოვრების წლები, იგივე გადმოცემით, წმ. მოც. პეტრემ გაატარა რომში, სადაც აღესრულა კიდევ მოწამეობრივი სიკვდილით წმ. მოც. პავლესთან ერთად. აქედან ბუნებრივია დავასკვნათ, რომ პეტრეს მეორე ეპისტოლე დაწერილია რომში. ეს როგორდაც მისი სიკვდილის წინა ანდერძია.

ეპისტოლეს ნამდვილობა (უტყუარობა)

უძველეს ქრისტიანულ ეკლესიაში პეტრეს მეორე ეპისტოლე, როგორც ჩანს, ისე არ იყო გავრცელებული, როგორც პირველი, ამიტომაც გაჩნდა ეჭვები მის უტყუარობაში. იგი არ იყო სირიულ თარგმანში პეშიტოში, მაგრამ ამ ეპისტოლეს არსებობაზე მითითებებსა და მინიშნებებს ჩვენ ვნახულობთ ისეთ მოციქულთა კაცთა შრომებში, როგორიცაა წმ. კლიმენტი რომაელი, ერმა, ბარნაბა, პოლიკარპე. აშკარა მითითებები მასზე აქვს იუსტინე მოწამეს, ირინეოს ლიონელს და თეოფილე ანტიოქიელს. ევსევის მოწმობით კლიმენტი ალექსანდრიელმა დაწერა კიდევ ამ ეპისტოლეს განმარტება. ორიგენეს პირდაპირ მოჰყავს ეს ეპისტოლე, არ მალავდა რა ეჭვებს მის უტყუარობაში. IV ს-ში ევსევი ათავსებს მას კათოლიკე

ეპისტოლეთა შემადგენლობაში. იერონიმე თავის კატალოგში ღებულობს ეპისტოლეს როგორც ნამდვილს. დიდიმ ალექსანდრიელს არა აქვს ეჭვი მის კანონიკურობაში. IV ს-დან ყველა ეჭვი მის სინამდვილეში წყდება.

ეპისტოლეს დიდი ნაწილი უეჭველად ატარებს წმ. მოც. პეტრეს პიროვნების ანაბეჭდს, ისევე როგორც პირველი ეპისტოლე.

წმ. მოც. პეტრეს მეორე ეპისტოლეს ეგზეტიკური განხილვა.

პირველ თავს შეიძლება ვუწოდოთ დამრიგებლური, მეორეს – გაფრთხილებითი, მესამეს – წინასწარმეტყველური.

პირველი თავი იწყება, ჩვეულებრივ, მინაწერით, რომელშიც ავტორი ეპისტოლესი უწოდებს თავს „სიმონ–პეტრეს, იესო ქრისტეს მონას და მოციქულს“, ხოლო თავის მკითხველებს აღამაღლებს საკუთარ თავთან როგორც „მიმღებთ“ მათთან ერთად „იგივე ძვირფასი რწმენისა“. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ გამოსატყულებით მოციქულს სურს მხოლოდ გაუსვას ხაზი, რომ ქრისტიანებს იუდეველთაგან არ გააჩნიათ უპირატესობა წარმათთაგან ქრისტიანეთა წინაშე, რომ სარწმუნოება ერთისა და მეორისა ერთნაირად ძვირფასია ღვთის თვალში (1:1). მეორე მუხლში იგი გამოსატყუებს სურვილს: „**მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღვთისა და ჩვენი უფლის იესო ცოდნით**“. ამით მას თითქოსდა სურს თქვას, რომ მადლისა და მშვიდობის სიუხვე დამოკიდებულია ღმერთისა და მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს შეცნობაზე: ეს შეცნობა რაც უფრო მეტია და ღრმა, მით უფრო უხვად ვღებულობთ ჩვენ მადლის ნიჭებს.

შემდგომ მოციქული აღწერს ქრისტიანულ სრულყოფილების სიმადლისკენ აღმავლობის სამოღვაწეო კიბეს. ამ კიბის საფუძვლად წმ. პეტრეს რწმენას თვლის და მიუთითებს, რომ რწმენით უნდა მოვიკრიბოთ ძალები, დავამტკიცოთ მისი ჭეშმარიტება სათნო საქმეებით, რომლებსაც თანდათანობით ავყავართ ქრისტიანული სრულყოფილების სიმადლეზე – სიყვარულისაკენ (მუხლი 3–8). ვინც დაუდევრად ეპყრობა ჭეშმარიტი სარწმუნოების ამ ნაყოფებს – „**ის ბრმაა**“. (მუხლი 9). გვთავაზობს რა კიბეს ქრისტიანული სრულყოფილების, წმ. მოც. პეტრე გვარწმუნებს მასზე ასე: „**ეცადეთ განამტკიცოთ თქვენი მოწოდება და რჩეულობა**“ (მუხლი 10). მოციქული წუხს, წავლენ კი მათთვის დანიშნულ კიბეზე დარიგებულნი, ამიტომაც აუცილებლად თვლის გაუმეოროს მათ თავისი დარიგება, სანამ ჯერ კიდევ იმყოფება „**ამ კარავში**“, „**იცის რა, რომ მალე უნდა მიატოვოს ღვთის კარავი**“. მოციქული შეახსენებს მათ დარიგებებს, ვინაიდან იგი ასწავლიდა მათ არა უსაფუძვლოდ, არამედ როგორც თვითმხილველი – მოწმე ღვთაებრივი მასწავლებლის იესო ქრისტეს სიდიდისა, რის ხილვის ღირსიც გახდა თაბორზე ფერისცვალებისას (მუხლი 10–18). თუკი ესეც არასაკმარისია, მაშინ „**ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა**“, რომლებიც დიდი ხნის წინ იწინასწარმეტყველეს ყველამ ის, რაც ჩვენ დავინახეთ და გავიგონეთ და რაც თქვენ გასწავლეთ (მუხლი 19). მოციქული მიუთითებს ისე მძლავრად ამ წინასწარმეტყველური სიტყვით, რომელიც ბრწყინავს, როგორც სანთელი ბნელ ადგილას, ქრისტეს სწავლების ნათლით გაუნათებელ ადამიანურ სულში მანამ, სანამ „**გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს მათ გულებში**.“ – ადამიანური სულის განათლების ბრწყინვალე სახეა, „**არასოდეს წინასწარმეტყველება არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისაგან წარმოთქვამენ მას**.“ – წინასწარმეტყველური წერილების ღვთისუღიერების მოწმობაა.

მე-2 თავში წმ. მოციქული აფრთხილებს ცრუმოდვართაგან, აფრთხილებს რა, რომ როგორც ძველად ცრუწინასწარმეტყველნი გამომჩნდებოდნენ ხოლმე, ასევე გამომჩნდნენ ისინი ეხლაც. მათთვის დამახასიათებელი ნიშანია, რომ ისინი „**უარყოფენ გამომსყიდველ ხელმწიფეს**“, ე.ი. უარყოფენ ძე ღვთისა განკაცების

დოგმატს. მათი დაღუპვა, როგორც მოუნანიებელთა, უკვე გამზადებულია (მუხლი 1-3). შემდგომ მოციქულს მოჰყავს საშინელი მაგალითები ცრუწინასწარმეტყველთაგან თავის არიდებისთვის: ღვთის საშინელი სამჯავროს მაგალითად მას მოჰყავს დაცემული ანგელოზები, რომლებიც შეკრულნი არიან რა ჯოჯოხეთის სიბნელის ბორკილებით ელოდებიან თავიანთ თავზე საბოლოო მსჯავრს; შემდგომ – ცოდვილი კაცობრიობის დასჯა მსოფლიო წარღვნით, როცა მხოლოდ 8 სული ნოეს ოჯახიდან გადარჩა. და ბოლოს სოდომზე და გომორზე თავსდატეხილი რისხვა, რომლიდანაც მხოლოდ ლოთი გადარჩა. აქედან მოციქული აკეთებს დასკვნას, რომ ღმერთმა იცის, როგორ იხსნას ღვთისმოსავნი, ხოლო „უკეთურნი შემოინახოს განკითხვის დღისთვის დასასჯელად.“ (მუხლი 4-9). ახასიათებს რა ცრუმოდღვართ, მოციქული ამბობს, რომ ისინი არიან „ხორციელ გულისთქმებს ბილწად აყოლილნი, უფლებათა მოძულენი, თავხედნი, ჯიუტნი და დიდებათა გმობის ურიდნი“: ცნობილია, რომ ეს ცრუმოდღვარნი ზიზღით იყვნენ განწყობილნი თვით ქრისტეს მოციქულებსადმი, რომ არაფერი ვთქვათ ეპისკოპოსებსა და მღვდლებზე, ისინი როგორც პირუტყვები, ხელმძღვანელობენ თავიანთ საქმიანობაში ავხორცულ გრძნობებითა და ვერცხლის მოყვარეობით: „**მიატოვეს სწორი გზა, დაიბნენ და დაადგნენ ბილყამ ბეყორის ძის გზას, რომელმაც შეიყვარა უკეთურების საზღაური**“. ეს ის ბალაამია, რომელზედაც საუბარია რიცხვთას 22 თავში, რომელსაც შურისძიების მიზნით სურდა უსამართლო საქმის აღსრულება – ისრაელზე წყევლის წარმოთქმა, მაგრამ ღმერთმა შეაგნებინა მან ადამიანის ხმაზე აღაპარაკებული ვირით (მუხლი 10–16).

ასეთი ნიშნებითაა გამოხატული ძველი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ზოგიერთი გნოსტიკური სექტა. ადამიანთა საცდუნებლად ისინი იყენებენ „**მაღალფარდოვან ლაქლაქს**“, ხორციელი გულისთქმების საცდურს და თავისუფლების შეპირებებს. ამოდმეტყველება შეფარული მომხიბვლელი სიტყვებით, ავხორცობა და თავისუფლების შეპირებები, ესენი ჩვეულებრივი სატყუარებია როგორც ძველი, ასევე ახალ გამრყენელთა სინამდვილეში. „**გახრწნილების მონები**“, ე.ი. ცოდვის ტყვეობაში არიან, ისინი თავიანთი თავისუფლების შესახებ სწავლებით, ფარავენ ხორციელ აღვირახსნილობას. (მუხლ. 17-19)

თავის დასასრულს მოციქული აღნიშნავს ამ ერეტიკოსთა განსაკუთრებულ დანაშაულს, ამბობს რა, რომ „**უმჯობესი იქნებოდა არ შეეცნოთ სიმართლის გზა, ვიდრე შეეცნოთ და უკუქცეულიყვნენ მათთვის ქადაგებული წმიდა მცნებებისაგან**“. მოციქული ადარებს მათ ძაღლებს თავიანთ ნარწყავებზე მობრუნებულთ და დაბანილ ღორებს, კვლავ ტალახში მიბრუნებულთ (მუხლ. 20-22)

მესამე თავში, ატარებს რა წინასწარმეტყველურ ხასიათს, წმ. პეტრე საუბრობს „**დამცინავეებზე**“, რომლებიც დასცინიან ქრისტეს მეორედ მოსვლის მომლოდინე ქრისტიანებს. (მუხლ. 1-4), ხოლო შემდგომ საუბრობს სამყაროს უკანასკნელ ხვედრზე. მსგავსად იმის, როგორც პირველი მსოფლიო დაიდუპა წარღვნის წყალში, თუმცა მაშინდელ ხალხს ეჩვენებოდა, რომ სამყარო მუდმივია და მას არაფერი არ ემუქრებოდა, ასევე ეს სამყაროც დაიწვება ცეცხლში. სამყარო, ღვთის სიტყვით შექმნილი, იგივე სიტყვით ინახება, მაგრამ დრომდე „**უღვთო კაცთა განკითხვამდე და მოსპობის დღემდე**“. (მუხლ. 5-7). რაც შეეხება უფლის მოსვლის მოჩვენებით დაყოვნებას, არ შეიძლება ამ შეყოვნებაზე ვისაუბროთ იმ მიმართებაში, ვისთვისაც დრო არ არსებობს და ვისთვისაც „**ერთი დღე არის როგორც ათასი წელი, ხოლო ათასი წელი როგორც ერთი დღე**“ (ფს. 89:5). თუკი ღვთის განგებულება, სამყაროს აღსასრულზე ჯერ კიდევ არ სრულდება, ამის მიზეზი ღვთაებრივ სიყვარულშია და ღმერთის მრავალთმენაში: „**არ სურს რომ ვინმე დაიდუპოს, არამედ ყველა მივიდეს მოსანანიებლად**“ (მუხლ. 8-9) სამყაროს აღსასრული მოულოდნელად მოვა: მისი დრო არავის ეცოდინება – როგორც ქურდი ღამით. „**უფლის დღის**“ მოსვლას სამყაროს ცეცხლით გარდაქმნა ახლავს თან: „**ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარგარებული კავშირნი დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა გადაიბუგება**“ – ზეცა შეწყვეტს არსებობას, როგორც ბრძანებდა ამის შესახებ

უფალი მთ. 24:35-ში და წმ. იოანე ღვთისმეტყველი აპოკ. 20:11-ში. „სტიქიებში“ იგივე „კავშირში“ იგულისხმებიან ბუნების შემადგენელი ნაწილები, როგორცადაც ძველად მიიჩნეოდა ცეცხლი, წყალი, ჰაერი და მიწა. ყველაფერი დაინგრევა, მაგრამ არ მოისპობა, არამედ მხოლოდ შეიცვლება და განახლდება, ამასთან მიწა და ყოველივე მასზე არსებული, ყველა „საქმე“, ე.ი. ბუნება და ხელოვნება, ხეები, მცენარეები, მინერალები, ცხოველები, ქალაქები, სახლები, იარაღები და დაწესებულებები – ყოველივე ესენი საშინელი სახით დაინგრევა ცეცხლის მოქმედებით.

ეს ძველი სამყარო, ცეცხლით დანგრეული, გამოჩნდება შემდეგ შეცვლილი და განახლებული: როგორც სამყაროს დასაწყისში უხილავი და უფორმო ქაოსიდან ექვს დღეში შეიქმნა იგი ულამაზეს და კეთილმოწყობილ სახედ, ასევე სამყაროს დასასრულს ცეცხლოვანი ქაოსიდან იგივე შემოქმედის მაცხოვრებელი სიტყვით იგი კვლავ იქნება მოწოდებული ულამაზეს და უსრულყოფილეს ყოფიერებისაკენ – „ჩვენ მისი აღთქმისაებრ მოველით ახალ ცას და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე“. ჯერ კიდევ წინასწარმეტყველი ისაია ამბობდა ღვთის სახელით: „აჰა, მე შევექმნი ახალ ცას და ახალ მიწას და არ გაიხსნება წინანდელნი და არ ამოვა გულთან“ (ისაია 65:17) და კიდევ: „ახალი ცა და ახალი მიწა, რომელთაც შევექმნი, დადგებიან ჩემს წინაში“ (66:22). წმ. მოც. იოანე აპოკალიპსში ამბობს, რომ „დაინახა ახალი ცა და ახალი მიწა, ვინაიდან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდნენ და ზღვა აღარ იყო“. (21:1). იქ დაივანებს სიმართლე, როგორც სრული და სრულყოფილი შესაბამისობა ადამიანური და ღვთიური სიმართლისა – სამართლიანობა, რომელიც არ არსებობს ახლანდელ დედამიწაზე. ეს ითქვა მოციქულის მიერ, უეჭველია, მორწმუნეთა სანუგეშებლად, ისმენდნენ რა ადამიანური უსამართლობისაგან მრავალ ჭირს. მაგრამ, უეჭველია, რომ ეს სიტყვა „სიმართლე“ შეიძლება გავიგოთ უფრო ფართო გაგებით: ამ განახლებულ მიწაზე დაიწყება მარადნეტარი ცხოვრება და ბოროტების, ვინაიდან ღმერთი იქნება იქ ყველაფერი ყველაფერში. (მუხლ. 10-14). „და ჩვენი უფლის სულგრძელობა მიიჩნიეთ ხსნად, როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ, პავლემაც მოგწერათ მისთვის მინიჭებულ სიბრძნით, როგორც ლაპარაკობს იგი ამის შესახებ ყველა წერილშიც, რომლებშიც ზოგი რამ ისე ძნელად გასაგებია, რომ უმეცარნი და უმტკიცონი, სხვა წერილების მსგავსად ამახინჯებენ საკუთარი თავის დასადუჰად“. (მუხლ. 15-16) – როგორც ჩანს, ცრუმოდგარნი ბოროტად იყენებდნენ მოც. პავლეს წერილებს და ცრუდ ამტკიცებდნენ, რომ წმ. პეტრესა და წმ. პავლეს შორის არის უთანხმოება სწავლებაში, შესაძლებელია, მათ გაეგონათ, რომ მათ შორის მოხდა ცნობილი დავიდარაბა ანტიოქიაში. (გალ. 2:11) და გადათარგმნეს ეს მორწმუნეთა ასადეღვებლად. ამიტომაც წმ. პეტრე მოიხსენიებს მას საყვარელ ძმად, „სურს რა ასწიოს და დაამყაროს მისი ავტორიტეტი. „ძნელადგასაგებში“, ამიტომაც, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ არა პავლეს სწავლების უკმარისობა, არამედ მხოლოდ სიღრმე და სიმაღლე მისი, რომლებიც უმეცარ და უმტკიცო ადამიანთათვის მიუღწეველი აღმოჩნდა სწორი გაგებისთვის.

დასასრულს, წმ. პეტრე შეაგონებს მორწმუნეთ – გაფრთხილდნენ ურჯულოთა ცრუსწავლებათა გატაცებებისაგან, იყვნენ მტკინენ და გაიზარდონ მადლში და უფლის იესო ქრისტეს ცოდნაში. „მისია დიდება აწდა საუკუნო დღის მიმართ. ამინ!“ (მუხლ. 17-18).

წმ. მოც. იოანეს პირველი კათოლიკე ეპისტოლე

ცნობები ავტორზე

თუმცა ეპისტოლეში ავტორი არსად არ მოიხსენიებს თავის სახელს, ძველი საეკლესიო გადმოცემა უძველესი დროიდანვე თვლიდა მას ქრისტეს საყვარელი მოწაფის და მახარებლის იოანე ღვთისმეტყველის საკუთრებად. თვით ეპისტოლეს სტილი შეგვახსენებს იოანეს სახარებას.

წმ. იოანე ღვთისმეტყველი იყო გალილეელი მეთევზის – ზებედეს და მისი ცოლის – სალომეას შვილი, გადმოცემით იოსებ დამწინდველის ქალიშვილი მისი პირველი ქორწინებიდან, და მაშასადამე, ღვთისმშობლის გერის და უფლის იესო ქრისტეს მამინაცვლის შვილის. იგი უფალს დისშვილად ეკუთვნოდა. მას ჰყავდა უფროსი ძმა იაკობი, ერთ-ერთი თორმეტთაგანი. ორივე ძმას მათი სულიერი ძალისა და ცეცხლოვანი შემართებისთვის უფალმა „ბანერგესი“, ანუ „ქუხილის ძენი“ უწოდა. (მარკ. 3:17) დაემორჩილენ რა უფლის მოწოდებას იოანემ დატოვა მშობლიური სახლი, და გახდა ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე მისი, პეტრესთან და იაკობთან ერთად. (მარკ. 5:37; მთ. 17:1; 26:37)

უფალმა გახადა ღირსი იოანე განსაკუთრებული სიყვარულისა, რაც დიდი მგრძობიარობით გამოიხატა საიდუმლო სერობაზე, სადაც იოანე მკერდზე მიეყრდნო თავის ღვთაებრივ მოძღვარს (ინ. 13:23,25) და განსაკუთრებით ჯვარზე, სადაც უფალმა აწვილა იოანე ყოვლადწმიდა ღედას (ინ. 19:26). არ ასახელებს რა სახელით თავის თავს, თავის სახარებაში საუბრობს თავის თავზე როგორც მოწაფეზე, „რომელიც უყვარდა იესოს“ (ინ. 19:26). თავისი მხრიდანაც მან უპასუხა ერთგული სიყვარულით მოძღვარს: თუკი პეტრეს სიყვარული იყო ცხელი და საქმიანი (ინ. 18:10; 21:15), იოანეს სიყვარული აღბეჭდილი იყო ერთგულებითა და დიდი სიღრმისეულობით. მოწაფეებიდან მხოლოდ იოანემ არ დატოვა თავისი მოძღვარი მისი ტანჯვისას და იდგა გოლგოთაზე ჯვართან (ინ. 18:26)

უფლის ამადლებისა და სულთმოფენობის შემდგომ წმ. იოანეს 15 წელი არ დაუტოვებია იერუსალიმი – ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ნეტარ მიძინებამდე. პეტრესთან და იაკობთან ერთად იგი ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა იერუსალიმის ეკლესიის მოწივებაში, ასე რომ მათთან ერთად იგი ითვლებოდა ერთ-ერთ სვეტად (გალ. 2:9). როცა ახალმოქცეული სამარიელები მოინათლენ, მათზე სულიწმიდის გადასაცემად მათთან წავიდა იოანეც, წმ. პეტრესთან ერთად (საქმ. 8:14) მოგვიანებით იგი გაემართა სახარების ქადაგებით მცირე აზიის რომაულ პროვინციებში, ხოლო წმ. პეტრესა და წმ. პავლეს სიკვდილის შემდეგ თავისი მუდმივი ადგილსამყოფელი დაიფუძნა ეფესოში. აქედან მართავდა იგი მცირე აზიის ეკლესიებს მათი უმაღლესი მოძღვრის ხარისხში.

ეფესოდან იგი გადასახლებულ იქნა კ. პატმოსზე იმპერატორ დომიციანეს დროს, მას შემდეგ, რაც სასწაულებრივად შეინარჩუნა თავისი სიცოცხლე ადუღებული ზეთის ქვაბში ჩაგდებისას. ამ გადასახლებაში დაწერა მან თავისი აპოკალიფსი, ღვთის ეკლესიის მომავალი ბედის შესახებ და მთელი სამყაროს. ნერონის დროს იგი დაბრუნდა ეფესოში და ქრისტიანული ერის I საუკუნეში, აქ მრავალთა დაბეჭითებული თხოვნის შემდეგ, დაწერა თავისი სახარება და შემდეგ სამი ეპისტოლე. მთელი ცხოვრება დარჩა ქალწულად და აღესრულა თავისი გამოუცნობი სიკვდილით, II საუკუნის დასაწყისში, 100 წელზე მეტი ხნისა, ქ. ეფესოში, სადაც ღღემდე დატოვა მის შესახებ მოგონება თავის თანამედროვე სახელწოდებაში „აია სელუკ“, რაც ნიშნავს „წმიდა ღვთისმეტყველს“.

იოანეს პირველი ეპისტოლეს უტყუარობა

თუმცა წმ. იოანე ეპისტოლეს დასაწყისში არ ასახელებს თავის თავს, მაგრამ საუბრობს თავის თავზე, როგორც თვითმხილველზე უფლის იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა (1:1-4). ძველად ერთსულოვნად აღიარებდნენ ამ ეპისტოლეს იოანე

ღვთისმეტყველის დაწერილად. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია წმ. პოლიკარპესა და პაპი იერაპოლელის ჩვენებები, რომლებიც იყვნენ წმ. იოანე ღვთისმეტყველის მოწაფეები, ასევე წმ. ირინეოს ლიონელის, წმ. პოლიკარპეს ყოფილი მოწაფის; მოწმობას მისი უტყუარობის შესახებ ჩვენ ვნახულობთ კლიმენტი ალექსანდრიელთან, ტერტულიანესთან, ორიგენესთან, დიონისე ალექსანდრიელთან და სხვებთან. იგი არის სირიულ თარგმან პეშიტოში. ევსევი მიათვლის ამ ეპისტოლეს კანონიკურს. უძველეს ეკლესიაში არანაირი ეჭვი არ არსებობდა მისი უტყუარობის შესახებ.

ყველა შინაგანი ნიშანი ეპისტოლესი ამტკიცებს, რომ დამწერი ერთი და იგივე პირია მეოთხე სახარების ავტორთან. დიონისე ალექსანდრიელი აღნიშნავდა: „იოანეს სახარება და ეპისტოლე ერთმანეთს და ერთნაირად იწყება...“.

იოანეს ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი

ეპისტოლის დასაწყისი და მთელი მისი ტონი და ხასიათი იძლევა იმის გაგებას, რომ იგი დაწერილია იოანეს სახარების შემდეგ. ეპისტოლეს პირველი სიტყვები მიუთითებენ იგივე ავტორის სხვა ეპისტოლეზეც და თვით გამოთქმასაც იქედან: „**რაც იყო დასაბამიდან, რაც მოგვისმენია და ჩვენი თვალთ გვინახავს, გაუწყებთ თქვენ**“ (მუხლ.1-3). ეს სიტყვები წმ. იოანემ გადმოსცა თავის სახარებაში, ხოლო აქ მხოლოდ ამაზე შეახსენებს ქრისტიანთა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განმტკიცებისათვის. აი, რატომაც უძველესი დროიდანვე ეკლესიაში განმტკიცდა გადმოცემა, რომ ეს ეპისტოლე დაწერილია წმ. ღვთისმეტყველის მიერ სახარების დაწერიდან გარკვეული ხნის შემდეგ, ე.ი., ალბათ, I ასწლეულის დასასრულს. რამდენადაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები წმ. მოც. იოანემ გაატარა მცირე აზიაში და კერძოდ ეფესოში, სადაც დაასრულა კიდევ თავისი მიწიერი მსახურების სარბიელი, ამიტომაც, უეჭველია, პირველი ეპისტოლე მისი დაწერილია ეფესოში.

ეპისტოლეს პირველად დანიშნულება და აღძვრა დაწერისაკენ

შინაარსით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მიმართულია მც. აზიის ეკლესიების ქრისტიანთათვის, უკვე დიდი ხანია დაფუძნებულთაღმი და დიდი სიმრავლით დამყარებულთაღმი წარმართთა შორის, ვიდრე იუდეველთა შორის (იხ. 1ინ. 5:21). ეპისტოლეს შინაარსიდან ჩანს, რომ მისი დაწერის დროიდან განსაკუთრებულად მომრავლდა მც. აზიაში ის დახვეწილი გნოსტიკური ცრუსწავლებები, რომლებმაც შეცვალეს უხეში ხორციელი იუდაიზმი და წარმართობა და რომელთა წინააღმდეგ უკვე იბრძოდნენ წმ. მოციქულები იუდა და პეტრე, თავიანთ კათოლიკე ეპისტოლეებში და წმ. მოც. პავლე თავის სამოძღვრო ეპისტოლეებში. საშიშროებამ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მც. აზიის ეკლესიებს ამ ცრუმოდღვართა მხრიდან, აღძრა წმ. მოც. იოანე, მიემართა მათდამი კათოლიკე ეპისტოლეთი. ამაზე არის აშკარა მითითებები თვით ეპისტოლეში (2:19-22; 4:1-3 და სხვ.). ეს ცრუმასწავლებლები – გნოსტიკოსები – უარყოფდნენ იესო ქრისტეს ღვთაებრიობას და მის ღირსებას, როგორც სამყაროს მხსნელისა. უარყოფდნენ ამიტომაც მისი განკაცების სინამდვილეს (2:3,4,29; 4:6). ამტკიცებენ, რომ ცოდნა აძლევს ადამიანს სრული თავისუფლების უფლებას, ზნეობრივ თავაშეებულებას და გარყვნილებას, რომელსაც მიეცემოდნენ ხოლმე.

ამის შესაბამისად საერთო ხასიათი ეპისტოლესი დამრიგებლური და მამხილებელია, თუმცა პირდაპირი პოლემიკა არ არის, როგორც არ არის სახარებაში. მოციქულს მხედველობაში აქვს იგივე მიზანი, რაც სახარებაში – განამტკიცოს რწმენა იესო ქრისტეში, როგორც ძე ღვთისას, რათა ყველამ მიიღოს მისი მეშვეობით მარადიული სიცოცხლე და იყვნენ ჭეშმარიტებაში და სიყვარულში.

წმ. მოც. იოანეს პირველი ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა

თავის პირველ ეპისტოლეში წმ. მოც. იოანე საუბრობს მორწმუნეებთან, როგორც მამა შვილებისადმი, სრულიად სადად, მკაცრად განსაზღვრული აზრთა თანმიმდევრობის გარეშე. ამიტომაც ძნელია მისი ეპისტოლეს დამოუკიდებელ განყოფილებებად დაყოფა.

პირველი თავი იწყება სიცოცხლის სიტყვის შესახებ კეთილხარების ჭეშმარიტების და ამ ხარების მიზნების შესახებ მოწმობით: „**რათა თქვენც გქონდეთ თანაზიარება ჩვენთან, ხოლო ჩვენი მოზიარება არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან**“ და „**რათა სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული**“. როგორც თავის სახარებაში, ასევე აქაც წმ. იოანე ასახელებს ყოვლადწმიდა სამების მეორე პირს „**სიტყვად**“. მოციქული ამოწმებს, რომ ისაუბრებს არა იმაზე, რაც მხოლოდ ყურმოკვრით იცის, არამედ იმაზე, რისი თვითმიხილველიცაა, მსმენელიც და მოწმეც. „**თქვენი სიხარული სავსე იყოს**“ – გამოთქმა სრულიად მსგავსი იოანე მახარებელისა 15:11 და 17:13 (მუხლ.1-4)

შემდგომ მოციქული განმარტავს პირობებს და სჯულს, რომლებზეც ღმერთთან ურთიერთობა მტკიცდება: 1) ნათელში სიარული – „**თუ ვამბობთ, რომ თანაზიარება გვაქვს მასთან, ბნელში კი დავდივართ, მაშინ გტყუით და არ ვიქცევით ჭეშმარიტებით**“. (მუხლ.5-6). 2) ურთიერთობა ერთმანეთთან – „**თუ ნათელში დავდივართ... მაშინ მოზიარება გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან**“. (მუხლ.7). 3) ცოდვათა აღიარება – „**თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს**“, არ შევიგნებთ მხოლოდ მათ, არამედ ვაღიარებთ მათ ღმერთის წინაშე, მაშინ „**მოგვიტევენ ცოდვებს**“ (მუხლ. 8-9). „**თუ ვამბობთ, რომ არ შეგვიცოდავს, ცრულ ვსახავთ მას**“, ე.ი. უარყოფთ ქრისტეს მთელ სწავლებას კაცთა ცოდვებისათვის მისი გამომსყიდველი მსხვერპლის შესახებ.

მეორე თავში მოციქული ამბობს, რომ ქრისტე არის „**ჩვენი და არამარტო ჩვენი, მთელი სოფლის ცოდვების მიმტვევებელი**“, ე.ი. მთელი კაცობრიობის ცოდვების, არამარტო ცოცხლების, არამედ გარდაცვალებულთა, და ვინც იცოცხლებს კიდევ ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. ეს – ქრისტიანობის ძირითადი მდგომარეობაა(მუხლ.1-2). როგორ ვისარგებლოთ ამ მიმტვევებლობით? მცნებათა დაცვით: „**იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ დავიცავთ მის მცნებებს**“. (მუხლ.3). მცნებათა ეს დაცვა – ერთადერთი მოწმობაა ჭეშმარიტი სიყვარულისა ადამიანისა ღმერთისადმი და მოყვასისადმი, ვინაიდან ძირითადი მცნება ღვთისა არის სიყვარული. ეს მცნება არის ძველიც და ახალიც. იგი ძველია, იმიტომ რომ იყო ძველ აღთქმაშიც, დაწერილი იყო წარმართთა გულის ფიცარზეც კი, მაგრამ ქრისტემდე დედამიწაზე იყო ბნელეთის სამეფო, ამიტომაც სიყვარულის გრძნობას ახშობდა ადამიანებში ეშმაკის საწინააღმდეგო შეგონებები. როცა ქრისტემ მსხვერპლად მიიტანა თავი და თავისი სისხლით გამოისყიდა ადამიანები პირველშობილი ცოდვისაგან, დაარღვია მსოფლიოში ეშმაკის სამეფო, ძველი მცნება სიყვარულის შესახებ განაახლა განახლებულ ადამიანთა გულებში, იქცა ახალ მცნებად და ნამდვილად მოიპოვა ახალი ამაღლებული ხასიათი განსაკუთრებული სიწმინდისა, უანგარობისა, უსასრულოდ აღემატება რა წარმართთა და იუდეველთა სიყვარულს. ქრისტიანული სიყვარული ფუნდებდა ქრისტეს საყოველთაო გამოსყიდვისა და ყველა ადამიანის ქრისტეში სულიერი ერთობის უმაღლეს იდეაზე. აქედან მხოლოდ ქრისტიანობაში შესაძლოა მტრის სიყვარული (მუხლ.5-8), ამიტომ ვინც ეხლა ამბობს, რომ „**ნათელშია, თავისი ძმა კი სძულს, იგი კვლავ ბნელშია**“, ე.ი. ის ჯერ კიდევ არ არის ქრისტიანი. ქრისტიანული სულის განწყობილების მოწმობა მხოლოდ „**ძმის სიყვარულია**“ (მუხლ.9-11) მე-12 მუხლიდან დაწყებული მოციქული იწყებს ახალი დარიგების გადმოცემას, კერძოდ: გაფრთხილება სოფლის სიყვარულისაგან, რისკენაც

მოუწოდებს ყველა ასაკის ადამიანებს. როგორც ღვთისადმი მოყვასისადმი სიყვარული არის ქრისტიანული სრულყოფილების ნიშანი, ასევე ქრისტიანობის ამ ძირითადი მცნების აღსასრულებლად უდიდეს წინააღმდეგობად ითვლება სოფლისადმი და რაც სოფელშია მისდამი სიყვარული. ამიტომ მოციქული აფრთხილებს ყველა ასაკის ადამიანს ასეთი სიყვარულისაგან: ჭაბუკებს, მამებს, ბავშვებს და ყრმებს. აქ ალბათ მხედველობაშია სულიერ-ზნეობრივი ასაკები, თუმცა არ შეიძლება სრულიად გამოვრიცხოთ ბუნებრივი ასაკებიც, რომლებიც ზოგჯერ ემთხვევიან სულიერ-ზნეობრივ ცხოვრების საფეხურებს. რასაკვირველია, „სოფელში“ აქ არ უნდა ვიგულისხმოთ თვით უღამაზესი და უბრძნესი ქმნილება ღვთისა, არამედ ყოველივე, რაც მსოფლიოში ცოდვით არის შერყვნილი და საკვებად აღგება ცოდვას. შემდგომ მოციქული განსაზღვრავს, რომ ასეთია ეს სამყარო, რომელიც არ უნდა გვიყვარდეს: ეს – **„ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა“**. წმ. მამათა სწავლებით ესენი თავმოყვარეობის შეილება, რომლებიც, იქცევიან ფესვებად სხვა დანარჩენი ვნებებისათვის; ესენია – ვერცხლისმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა, ავხორცობა. რათა აღძრას სოფლის არშეყვარებისაკენ ადამიანი, მოციქულს მოჰყავს სიტყვები: **„გადადის სოფელი და მისი გულისთქმაც, ღვთის ნების აღსრულებული კი რჩება უკუნისამდე“**. (მუხლ.12-17) **„ყრმანო, უკანასკნელი უამია“** – მითითებაა იმაზე, რომ დადგა უკანასკნელი ეპოქა ღვთიური აღმშენებლობისა, რომელიც უნდა დამთავრდეს ქრისტეს მეორედ მოსვლით და სამყაროს აღსასრულით. **„როგორც მოისმინეთ, რომ მოდის ანტიქრისტე და ახლაც მრავლად არიან ანტიქრისტეები“** – სწავლება ანტიქრისტეს შესახებ, როგორც განსაზღვრულ ადამიანთა პირებზე ჩვენ ვნახულობთ თვით უფლის იესო ქრისტეს სიტყვებში (ინ. 5:43), ხოლო განსაკუთრებით წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეებში, რომლებიც დაწერილნი არიან იოანეს ეპისტოლეებზე გაცილებით ადრე. (2თეს. 2:3-9). თუმცა ჯერ კიდევ ანტიქრისტე არ არის, მაგრამ გამოჩნდნენ მისი წინამორბედნი, ატარებდნენ რა მის სულს, როგორებადაც წმ. მოც. თვლის სიმონ მოგვს, კერიმფას, ნიკოლაელებს, რომელთაგანაც აფრთხილებდნენ ქრისტიანებს წმ. მოც. პეტრე და წმ. მოც იუდა. **„ისინი ჩვენგან გავიდნენ, თუმცა ჩვენგანნი არ ყოფილან“**, ე.ი. იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად მიეკუთვნებოდნენ ეკლესიას, შინაგანად კი მის გარეთ იყვნენ, რის გამოც ცრუმოდვრებად იქცნენ. (მუხლ. 18-19). **„თქვენ კი ცხებულება გაქვთ წმიდის მიერ და იცით ყველაფერი“** – მოციქული არ საუბრობს დაწვრილებით ანტიქრისტეზე, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ქრისტიანებს თავად აქვთ განათლება სული წმინდისაგან მათზე მირონცხების საიდუმლოს აღსრულებით. თავდაპირველად ქრისტიანები ღებულობდნენ განსაკუთრებულ ნიჭებს სული წმიდის მოციქულთა ხელდებით, მაგრამ მალევე ეს მოქმედება შეიცვალა წმიდა მირონის ცხებით. ეს ჩანს 2კორ. 1:21-22 და ეფ. 4:30-ში. **„იცით ყველაფერი“** – რასაკვირველია, ასეთი გაგებით – „იცით, რაც ცხონებისათვის არის საჭირო, ამიტომაც შეგიძლიათ გამოიცნოთ ერეტიკოსთა სიცრუე“. ყველა საიმედო ნიშანი მათი ცრუ სწავლებისა, წმ. მოციქულის მიხედვით, არის უარყოფა ან დამახინჯება ჭეშმარიტი სწავლებისა იესო ქრისტეზე, როგორც კაცთა ხსნისათვის მხოლოდშობილის ძე-ღვთისას შესახებ. ასეთს **„არც მამა ჰყავს“**, ვინაიდან მხოლოდ ძე-ღვთისას მეშვეობით ვსწავლობთ ჩვენ მამა ღმერთის შემეცნებას და შეყვარებას. (მთ. 11:27). იმისათვის, რომ მჭიდრო კავშირში ვიყოთ ძესთან და მამასთან, მჭიდროდ უნდა დავიცვათ სარწმუნოების მორწმუნეობრივი აღმსარებლობა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვეძლება მივიღოთ მარადიული სიცოცხლე (მუხლ. 20-26). შემდგომ წმ. მოციქული კვლავ აღნიშნავს მადლის უდიდესი საქმის მნიშვნელობას, რომელსაც მორწმუნეები ღებულოენ მირონცხების საიდუმლოს მეშვეობით. **„ცხებულება, რომელიც თქვენ მიიღეთ მისგან თქვენშია და**

არავისგან სწავლება არ დაგჭირდებათ“. და შეაგონებს შეურყევლად დაცვას იესო ქრისტეს ღვთაების აღმსარებლობის, შეახსენებს რა ქრისტეს მეორედ მოსვლის სიახლოვეს და შეაგონებს გაბედულებას. (მუხლ.27-29)

მესამე თავში წმ. მოციქული ზემოთ აღნიშნულ აზრებზე დაყრდნობით საუბრობს ღმერთთან დამოკიდებულების თავად ცხოვრებაში გამოვლინების შესახებ და ჰყოფს ადამიანებს მათი ცხოვრების მიხედვით ღვთის შვილებად და ეშმაკის შვილებად. ადამიანის ცოდვით დაცემით კაცთა მოღვა ადმოჩნდა ეშმაკის მონობაში; უფლის იესო ქრისტეს გამოსყიდვით ყველა ადამიანს მიეცა შესაძლებლობა იყოს ღვთის შვილი, ღებულობს რა ნათლობის საიდუმლოში განახლებას და ძლიერდება რა ღვთაებრივ ცხოვრებაში სხვა საიდუმლოებით და საკუთარი ძალებით მისდოს სიცოცხლეში ქრისტეს კვალდაკვალ, მისი მცნებების მიხედვით (მუხლ.1-8) **„ღვთისაგან შობილი არ სჩადის ცოდვას“** – ეს გამოთქმა იმ გაგებით არ უნდა გავიგოთ, რომ მორწმუნე ქრისტიანი არასოდეს არ სცოდავს, არამედ იმ გაგებით, რომ იგი ადვილად არ ნებდება ცოდვას, იბრძვის მასთან მთელი ძალებით, ცდილობს განშორებას ცოდვისაგან, და თუკი დაეცემა მაშინ მიიჩქარის თავისი ცოდვების აღიარებისათვის (1:10). ზუსტად ისევე, როცა მოციქული ამბობს: **„ვინც ცოდვას სჩადის, ის ეშმაკისგანაა“**, საუბარია არა იმ ადამიანის შესახებ, რომელსაც გააჩნია ცოდვა (1:8) და აკეთებს ბოროტს (რომ. 7:20), თუმცა სძულს იგი, არამედ იმ ადამიანზე, რომელსაც უყვარს ცოდვა, აკეთებს მას ტკბილად და მისდამი გრძნობით. აქ საუბარია ცოდვილზე, რომელიც მიდრეკილია ცოდვისაკენ მუდმივად და მოუნანიებლად, და არა იმაზე, ვინც სისუსტისა გამო სცოდავს, შეიცნობს თავის ცოდვებს, და ცდილობს წმიდა სინანულით და აღსარებით მათგან განთავისუფლებას (მუხლ.8-9). ღვთის შვილისათვის დამახასიათებელი ნიშანია სიყვარული მოყვასისადმი და იესო ქრისტეს, როგორც ძე ღვთისას, რწმენა. უარყოფის მაგალითად, თუ როგორ არ უნდა მოვექცეთ მოყვასს, წმ. მოციქულს მოჰყავს, ძმის მკვლეელი კაენი და ამბობს, რომ მისი მსგავსია არა მხოლოდ ფიზიკური მკვლეელი, არამედ **„ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა“** (მუხლ.10-15). მოყვასისადმი სიყვარულის უდიდესი მაგალითია თვით უფალი იესო ქრისტე, რომელმაც დასდო თავი თვისი ჩვენთვის (მუხლ.16). ჭეშმარიტი სიყვარული მოყვასისადმი მტკიცდება მოწყალების საქმეებით (მუხლ. 17-18). **„ნუ გვიყვარს სიტყვებით, ნურც ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით“**. მოყვასისადმი ჭეშმარიტი სიყვარულის შეცნობა, რომელიც კეთილი საქმეებიდან გამომდინარეობს, ამშვიდებს ჩვენს სინდისს და გვაქცევს ჩვენ ღვთის წინაშე ღოცვებში მღვიძარედ (19-22). ამასთან ერთად მოციქული შეგვახსენებს, რომ ღვთის მცნება საკუთრივ ერთია, თუმცა შედგება ორი ნაწილისაგან: „რომ გვწამდეს მისი ძის იესო ქრისტეს სახელი და გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორაც გადმოგვცა გადმოგვცა მცნება“. ამ მცნების შესრულებისათვის ჩვენ გავხდებით ღირსნი ღმერთთან გუწრფელი ურთიერთობისა, რის მოწმედაც ვლინდება ჩვენში სულიწმიდის მყოფობა (მუხლ.23-24).

მეოთხე თავში წმ. მოციქული შეაგონებს ქრისტიანებს, რათა ყველა სულს არ ერწმუნონ, არამედ გამოსცადონ სულები, **„ღვთისაგან არიან თუ არა“**. ამ საცდელი ქვისათვის წმ. იოანეს მოჰყავს სიტყვა ღმერთის განკაცების შესახებ ქრისტიანობის ძირითადი დოგმატი: **„ყოველი სული, რომელიც აღიარებს ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს, ღვთისაგან არის“**. აქ „აღიარებს“ ნიშნავს არა მხოლოდ „ბაგეებით“, ვინაიდან ჩვენ ვიცით სახარებიდან, რომ თვით ეშმაკებიც აღიარებდნენ სიტყვით იესო ქრისტეს ძე ღვთისად ეშმაკულების მეშვეობით, არამედ მთელი თავისი ცხოვრებით. წმ. ირინეოს ლიონელის სიტყვებით მოციქულის ეს სიტყვები მიმართულია დოკეტების წინააღმდეგ, ასწავლიდნენ რა ცრუდ, თითქოსდა უფალს ჰქონდა მხოლოდ მოჩვენებითი სხეული, მაგრამ სინამდვილეში არ განხორციელებულა. (მუხლ.1-3) მაგრამ

სამყაროში ანტიქრისტეს როლის გამოვლინებამ მრავლრიცხოვანი ერეტიკოსებით – არ უნდა შეაშფოთოს ქრისტიანები: „ისინი სოფლისანი არიან“ და შეუძლიათ წუთისოფლის ნებებსა და გემოვნებას შეეგუონ, რის გამოც წუთისოფელი უსმენს მათ. „ჩვენ ღვთისაგან ვართ“, ამბობს შემდეგ მოციქული და ამიტომაც ვინც იცნობს ღმერთს, ის გვისმენს ჩვენ. ეს არის იმის ნიშანი, თუ როგორ განვასხვავოთ „სული ჭეშმარიტი“ „ცდომილების სულისაგან“ (მუხლ. 4-6) სხვა ყველა დამახასიათებელი ნიშანი ღვთის შვილებისა – მოყვასისადმი სიყვარული: იგი ანათესავებს მათ ღმერთთან, მჭიდროდ აკავშირებს მასთან: „გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღვთისგანაა სიყვარული... ვინაიდან ღმერთია სიყვარული“. „ვისაც არა აქვს გულში სიყვარული მოყვასისადმი „არ შეუცვნია ღმერთი“ – არა აქვს შესაფერისი ცოდნა ღმერთის შესახებ. გამოთქმა „ღმერთი სიყვარულია“ მხოლოდ წმ. მოც იოანეს ეკუთვნის და სხვაგან არსად გვხვდება. ეს ყველაზე საუკეთესო და სრული განსაზღვრებაა ღვთის არსისა (მუხლ.7-8). უმაღლესი გამოვლინება ღვთის ადამიანისადმი სიყვარულისა იმაშია, „რომ ღმერთმა მოაგვლინა სოფელში თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა მისით ვიცოცხლოთ“. ამაში – შეგონებაა ჩვენთვის როგორც ღმერთისადმი, ასევე მოყვასისადმი სიყვარულისა, ვინაიდან მხოლოდ „სიყვარულში დარჩენილი რჩება ღმერთში“. (მუხლ.7-16). ეს სიყვარული იმდენად მაღლაა თავის სრულყოფილებაში, რომ აღწევს ღვთის სამსჯავროს წინაშე და მორწმუნის სულიდან საერთოდ დევნის შიშს. რასაკვირველია, მოციქული საუბრობს აქ მონურ შიშზე, რომელიც უადგილოა ღმერთთან შვილურ სიყვარულთან (მუხლ. 17-18). მოუწოდებს რა ქრიატიანებს ღვთის სიყვარულისკენ, მოციქული მთელი დამაჯერებელი ძალით არწმუნებს, რომ ღვთის სიყვარული შესაძლებელია მხოლოდ მოყვასისადმი ქმედითი სიყვარულით: „თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარს, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა“. უხილავი სიყვარული გაცილებით რთულია, ვიდრე ხილული სიყვარული, ამიტომაც არ შეიძლება ღვთისადმი ჭეშმარიტი სიყვარული ჰქონდეს იმას, ვისაც არ უყვარს „თავისი ძმა“ და კიდევ მცნება: რომ „ღვთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს“. (მთ. 22:38-39) (მუხლ. 19-21)

მესუთე თავში წმ. მოციქული გვიხსნის, რომ მოყვასისადმი სიყვარულის შესახებ მცნება არ არის მძიმე ქრისტიანისათვის, ვინაიდან იგი ბუნებრივია მომდინარეობს ღვთისადმი სიყვარულის შესახებ მცნებიდან: „ვისაც მშობელი უყვარს, მისგან შობილიც უყვარს. მოყვასისადმი სიყვარული, მაშასადამე, ითვლება ჩვენი ღმერთისადმი შვილობის ბუნებრივ შედეგად. ღმერთი ჩვენი საერთო მოყვარული მამაა, ხოლო ყველა ჩვენ – მისი შვილები და ერთმანეთისათვის – ძმები. ღმერთისადმი ჭეშმარიტი სიყვარულის ნიშანი – მისი მცნებების დაცვაა, რაც მოყვარულისათვის არ არის მძიმე. ამისათვის მორწმუნეს განსაკუთრებული ძალა აქვს, რათა დაძლიოს წუთისოფლის ცდუნებები. ეს ძალა – რწმენაა ძე ღვთისადმი: „ეს არის ძლევა, სოფლის მძლეველი ჩვენი რწმენა“, იმიტომ რომ ჩვენი რწმენით ჩვენ გვენიჭება საიდუმლოებებში ღვთის მაღლმოსილი დახმარება-შეწვნა ცდუნებებთან ბრძოლისათვის. ყველაზე ამაღლებულ წუთისოფელზე გამარჯვების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქრისტეს მოწაფეები, მოციქულები, რომლებმაც თავიანთი ქადაგებებით თავდაპირველად ერთობ მტრულად განწყობილი მთელი მსოფლიო ქრისტეს ჯვრის ფერხთ მოაქციეს. (მუხლ.1-5). ამტკიცებს რა ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტებას, რომ იესო ქრისტე ნამდვილად არის ძე ღვთისა, განხორციელებული, მოსული დედამიწაზე და მომნიჭებული ჩვენთვის მარადიული სიცოცხლისა და წუთისოფელზე გამარჯვებული, მოციქული მიმართავს სამ მოწმეს ზეცაზე და სამ მოწმეს დედამიწაზე. მოწმეები ზეცაზე: მამა, ძე და სულიწმიდა, ხოლო მოწმეები დედამიწაზე: სულია (იგივე სულიწმიდა, მაგრამ უკვე არა მის პირში, ანუ ჰიპოსტასში, არამედ მის მოქმედებებში, რომლებითაც

იგი მოწმობს ქრისტეს შესახებ), წყალი და სისხლი (იესოს, როგორც ჭეშმარიტი ადამიანის გვერდიდან გადმომდინარე და ქცეულნი ორი დიდი საიდუმლოს საგნად – ნათლობისა და ზიარების). ძველ აღთქმაში ლევიტელთა ღვთისმსახურებისას მთავარ მოქმედებად, რომელთა მეშვეობითაც ცოდვილები იწმინდებოდნენ ცოდვითაგან და ურიგდებოდნენ ღმერთს, იყო წყლისაგან განწმენდა და მსხვერპლშესაწირავის სისხლიდან განწმენდა. (რიცხვ. 19:9 და ლევ. 14:5-7). ეს მოქმედებები, როგორც მთელი წესები მოსეს სჯულისა, ატარებდნენ წინასახეობრივ მნიშვნელობას ქრისტესთან და მის მიერ კაცობრიობის ხსნის აღსრულებასთან მიმართებაში (ებრ. 10:1, 1კორ. 10:1 და ა.შ.). ქრისტემ შეცვალა წინასახეობა ძველ აღთქმაში და ჩაანაცვლა ხსენებული თვით საგანთა არსით, ანუ ჭეშმარიტით, მაგრამ გამოსახულებით, რამდენადაც გამოსახულება აუცილებელია ადამიანისთვის ჭეშმარიტების გასაგებად, რამდენადაც ადამიანი შედგება სულისაგან და ხორცისაგან. წინასახე ახ. აღთქმაში შეიცვალა სახით. წყალი არის ნათლობის სახე, სისხლი მაცხოვრის მიერ ჯვარზე სიკვდილით კაცობრიობის გამოსყიდვის სახე. მაშასადამე, „იესო ქრისტეს მოსვლა წყლითა და სისხლით“ – ეს არის მის მიერ ზიარებისა და ნათლობის საიდუმლოებების დაწესება. „არა მხოლოდ წყლით, არამედ წყლითა და სისხლით“ – ეს სიტყვები, ჩანს, მიმართულია მოციქულის თანამედროვე ერეტიკოსის კერიმფას წინააღმდეგ, რომელიც ცრუდ ასწავლიდა, რომ ქრისტეს ღვთაება შეუერთდა ადამიანურს მხოლოდ მისი ნათლობისას და კვლავ გაიყო მისგან ტანჯვისას, ასე რომ ივნო არა ძე ღვთისამ, არამედ უბრალო ადამიანმა (მუხლ.6-9). გარდა ამისა, ქრისტიანს შინაგანი მოწმობა თავის თავზე: ეს დამადასტურებელი მოწმობა თავის საკუთარ სულშია, ცხებულებით დაბეჭდული (2:20), ანუ სულიწმიდის ბეჭდით (2კორ. 1:21,22), რომლითაც მან იცის და დარწმუნებულია, რომ იგი ქრისტეში შერიგებული ღმერთთან და აქვს სასოება მარადიული სიცოცხლისა. ამ შინაგან მოწმობაზე საუბრობდა თვით უფალი (იხ. ინ. 7:16, 3:33). ეს შინაგანი მოწმობა გამოხატულია ასევე მორწმუნის ღოცვით შემართებაში: „როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს“. ამიტომ, თუკი ცოდვილი მოყვასისადმი სიყვარულით ვლოცულობთ „ღმერთი მისცემს მას სიცოცხლეს“. მაგრამ ამასთან მოციქული აკეთებს მნიშვნელოვან გამოთქმას: თუკი მოყვასი სცოდავს „არასასიკვდილო ცოდვით“. ამ დაყოფას „სასიკვდილო ცოდვისა“ და „არასასიკვდილო ცოდვისა“ აქვს იგივე აზრი, რაც უფლის, იესო ქრისტეს სიტყვას იმის შესახებ, რომ ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევება ადამიანს, მაგრამ გმობა სულიწმიდისა არ მიეტევება ადამიანს არც ამ საუკუნეში და არც მომავალში (მთ. 12:31-32) „არასასიკვდილო ცოდვა“ – ეს ადამიანის ყოველგვარი ცოდვაა, რომელიც მომდინარეობს ადამიანის სისუსტისაგან – ცოდვა, გულწრფელი სინანულით მონანიებული და ამიტომაც არ გადაეცემა ცოდვილი სულიერ სიკვდილს. „სასიკვდილო ცოდვა“ – ეს მძიმე ცოდვაა, რომლის ჩადენით ადამიანი ისე სასტიკდება გულით, რომ სინანული აღარ შეუძლია. ასეთია ჯიუტი, ურჩი, ურწმუნოების ცოდვა, უდრეკი განდგომა რწმენისაგან. ფაქტიურად ასეთი ცოდვა უკურნებელია. მოციქული თვლის, რომ არ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული მოყვასისადმი ღოცვის ძალაში, რომელიც ეხება სასიკვდილო ცოდვას, ვინაიდან ასეთი ღოცვის წარმატებას ეწინააღმდეგება ურწმუნოება და გასასტიკება თავად ცოდვილისა. დასასრულს (მუხლ.18-21) მოციქულს მოკლედ მოჰყავს ეპისტოლეს ძირითადი აზრები იმის შესახებ, რომ ღვთისაგან შობილი არ სცოდავს, ეი ცოდვისაგან არ იძლევა სრულებით, იმიტომ რომ იცავს თავს განახლების მადლით და ბოროტი ვერ შეეხება მას, რომ ქრისტიანი ღმერთისგანაა, ხოლო ურწმუნოთა სოფელი ბოროტებასა ზედა დევს: ძე ღვთისამ კი მოგვცა ჩვენ ჭეშმარიტი ცოდნა, რათა დავიცვა თავი კერპთაგან, ე.ი. საერთოდ ყოველგვარი ბოროტებისაგან.

წმ. იოანე ღვთისმეტყველის II კათოლიკე ეპისტოლე

წმ. იოანე ღვთისმეტყველის II კათოლიკე ეპისტოლე, ისევე როგორც მესამე უძველეს ეკლესიაში შედიოდა „დავათა“ რიცხვში, ე.ი. ისეთთა, რომლებსაც ყველა არ ცნობდა ნამდვილად, მოციქულის კუთვნილებად. ამის შესახებ საუბრობენ ორიგენე, ევსევი და იერონიმე. ძველ სირიულ თარგმანში, პეშიტოში, ეს ეპისტოლე, ისევე როგორც მესამე, არ არის, თუმცა აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ სირიული ეკლესია არ ცნობდა მის უტყუარობას, ნამდვილობას. სხვა მხრიდან რომ შევხედოთ, ისეთ ცნობილ წარმომადგენელს ეკლესიისას, როგორცაა ირინეოს ლიონელი, პოლიკარპე სმირნელის მოწაფე, თავის მხრივ წმ. იოანე ღვთისმეტყველის მოწაფე, მოჰყავს სიტყვები იოანე ღვთისმეტყველის II კათოლიკე ეპისტოლედან. კლ. ალექსანდრიელი საუბრობს მეორე ეპისტოლეს უტყუარობის შესახებ, მსგავსად დიონისე ალექსანდრიელისა. კლიმენტი ალექსანდრიელს ეკუთვნის განმარტება შვიდი კათოლიკე ეპისტოლესი. ეს ნიშნავს, რომ იოანეს მეორე ეპისტოლესიც.

ამ ეპისტოლეს უტყუარობის შესახებ მოწმობენ შინაგანი ნიშნებიც: სული, ტონი, სიტყვები და ენა ეპისტოლესი, რომლებიც შეგვახსენებენ I ეპისტოლეს და სახარებას. არ არის გასაკვირი, რომ ეს ეპისტოლე, როგორც მესამე, არ გახდა სწრაფად ცნობილი მთელი ეკლესიისათვის, ვინაიდან იგი ძალიან მოკლეა და მიმართული იყო კერძო პირისადმი და ამასთან ქალისადმი. დროთა განმავლობაში მან მიიღო საყოველთაო აღიარება და იქნა შეტანილი ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა კანონში.

თუ ვინ არიან მოხსენებული „რჩეული ქალბატონი“ და მისი შვილები არ არის ცნობილი. ერთი ცხადია, რომ ისინი ქრისტიანებია. რაც შეეხება დაწერის დროს და ადგილს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დაწერილია დაახლ. პირველი ეპისტოლის დაწერის დროს, იგივე ეფესოში.

იოანეს მეორე ეპისტოლე შედგება მხოლოდ ერთი თავისაგან. მასში მოციქული გამოთქვამს სიხარულს იმის შესახებ, რომ რჩეული ქალბატონის შვილები დადიან ჭეშმარიტებაში, ჰპირდება სტუმრობას და დაბეჯითებით არიგებს, არ იქონიოს ურთიერთობა ცრუმასწავლებლებთან.

იოანეს მეორე ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა

იწყებს რა ეპისტოლეს, მოციქული არაფერს ამბობს თავის სახელზე, უწოდებს თავის თავს „უხუცესს“, უნდა ჩავთვალოთ ასაკის მიხედვით მისი ხანდაზმულობა. იგი მაშინ იყო დაახლ. 100 წლის. „რჩეულ ქალბატონში“, ვის მიმართაცაა დაწერილი, იგულისხმება ქრისტიანი ქალი, პატივცემული, ცნობილი მაღალი მდგომარეობის მქონე, როგორებიც იყვნენ რომაელი მატრონები. რამდენადაც აქ მხოლოდ შვილებზეა საუბარი და არაფერია ნათქვამი ქმარზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქალბატონი იყო ქვრივი. ეს ოჯახი უყვარს „ჭეშმარიტებით“, ე.ი. ქრისტესმიერი სიყვარულით, უყვარს არა მხოლოდ მას, არამედ ყველას „ვისაც კი შეუცვნია ჭეშმარიტება“, ე.ი. ქრისტიანებს. ამ სიყვარულის მიზეზი ჭეშმარიტებაშია, რომელიც არის ყველა ქრისტიანისათვის სულიერი ცხოვრების მუდმივი საფუძველი. ეპისტოლეს პირველ ნახევარში, უსურვებს რა „მადლს, წყალობას და მშვიდობას“, მოციქული გამოთქვამს სიხარულს იმის გამო, რომ მისი შვილები ღვთისმოსაენი და ჭეშმარიტებაში მავალნი არიან, ე.ი. ქრისტიანული ჭეშმარიტების სწორი გზით, როგორც ღვთის შემეცნებაში, ასევე ღვთის თაყვანისცემაში და არიგებს, როგორც ქალბატონს, ასევე მის შვილებს, უფრო და უფრო გაძლიერდნენ სიყვარულში, როგორც ქრისტიანობის ძირითად მცნებაში (მუხლ. 1-6). ეპისტოლის მეორე ნახევარი მიძღვნილია გაფრთხილებისათვის, რაც გამოწვეული იყო „მაცდურთა“ გამოჩენით, რომლებიც არ აღიარებდნენ „ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს“, ე.ი. უარყოფდნენ იესო ქრისტეს განკაცების საიდუმლოს, „რათა არ დაკარგოთ ის, რისთვისაც ვიდწოდით“, ე.ი. რათა მარადიული ხსნის კეთილმოწყობისათვის გახარჯული ჩვენი

შრომა წყალში არ ჩაიყაროს. უწოდებს რა „მაცდურებს და ანტიქრისტიებს“, მოციქული უკრძალავს მათ სახლში მიღებას და მათ მოკითხვასაც კი, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ცრუმასწავლებლებთან ურთიერთობაში შესულნი თავს იგდებენ საფრთხეში გაისვარონ მათი ცრუსწავლებით. აღსანიშნია, ეს არაჩვეულებრივი სიმკაცრე მოციქულის სიყვარულისა, რომელთანაც არანაირი კავშირი არა აქვს თანამედროვე „ეკუმენიზმის“ იდეებს, ქადაგებს რა დაახლოებას სხვა რელიგიებთან „ურთიერთგაგებისათვის“ (მუხლ.7-11)

თავის ეპისტოლეს მოციქული ამთავრებს იმედის გამოხატვით, რომ პირადად შეხვდება და გადასცემს მოკითხვას მისი დისწულებისაგან – „მოგიკითხავენ შენი დისწულები რჩეულნი. ამინ.“ (მუხლ. 12-13)

წმ. იოანე ღვთისმეტყველის III კათოლიკე ეპისტოლე

წმ. იოანეს III კათოლიკე ეპისტოლეს უტყუარობის შესახებ მოწმობენ როგორც გადმოცემა, ასევე შინაგანი ნიშნები თვით ეპისტოლეში. ამ ეპისტოლეს ტონს, სუფს და ენას თუკი შევადარებთ იოანეს სახარებასთან და პირველ ეპისტოლესთან, ჩვენთვის უეჭველი გახდება, რომ ეს მესამე ეპისტოლეც ეკუთვნის ქრისტეს საყვარელ მოწაფეს.

ეს ეპისტოლე მიმართულია ვინმე გაიოზისადმი. ზუსტად ცნობილი არ არის თუ ვინ არის ეს გაიოზი. მოციქულთა ეპისტოლეებიდან და საეკლესიო გადმოცემიდან ცნობილია, რომ ამ სახელს ატარებდა რამდენიმე პირი (საქმ. მოც. 19:29; 20:4; რომ. 16:23; იკორ. 1:14 და ა.შ.), მაგრამ ამათგან ვის მიმართ არის დაწერილი ეს ეპისტოლე, ამის განსაზღვრა შეუძლებელია. როგორც ჩანს, ამ გაიოზს არ ეკავა არანაირი იერარქიული ვალდებულება, არამედ იყო უბრალო კეთილმოსავი ქრისტიანი.

მესამე ეპისტოლეს დაწერის დროისა და ადგილის შესახებ შეიძლება ვივარაუდოთ იგივე, რაც II ეპისტოლის დაწერის დროზე და ადგილზე. ეს ორივე ეპისტოლე დაწერილია დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, იგივე ეფესოში, სადაც გაატარა წმ. მოც. იოანემ უკანასკნელი წლები თავისი მიწიერი ცხოვრებისა.

ეს ეპისტოლე ასევე მხოლოდ ერთი თავისაგან შედგება. მასში მოციქული აქებს გაიოზს მისი ქველი ცხოვრებისათვის, რწმენაში სიმტკიცისათვის და „ჭეშმარიტებაში სვლისათვის“, ხოლო განსაკუთრებით კი – მისი უცხოთა მიმართ დამოკიდებულებაში ქველმოქმედებისათვის, კიცხავს ვინმე დიოტრეფეს, ამცნობს ზოგიერთ ცნობებს და უგზავნის მოკითხვას.

იოანეს III კათოლიკე ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა

ამ ეპისტოლეშიც, როგორც მეორეშიც, წმ. მოც. არ ახსენებს თავის სახელს, არამედ უწოდებს თავს „უხუცესს“. მიმართავს რა გაიოზს, იგი უწოდებს მას „საყვარელს“ – მიმართვაა, რომელსაც ჩვენ ხშირად ვხედავთ პირველ კათოლიკე ეპისტოლეში. მოციქული გამოსატავს მისდამი სურვილს „ჯანმრთელად იყოს“, „როგორც შენი სული დადის კეთილად“, ე.ი. როგორც თავის საოჯახო საქმიანობაში, ასევე საზოგადოებაშიც აქვს წარმატება. ეს უდიდესი ქებაა მოციქულისა. მოციქული ამას განმარტავს ცნობების მიღებით ვიღაც ძმების მეშვეობით, რომ გაიოზი იცავს სახარებისეულ სწავლებას ერთგულად და „დადის ჭეშმარიტებაში“. „არ არის ჩემთვის იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე იმის მოსმენა, რომ ჩემი შვილები ჭეშმარიტებაში დადიან“ – ამბობს წმ. მოციქული. ეს ერთობ მნიშვნელოვანი აზრია, მოწმობს რა, რომ ქრისტიანობაში ყველაზე ძვირფასი ჭეშმარიტებაა, ე.ი. ნამდვილი, დაუმახინჯებელი, წმიდა სწავლება ქრისტესი (მუხლ.1-4). შემდგომ წმ. მოციქული აქებს გაიოზს უცხოთშემწყნარებლობისათვის, რასაც იგი აკეთებს „ძმებისთვის“, ე.ი. საერთოდ ქრისტიანებისათვის და „უცხოთათვის“, ე.ი.

შორეული ქვეყნებიდან მოსულთათვის. აქ, როგორც ეს ჩანს შემდგომი სიტყვებიდან, „უცხოებში“ იგულისხმება მწირი მქადაგებლები სახარებისა. „მათ დაამოწმეს შენეული სიყვარული ეკლესიის წინაშე“ – ცხადია, იმყოფებოდა რა გაიოზთან და მივიდა რა ევესოში, სადაც ცხოვრობდა წმ. მოციქული, მიუთხრეს მთელი კრებულის წინაშე გაიოზის სტუმართმოყვარეობის შესახებ. „კარგს იზამ, თუ ღვთის წინაშე ღირსეულად გამოისტუმრებ“ – ე.ი გააგრძელებ ამ სტუმართმოყვარეობის საქმეს, მოამარაგებ გზაზე მავალთ ყოველგვარი საჭიროებით და გაუშვებ მათ მშვიდობით. გამოთქმა: „მისი სახელის გულისთვის წავიდნენ“, მოწმობს, რომ აქ საუბარი მიდის სახარების მქადაგებელ მწირთა შესახებ, რომელიც იწოდებოდნენ მაშინ „მახარებლებად“. ეს მახარებლები არაფერს არ ღებულობდნენ წარმართთაგან, რათა არაკეთილმოსურნე ადამიანებს არ მიეღოთ სახარებისეული ქადაგება თავის რჩენის საშუალებად, ამიტომაც ქრისტიანის ვალია მათი მატერიალურად მხარდაჭერა (მუხლ. 5-8). „მე მივწერე ეკლესიას“ – ამბობს შემდგომ მოციქული. არ არის ცნობილი რომელს და რის შესახებ, ალბათ ეს ეპისტოლე არ შემორჩენილა. სწორი იქნება წაკითხვა: „მე მივწერდი ეკლესიას“ მწირი მქადაგებლების შესახებ, მაგრამ „მათში პირველობის მოყვარე დიოტრეფე არ გვღებულობს ჩვენ“. ვინ არის ეს დიოტრეფე არ არის ცნობილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამპარტავანი კაცი, პატივმოყვარე და თვითნება. ამ დიოტრეფეს მოციქული ადანაშაულებს სახარების მქადაგებელ მწირთა მიმართ ძმური სიყვარულის უქონლობის გამო და ემუქრება მკაცრი და ძალაუფლების მქონე სიტყვით მისი უწესობის შეწყვეტას (მუხლ. 9-10). წმ. მოც. შეაგონებს გაიოზს არ აიღოს მაგალითი მსგავსი ბოროტი ადამიანებისაგან, არამედ აკეთოს სიკეთე, შემდეგ აქებს ვინმე დიმიტრის, რომელიც გადმოცემით ფილადელფიის ეპისკოპოსი იყო, ჰპირდება თავად მისვლას და გადასცემს მოკითხვას მეგობრებისაგან და მეგობრებს.

წმ. მოციქულ იუდას კათოლიკე ეპისტოლე

ცნობები ავტორის შესახებ

ამ ეპისტოლეს ავტორი თავის თავს უწოდებს „იუდას, იესო ქრისტეს მონას, იაკობის ძმას“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ერთი სახეა მოც. იუდას თორმეტთაგან, რომელიც იწოდებოდა იაკობ-ლევოდ, ასევე ლებეოსად და თადეოზად (მთ. 10:3; მარკ. 3:18; ლკ. 6:16; საქმ. 1:13; ინ. 14:21). იგი იყო იოსების, ყოვლადწმიდა მარიამის დამწინდველის, შვილი პირველი ნამდვილი მისი ცოლისაგან და ძმა მისი შვილებისა – იაკობის, შემდგომში იერუსალიმის ეპისკოპოსისა, იოსიასი და სიმონისა, შემდგომში ასევე იერუსალიმის ეპისკოპოსისა. გადმოცემით, მისი პირველის სახელი იყო იუდა, თადეოზის სახელი მან მიიღო იოანე ნათლისმცემლისაგან ნათლობის მიღებისას, ხოლო სახელი ლებეოსი მიიღო თორმეტ მოციქულთა დასში ჩარიცხვისას, შესაძლებელია მისი იუდა ისკარიოტელისაგან განსასხვავებლად.

ზოგიერთები თვლიან, რომ ამ ეპისტოლის ავტორს არაფერი საერთო არ აქვს იუდა იაკობისთან ანუ თადეოზთან და ლებეოსთან, რომ 12 მოციქულთა რიცხვში არ შედიოდა (17 მუხლში იგი გამორცხავ თავს მოციქულთა რიცხვიდან), მაგრამ იყო სიტყვის საერთო გაგებით „მოციქული“, ითვლებოდა რა ნამდვილად იაკობის ძმად და ამიტომაც ირაცხება, იაკობის მსგავსად, „უფლის ძმად“. ამ ვერსიის საფუძველად მოჰყავთ მოწმობა იოანეს სახარებიდან 7:5, სადაც საუბარია, რომ „იესოს ძმებს“ მისი მიწიერი ცხოვრების დროს მისი არ სწამდათ, რის გამოც არ გახდნენ ღირსი 12 მოციქულთა რიცხვში არჩევისა. გარდა ამისა თვლიან, რომ მოც. იუდა თორმეტთაგანი არ შეიძლება ყოფილიყო ამ ეპისტოლის ავტორი, რამდენადაც იგი იღწვოდა ქრისტეს სახარების საქადაგებლად სირიაში და აღესრულა ედესაში, ამასთან ძველ სირიულ თარგმან პეშიტოში იუდას ეპისტოლე არ ჩანს.

იუდას მოციქულებრივი მსახურების შესახებ უფლის ამადლებისას გადმოცემა ამბობს, რომ იგი ჰქადაგებდა თავდაპირველად იუდეაში, გალილეაში, სამარიაში და იდუმიაში, ხოლო შემდეგ არაბეთში, სირიაში და მესოპოტამიაში, სპარსეთში და სომხეთში. იგივე გადმოცემა ამბობს, რომ იგი იყო ედესაში, სადაც რამდენიმე ხნით ადრე ჰქადაგებდა სხვა მოციქული თადეოზი 70-განი. ერთი გადმოცემით წმ. იუდა მშვიდად აღესრულა ედესაში, სხვა გადმოცემით – ბეირუთში, მესამე – აღესრულა მოწამეობრივად სომხეთში, ჩამოკიდეს ხეზე და ისრებით დაცხრილეს.

წმ. მოც. იუდას ეპისტოლეს უტყუარობა

ამ ეპისტოლეს უტყუარობის შესახებ ცხადად მოწმობს ტერტულიანე და კლიმენტი ალექსანდრიელი. ორივენი ქებას შეასხამს მას, როგორც ზეციური მადლით აღვსებულს. იგი შეყვანილია კათოლიკეთა რიცხვში, მაგრამ არ არის აღნიშნული სირიულ თარგმან პეშიტოში. ევსევი, იერონიმე და ამფილოქე აღნიშნავენ, რომ ყველა ეკლესიის მიერ ეს ეპისტოლე არ იყო აღიარებული კანონიკურად. მიზეზი ამ ეჭვებისა, იერონიმეს აზრით, იყო მისი შინაარსი. 14 თავში მოციქულს მოჰყავს პატრიარქ ენუქის წინასწარმეტყველება, რომელიც ითვლებოდა აპოკრიფული „ენუქის წიგნიდან“ ნასესხებად. და ამიტომაც იძლეოდა საბაბს თვით იუდას ეპისტოლეს უარყოფის. გარდა ამისა, მე-9 თავში საუბარია მთავარანგელოზ მიქაელის ეშმაკთან კამათზე მოსეს სჯულის შესახებ, მაგრამ ეს კამათი არ არის ცნობილი ძვ. აღთქმის საღვთო წერილისთვის. იგი შეადგენდა აპოკრიფის „მიძინება“, ან სხვაგვარად „აღსვლა“, ან „მოსეს ამადლება“ შინაარსს. IV ს-ში ყველა ეჭვი შეწყდა და მოციქულ იუდას ეპისტოლე, როგორც უტყუარი მიღებული იქნა ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა კანონში.

ეპისტოლეს დაწერის საბაბი

შინაგან საბაბად, რაც ჩანს მე-3 მუხლიდან, იყო მოძრვრული მოშურნეობა წმ. იუდასი „საერთო ხსნაზე“, გარეგნულ საბაბად – ცრუსწავლებათა გაძლიერება, რომელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ წმ. მოციქულები იაკობი, პეტრე და იოანე, რაც ჩვენ დავინახეთ კათოლიკე ეპისტოლეებიდან. წმ. იუდა პირდაპირ ამბობს, რომ იგი წერს იმიტომ, რომ ქრისტიანთა საზოგადოებაში იმალებოდნენ უწმინდური ხალხი, რომლებმაც ღვთის მადლი გარყვნილებად აქციეს. ესენი უეჭველად ცრუმასწავლებელნი, გნოსტიკოსები არიან, ქადაგებდნენ რა გარყვნილებას ქრისტიანული თავისუფლების საბაბით. და თვლიდნენ რა სამყაროს არა ღვთის ქმნილებად, არამედ ღვთისადმი მტრულად განწყობილი უმდაბლესი ძალების წარმოებად. ესენი იგივე სიმონიანტელები და ნიკოლაიტელები არიან, რომელთაც ამხელს წმ. იოანე მე-2 და მე-3 თავებში აპოკალიპსის. ეპისტოლეს მიზანია დაიცვას ქრისტიანები ამ ცრუსწავლებებისაგან. ეპისტოლე განკუთვნილია საერთოდ ყველა ქრისტიანისათვის, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ იგი განკუთვნილია ცნობილი პირთა ჯგუფებისათვის, რომლებშიც ცრუმოდღვრებმა ნახეს დასაყრდენი. დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ეპისტოლე თავდაპირველად მიმართული იყო იგივე მცირე აზიის ეკლესიებისადმი.

დრო და ადგილი წმ. მოც. იუდას ეპისტოლეს დაწერისა

უეჭველია, რომ ეს ეპისტოლე დაწერილია იერუსალიმის დანგრევამდე, რომელიც 70 წელს მოხდა, ვინაიდან წმ. იუდა, ახსენებს რა თავის ეპისტოლეში ყველა მნიშვნელოვან ღვთის რისხვას, არაფერს ამბობს ამის შესახებ, ყველაზე საშინელზე. იგი დაწერილია დაახლ. 67-70 წლებს შორის. დაწერის ადგილზე არანაირი ცნობები არ არსებობს.

წმ. მოც. იუდას ეპისტოლეს შინაარსი და ეგზეგეტიური განხილვა

წმ. იუდას კათოლიკე ეპისტოლე შედგება სულ ერთი თავისაგან და წარმოადგენს ერთ შეუწყვეტელ სიტყვას, მიმართულს ცრუმოდღვართა წინააღმდეგ.

დასაწყისში წმ. მოც. იუდა უწოდებს თავის თავს იუდას და მიუთითებს, რომ იგი არის იაკობის ძმა, იაკობის მსგავსად ვერ ბედავს უწოდოს თავის თავს უფლის ძმა, არამედ მხოლოდ – იესო ქრისტეს მონა. თავისი იმაზე მითითებით, რომ იგი არის იაკობის ძმა, შესაძლებელია, სურდა განსაკუთრებული ყურადღება მიემართა თავისი ეპისტოლესადმი, ვინაიდან წმ. იაკობ მართალი სარგებლობდა განსაკუთრებული დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით. ჩვეულებრივი მისაღმების შემდეგ: „გაგიმრავლდეთ წყალობა, მშვიდობა და სიყვარული“. წმ. იუდა მიმართავს დარიგებით „იღწოდნენ რწმენისთვის, რომელიც ერთხელ წმინდანებს გადაეცა“, ე.ი. ქრისტიანებს. ხსნის რა ამას ცრუმოდღვართა მათ შორის გამოჩენით – ხალხისა, რომელთაც ღმერთის მიერ გამზადებული აქვთ სასჯელი, უღმერთოთ, ღვთის მადლის გარყვნილებად მიმმართველთ და უარყოფელთ უფლის იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა. ვინაიდან ეს ცრუმოდღვარნი, წმ. იუდა ზუსტად არ ასახელებს, მაგრამ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესენი გნოსტიკოსთა მამამთავრებია, რომლებთანაც უხდებოდათ ბრძოლა წმ. მოც. პეტრესა და პავლეს, ხოლო მოგვიანებით წმ. იოანეს (მუხლ. 1-4). მოციქული ემუქრება მათ ღვთის რისხვით, შეახსენებს რა ღვთის სამსჯავროს სამ უსაშინლეს გაკვეთილზე: ისრაელიანთა, ეგვიპტიდან გამოსულთა, დასჯა; დასჯა დაცემული ანგელოზებისა, „რომელთაც არ დაიცვეს თავიანთი ღირსება... საუკუნო ბორკილებისა და წყვიადის ქვეშ შემოინახა, რათა ღიად დღეს იქნან განკითხულნი“ და ღვთის რისხვა დატეხილი სოდომზე და გომორზე, ე.ი. მეძაობენ, უარყოფენ უფლებათ და გმობენ ღიდათ, ე.ი. არ ცნობენ სასულიერო ხელისუფლების ავტორიტეტს – წმ. მოციქულთა და მათ მიერ დაყენებულ ეპისკოპოსთა და პრესვიტერთა (მუხლ. 5-8). ის, რომ წმ. პეტრე საუბრობს საერთოდ ანგელოზებზე, რომლებიც ვერ ბედავენ გმობის მსჯავრი წარმოეთქვათ, წმ. მოც. იუდა საუბრობს მხოლოდ ერთ მთავარანგელოზ მიქაელზე. მას მოჰყავს ერთი გარდამოცემა, რომლის თანახმადაც მთავარანგელოზ მიქაელს პაექრობა მოუხდა ეშმაკთან მოსეს სჯულის გამო, ამასთან მთავარანგელოზმა მიქაელმაც ეშმაკთან მიმართებით ვერ გაბედა წარმოეთქვა გმობის მსჯავრი, არამედ აუკრძალა ეშმაკს მხოლოდ ღვთის სახელით, როცა უთხრა: „შეგრისხოს უფალმა“, ამასთან ერთად, როგორც ეს ცრუმოდღვარნი „გმობენ მას, რაც არ იციან“. წმ. იუდა არ ნანობს გამოთქმას იმის გამო, რათა მისცეს ამ ცრუმოდღვართ უარყოფითი დახასიათება, როცა ამსგავსებს მათ უსიტყვო ცხოველებს, ადარებს მათ კაენთან, ბალაამთან და კორახთან, მოსესა და აარონის წინააღმდეგ ამხედრებულებთან. წმ. იუდას მოჰყავს გადმოცემიდან ენუქის უღმერთოებზე ღვთის მომავალ სამსჯავროზე წინასწარმეტყველება, რომელიც, აღბათ, დაკავშირებულია კაენის შთამომავლობის გარყვნილებასთან (მუხლ. 9-19). წმ. იუდა, დასასრულს, არიგებს ქრისტიანებს დაიცვან თავი ღვთის სიყვარულში, რის შემდეგაც აღიღებს ღმერთს.

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეები

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეების მნიშვნელობა და მათი შესწავლის სირთულე

ახალი აღთქმის ყველა მწერალთაგან ყველაზე მეტი ღვაწლი ქრისტიანული სწავლების წერილობით ახსნაში დასდო წმ. მოც. პავლემ, დაწერა რა 14 ეპისტოლე. თავიანთი შინაარსის მნიშვნელობით ისინი იწოდებიან ზოგიერთების მიერ „მეორე სახარებად“ და ყოველთვის იზიდავენ მტრების ყურადღებას. თვით მოციქულები, როგორც უკვე დავინახეთ წმ. მოც. პეტრეს კათოლიკე ეპისტოლედან, არ ტოვებდნენ უყურადღებოდ ამ მიმზიდველ შემოქმედებას თავიანთი „საყვარელი ძმის, პავლეს, მისთვის მინიჭებული სიბრძნით“. (2პეტრ. 3:15-16). მრავალი მამა და მასწავლებელი ეკლესიისა ეწეოდა წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეთა განმარტებას. ამ ეპისტოლეებში აირეკლა წმ. მოც. პავლეს დიდი ცოდნა ძვ. აღთქმის საღვთო წერილისა, ასევე სიღრმე ახ. აღთქმის სწავლების ახსნაში, რისი ნაყოფიცაა მთელი რიგი ახალი სიტყვებისა.

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეების კავშირი მის ცხოვრებასთან

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეები – ეს არის ნაყოფი მისი მოციქულებობრივი მოშურნეობისა, მათში გადმოცემული მისი სწავლება – ეს მისი ცხოვრების მთელი ანარეკლია. ამიტომ, რომ გაიგო კარგად მისი ეპისტოლე, საჭიროა კარგად შეისწავლო მისი ცხოვრება და გაიგო შინაგანი ხასიათი მისი პიროვნებისა.

წმ. მოც. პავლეს ცხოვრება და პიროვნება

„უმცირესი ვარ მოციქულთა შორის და მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნიდი ღვთის ეკლესიას, მაგრამ ღვთის მადლით ვარ, რაცა ვარ და მისი მადლი არ იყო ჩემს მომართ ფუჭი.“ (1კორ. 15:9-10) – ასე ახასიათებს თავის თავს „წარმართთა მოციქული“ (სახელწოდება, რომლითაც წმ. მოც. პავლე შევიდა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში). ბუნებისაგან მდიდარი გონებრივი შესაძლებლობებით დაჯილდოებული, აღზრდილი და განსწავლული იყო მკაცრ ფარისევლურ წესებში, მისი სიტყვებიდან გამომდინარე, აღემატებოდა იუდეველებში მრავალ თავის ტოლს, ვინაიდან იყო დარწმუნებული მოშურნე და ერთგული თავისი მშობლიური გადმოცემების (გალ. 1:14). როცა უფალმა მოუწოდა მას მოციქულებრივ მსახურებაზე, მან მთელი თავისი ენერგია, მთელი ძალა თავისი სულისა მიუძღვნა ქრისტეს სახელის ქადაგებას წარმართთა შორის. სწავლობ რა წმ. მოც. პავლეს ცხოვრებასა და ღვაწლს საქმე მოციქულთას წიგნის მიხედვით, შეუძლებელია არ მოხვიდე აღტაცებაში ამ უდიდესი „წარმართთა მოციქულის“ დაუცხრომელი ენერგიით. უდიდესი შრომა და საფრთხე გადაიტანა წმ. მოც. პავლემ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნია, მიუხედავად სირთულეებისა და საფრთხის ზრდისა, მისი მოშურნეობა და ენერგია არათუ არ კლებულობდა, არამედ იწითობოდა, როგორც ფოლადი. თავისი ღვაწლის შესახებ გახსენებით იძულებული კორინთელთა დარიგებისათვის იგი წერს: „მე უფრო მეტად შრომაში, ბევრად უფრო მეტად ტანჯვაში, უფრო მეტად საპყრობილეში და მრავალგზის სიკვდილის პირას. ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა. სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე. დამე და დღე შუა ზღვაში დაყვავი, მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღებისაგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად, განსაცდელში უღაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმათა შორის, შრომასა და

გაჭირვებაში, გამუდმებულ სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, გამუდმებულ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში“ (2კორ. 11:23–27). ადარებს რა თავს სხვა მოციქულებს და თავმდაბლობით უწოდებს რა თავს უმცირესს მათ შორის, წმ. მოც. პავლეს მთლიანად სამართლიანად შეუძლია განაცხადოს: „ყველა მათგანზე მეტს ვშრომობდი – არა მე, არამედ ღვთის მადლი, რომელიც ჩემთანაა.“ (1კორ. 15:10). და მართლაც, ღვთის მადლის გარეშე შეუძლებელია იტვირთოს ჩვეულებრივმა ადამიანმა ასეთი ღვაწლი.

წმ. მოც. პავლე თავდაპირველად ატარებდა რა ებრაულ სახელს სავლეს, მიეკუთვნებოდა ბენიამინის ტომს და დაიბადა კილიკიის ქ. ტარსში, რომელიც განდიდებული იყო მაშინ თავისი აკადემიებითა და თავისი მაცხოვრებელების განათლებულობით. როგორც ადგილობრივი ამ ქალაქისა ანუ წარმოშობით იუდეველთაგანი, გამოსული რომაელი მოქალაქების მონობისაგან პავლე ითვლებოდა რომის მოქალაქედ. ტარსში პავლემ მიიღო პირველდაწყებითი განათლება და შესაძლებელია გაეცნო კიდევ წარმართულ განათლებას, ვინაიდან მის საუბრებში და ეპისტოლეებში აშკარად შეიმჩნევა კვალი წარმართ მწერლებთან ნაცნობობისა (საქმ. 17:28; 1კორ. 15:33; ტიტ. 1:12). ძირითადი და დამამთავრებელი განათლება მან იერუსალიმში მაშინ განდიდებულ რაბინთა აკადემიაში მიიღო, ცნობილ მასწავლებელთან – გამალიელთან (საქმ. 22:3), რომელიც ითვლებოდა სჯულის მცოდნედ და მიუხედავად იმისა, რომ ფარისეველთა პარტიას მიეკუთვნებოდა, იყო თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი (საქმ. 5:34) და ბერძნული სიბრძნის მოყვარული. აქვე, ებრაელთათვის მიღებული ჩვეულების თანახმად, მან ისწავლა კარვის კეთების ხელოვნება, რომელიც შემდგომში დაეხმარა მას საკუთარი შრომით სარჩოს მოპოვებაში (საქმ. 18:3; 2კორ. 11:8; 2თესალ. 3:8)

ახალგაზრდა სავლე, ჩანს ემზადებოდა რაბინობისთვის, ამიტომაც იმწამსვე თავისი განათლების დამთავრებისას გამოავლინა თავი ფარისეველთა გადმოცემის ძლიერ ერთგულად და ქრისტეს სარწმუნოების მდევნელად: შესაძლებელია, სინედრიონის განწესებით, იგი იყო პირველმოწამე სტეფანეს მკვლელობის თვითმხილველი (საქმ. 7:58 8:1), ხოლო შემდგომ ოფიციალურად მიიღო უფლებამოსილება ქრისტიანთა დევნისა პალესტინის ფარგლებში, დამასკოში (9:1-2). უფალმა, დაინახა რა მასში თავისი რჩეული ჭურჭელი, დამასკოში მიმავალ გზაზე სასწაულებრივად მოუწოდა მას მოციქულებრივ მსახურებაზე. შემდგომ ანანიას მიერ მოინათლა, გახდა ერთგული მქადაგებელი ქრისტეს მოძღვრებისა, დროებით იგი გაემგზავრა არაბეთში, ხოლო შემდგომ კვლავ დაბრუნდა დამასკოში ქრისტეზე ქადაგებისათვის. მისი ქრისტეში მოქცევით აღშფოთებულმა იუდეველთა სიმმაგემ აიძულა იგი გაქცეულიყო იერუსალიმში (საქმ. 9:23) 38წ. ქრ.შ.-დან, სადაც იგი შეუერთდა მორწმუნეებს. ელინისტების მის მოსაკლავად მიხდომის შედეგად (9:23), იგი გაემგზავრა თავის მშობლიურ ქ.ტარსში, იქედან დაახლ. 43 წელს იგი მოწოდებული იქნა ბარნაბას მიერ ანტიოქიაში ქადაგებისათვის, იმოგზაურა მასთან ერთად იერუსალიმში მშიერთათვის მოწყალეების გასაცემად (საქმ. 11:30). მალევე, იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ, სული წმიდის ბრძანებით სავლე ბარნაბასთან ერთად თავისი პირველი მოციქულებრივი მოგზაურობით გაემგზავრა, რომელიც 45 წ-დან 51 წლამდე გაგრძელდა. მოციქულებმა გადაიარეს კვიპროსის მთელი კუნძული, რომელი დროიდანაც სავლე, მოაქცია რა ქრისტეს სარწმუნოებაზე პროკონსული სერგი, უკვე იწოდება პავლედ, ხოლო შემდგომ დააფუძნეს ქრისტიანული თემები პისიდიის ანტიოქიის ქალაქებში, მცირე აზიაში, იკონიაში, ლისტრასა და დერვიაში. 51 წელს წმ. პავლემ მონაწილეობა მიიღო იერუსალიმში მოციქულთა კრებაში, სადაც მხურვალედ აღსდგა წარმართთაგან მოქცეულ ქრისტიანთათვის მოსეს სჯულის წესების აღსრულების წინააღმდეგ. ანტიოქიაში დაბრუნებულმა წმ. პავლემ სილას თანამგზავრობით აწარმოა მეორე მისიონერული მოგზაურობა.

თავდაპირველად, იგი ესტუმრა მის მიერ მცირე აზიაში დაფუძნებულ ეკლესიებს, ხოლო შემდგომ გადავიდა მაკედონიაში, სადაც დააფუძნა თემები ფილიპში, სოლუსში და ვერიაში. ლისტრაში წმ. პავლემ მოიპოვა თავისი საყვარელი მოწაფე – ტიმოთე, ხოლო ტროადიდან გააგრძელა მოგზაურობა მასთან შეერთებულ საქმე მოციქულთას ავტორთან ლუკასთან ერთად. მაკედონიიდან წმ. პავლე გადავიდა საბერძნეთში, სადაც იქადაგა ათენში და კორინთოში, შეყოვნდა რა უკანასკნელი წელიწადნახევარი. აქედან მან გააგზავნა ორი ეპისტოლე თესალონიკელებთან. მეორე ეპისტოლე გრძელდებოდა 51-54 წლებში. 55 წელს წმ. პავლე გაემგზავრა იერუსალიმში, ესტუმრა გზად ეფესოს და კესარიას, ხოლო იერუსალიმიდან მივიდა ანტიოქიაში (საქმ. თ. 17 და 18). ანტიოქიაში არცთუ დიდი ხნის ყოფნის შემდეგ წმ. პავლემ აწარმოა მესამე მოციქულებრივი მოგზაურობა (56-58წწ.), ესტუმრა რა უპირველესად, ჩვეულებისამებრ, ადრე დაარსებულ მცირე აზიის ეკლესიებს, ხოლო შემდგომ დაამყარა თავისი ყოფნა ეფესოში, სადაც ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ეწეოდა ვიდაც ტირანას სასწავლებელში ქადაგებას. აქედან მიწერა გალატელებს მან იქ იუდეველთა პარტიის გაძლიერების საბაბით ეპისტოლე და პირველი ეპისტოლე კორინთელებს, იქ აღძრული არეულობებისა გამო და კორინთელთა წერილზე პასუხისათვის. სახალხო მღვდვარებამ პავლეს წინააღმდეგ, ვერცხლისმჭედელი დიმიტრის მიერ აღძრულმა, აიძულა პავლე დაეტოვებინა ეფესო და იგი წავიდა მაკედონიაში. (საქმ. 1:9). გზაზე მან მიიღო ტიტესგან ცნობა კორინთოს ელესიის მდგომარეობისა და მისი ეპისტოლეს სასიკეთო მოქმედების შესახებ, რომლის შედეგადაც ტიტეს გაუგზავნა მეორე ეპისტოლე მაკედონიიდან კორინთელთა მიმართ. მალევე თვითონ ეახლა კორინთოს, საიდანაც დაწერა რომაელთა მიმართ ეპისტოლე, ვარაუდობდა რა იერუსალიმში ჩასვლას, ჩავიდა რომში და იქედან გაემგზავრა დასავლეთისაკენ. დაემშვიდობა რა მელიტში ეფესელ მღვდლებს, იგი მივიდა იერუსალიმში, სადაც მის წინააღმდეგ ატეხილი სახალხო მღვდვარების გამო, რომის ძალაუფლების მიერ აყვანილ იქნა ტყვედ, თავდაპირველად პროკონსულ ფელიქსის დროს, ხოლო შემდგომ მის შემცველ პროკონსულ ფევსტოს დროს. ეს მოხდა 59 წელს, ხოლო 61 წელს პავლე, როგორც რომის მოქალაქე, საკუთარი სურვილით, გაგზავნილ იქნა რომში კეისრის სამსჯავროზე. განიცადა რა გემის დაღუპვა კ. მალტასთან, წმ. მოციქულმა მხოლოდ ზაფხულში 62 წელს მიაღწია რომს, სადაც სარგებლობდა დიდი სიახლოვით რომაელ ხელისუფლებასთან და დაუოკებლად ქადაგებდა. ამით მთავრდება თხრობა მისი ცხოვრების შესახებ საქმე მოციქულთაში (თ. 27-28). რომიდან წმ. პავლემ დაწერა თავისი ეპისტოლე ფილიპელთა (სამადლობელი მისდამი ეპაფსიოდიტეს ფულადი საშუალების გაგზავნისა გამო), კოლასელთა, ეფესელთა და ფილიმონის (კოლასეს მკვიდრის) მიმართ. ყველა ეს ეპისტოლეები დაწერა 63 წელს და გაგზავნა ტიხიკოს მიერ. რომიდან კი 64 წელს დაწერა ეპისტოლე პალესტინელი ებრაელების მიმართ.

შემდგომი ბედი წმ. მოც. პავლესი ზუსტად არ არის ცნობილი. ზოგიერთები თვლიან, რომ იგი დარჩა რომში და ნერონის ბრძანებით გადაცემული იქნა 64 წელს მოწამებრივი სიკვდილისათვის. მაგრამ არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ორწლიანი პატიმრობის შემდეგ მიეცა თავისუფლება და მან აწარმოა მეოთხე მოციქულებრივი მოგზაურობა, რაზეც მიუთითებს მისი ე.წ. „მოძღვრებითი ეპისტოლეები“ – ტიმოთეს და ტიტეს მიმართ. სენატისა და იმპერატორის წინაშე თავისი საქმეების დაცვის შემდეგ წმ. პავლე განთავისუფლდა პატიმრობისაგან და კვლავ იმოგზაურა აღმოსავლეთში, იმყოფებოდა რა დიდი ხანი კ. კრეტაზე და დატოვა იქ თავისი მოწაფე ტიტე მთელ ქალაქებში მღვდლების ხელდასხმისათვის (ტიტ. 1:5), რაც მოწმობს მის მიერ ტიტეს დაყენება კრეტის ეკლესიის ეპისკოპოსად, წმ. პავლემ მოიარა მცირე აზია, საიდანაც დაწერა ტიტეს მიმართ ეპისტოლე, არიგებდა რა მას,

ეპისკოპოსის მოვალეობის შესახებ. ეპისტოლედან ჩანს, რომ მან შესთავაზა ის ზამთარი 64წ. ნიკოპოლში გაეტარებინა (ტიტ. 3:12) ტარსუსის მახლობლად. 65წ. გაზაფხულზე იგი ესტუმრა მცირე აზიის ეკლესიებს და მილეტში დატოვა ავადმყოფი ტროფიმი, რომლის გამოც მოხდა აღშფოთება მოციქულის წინააღმდეგ იერუსალიმში, გამოიწვია რა მისი პირველი პატიმრობა (2ტიმ. 4:20). გაიარა რა წმ. პავლემ ეფესოს მეშვეობით, არ არის ცნობილი, რამდენადაც იგი ამბობდა, რომ ეფესელი პრესვიტერები ვეღარ იხილავენ მის სახეს (საქმ. 20:25), მაგრამ მან, როგორც ჩანს, ამ დროს ხელი დაასხა ტიმოთეს ეპისკოპოსად ეფესოსათვის. შემდგომ ტროადის მეშვეობით წმ. პავლემ გაიარა, სადაც ვილაც კარპესთან დატოვა ფილონი და წიგნები (2ტიმ. 4:13) და შემდეგ გაემგზავრა მაკედონიაში. იქ მან გაიგო ეფესოში ცრუმასწავლებელთა გაძლიერების შესახებ და დაწერა თავისი პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ. იმყოფებოდა რა ცოტა ხნით კორინთოში (2ტიმ. 4:20) და შეხვდა რა გზად წმ. მოც. პეტრეს, პავლე მასთან ერთად გაემგზავრა დაღმარების და იტალიის მეშვეობით და მივიდა რომამდე, სადაც დატოვა პეტრე, ხოლო თვითონ უკვე 66 წელს გაემგზავრა დასავლეთისკენ ესპანეთში; იქვე, ან უკვე რომში დაბრუნებული იგი კვლავ იქნა საპყრობილეში ჩასმული (მეორე პატიმრობა), სადაც სიკვდილამდე იმყოფებოდა. არსებობს გადმოცემა, რომ რომში დაბრუნებულმა იქადაგა იმპერატორ ნერონის სასახლესთან და მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე მისი საყვარელი ხარტა. ამისთვის იგი გადასცეს სამსჯავროს და თუმცა ღვთის წყალობით იგი დახსნილი იქნა, როგორც თვითონ ამბობდა ღომის ხახისაგან, ე.ი. ღომების მიერ დაგლეჯისაგან ცირკში (2ტიმ. 4:16-17), მაინც იჯდა საპყრობილეში. ამ მეორე პატიმრობაში მან დაწერა ეპისტოლე მეორე ტიმოთეს მიმართ, მოუწოდებდა რა მას რომში ჩასვლას, რადგან გრძნობდა წინასწარ სიკვდილის მოახლოებას. გადმოცემა არაფერს ამბობს მოასწრო თუ არა ტიმოთემ ცოცხლად პავლეს ნახვა, მაგრამ იგი მოგვითხრობს, რომ თვით მოციქული ელოდებოდა თავის მოწამეობრივ გვირგვინს. 9 თვიანი პატიმრობის შემდეგ მას მოჰკვეთეს თავი., როგორც რომის მოქალაქეს, რომისგან მოშორებით. ეს იყო 67 წელს ქრ. შ.-დან, ნერონის მეფობიდან მე-12 წელს.

„თუ შევხედავთ წმ. მოც. პავლეს ცხოვრებას, იგი იყოფა ორ ნაწილად: ქრისტეს რწმენაზე მოქცევამდე, მაშინ სავლემ, იყო მკაცრი ფარისეველი, მოსეს სჯულის აღმასრულებელი და შემსრულებელი მამა-პაპური ტრადიციებისა, ფიქრობდა რა რჯულის საქმეებით გამართლებას და მამათა სარწმუნოების ერთგულებას, რომელიც ფანატიზმამდე აღიოდა. თავისი მოქცევის შემდეგ იგი ქრისტეს მოციქული გახდა, მთლიანად ერთგული სახარების ქადაგებისადმი. მთელი მისი ცხოვრება მოქცევამდე იყო ცდომილება, ცოდვა და მიჰყავდა იგი არა განმართლებამდე, არამედ დასჯამდე, და მხოლოდ ღვთის მადლმა გამოიყვანა ამ დამღუპველი ცდომილებისაგან. ამ დროიდან წმ. პავლე ცდილობს მხოლოდ იმას, რათა იყოს ღირსი ღვთის ამ მადლისა და არ გადაიხაროს თავისი მოწოდებისაგან. \

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეთა რიცხვი

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეები ასეა განლაგებული ბიბლიაში. ისინი სულ 14-ია:

1. რომაელთა მიმართ ეპისტოლე;
2. კორინთელთა მიმართ ეპისტოლე პირველი;
3. კორინთელთა მიმართ ეპისტოლე მეორე;
4. გალატელთა მიმართ ეპისტოლე;
5. ეფესელთა მიმართ ეპისტოლე;
6. ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე;
7. კოლასელთა მიმართ ეპისტოლე;
8. თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე პირველი;
9. თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე მეორე;
10. პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ;
11. მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ;
12. ტიტეს მიმართ ეპისტოლე;
13. ფილიმონის მიმართ ეპისტოლე;
14. ებრაელთა მიმართ ეპისტოლე.

ეს განრიგი ეპისტოლეებისა არ არის ქრონოლოგიური. ეს განლაგება გაკეთებულია ეპისტოლეების მნიშვნელობისა და მოცულობის მიხედვით: შვიდი ეკლესიის მიმართ ეპისტოლეებს მოსდევს სამი პიროვნების მიმართ ეპისტოლე, ხოლო ებრაელთა მიმართ ეპისტოლე ყველაზე ბოლოსაა, რადგანაც მისი სინამდვილე ყველაზე გვიანაა ცნობილი. წმ. მოც. პავლეს ეპისტოლეები იყოფიან ორ ჯგუფად: 1) ზოგადქრისტიანული ეპისტოლეები და 2) სამოძღვრო ეპისტოლეები.

რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმ. მოც. პავლესი

რომის ეკლესიის დაფუძნება და მისი წევრების შემადგენლობა

რომის ეკლესიის წარმომავლობის შესახებ არანაირი ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. ამის შესახებ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები. თვით მოც. პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერს, რომ რომაელ ქრისტიანთა შორის არიან ზოგიერთები, რომლებმაც ირწმუნეს ქრისტე ჯერ კიდევ მანამ, სანამ იგი ირწმუნებდა (ანდრონიკე და იუნია – რომ. 16:7) და რომ რომაელ ქრისტიანთა რწმენა განდიდებულია მთელ მსოფლიოში (რომ. 1:8). კლიმენტის რეკონიციებში საუბარია, რომ ჯერ კიდევ უფლის იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დროს ცნობები მის შესახებ რომამდე აღწევდა და აღძრავდნენ მათში არა მხოლოდ გაოცებას, არამედ რწმენასაც კი. ეს არ არის გასაკვირი, თუკი მივიღებთ საყურადღებოდ, რომ პომპეუსის მიერ რომისადმი იერუსალიმის დამორჩილების დროიდან (63წ. ქრ.წ.-მდე) რომში დაიწყო მრავალმა იუდეველმა ცხოვრება, რომელთათვის იყო შემდგომ განსაკუთრებული კვარტალი მიჩენილი. ისინი მიემგზავრებოდნენ იერუსალიმში დღესასწაულებზე და რასაკვირველია, შესაძლებელი იყო შემდგომ მოყოლა რომში იმის შესახებ, რაც გაიგეს და დაინახეს. მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის დღეს ამ დიდებული მოვლენის მოწმეთა შორის იყვნენ რომაელებიც (საქმ. 2:10). ამ რომაელთა შორის შესაძლებელია იყვნენ მონათლულებიც, რომლებიც შემდეგ გახდნენ დამფუძნებლები პირველი ქრისტიანული თემებისა რომში. იბადება კითხვა: საიდან და რომელი მოციქულისაგან იწყებს თავის საწყისს საეკლესიო იერარქია ამ პირველი რომაელი თემისა? რომის ეკლესიის გადმოცემა ამბობს, რომ რომში იყო წმ. მოც. პეტრე.

რომელიც თავისი ტყვეობიდან სასწაულებრივი განთავისუფლების შემდეგ 43წ. მივიდა იქ იერუსალიმიდან და ეპისკოპოსობდა იქ 25 წლის განმავლობაში, თავის მოწამეობრივ სიკვდილამდე (67წ.). ეს, ერთი მხრივ, არ ეთანხმება სხვა ცნობებს. არ არსებობს ეჭვი იმაში, რომ წმ. პეტრე არ იყო რომში, იმ დროს როცა წმ. პავლე წერდა თავის ეპისტოლეს რომაელთა მიმართ. თუკი წმ. პეტრე იქნებოდა რომში ეპისკოპოსად, ნუთუ წმ. პავლე იკადრებდა მისი სამწყსოს სწავლებას, და თუკი ჩათვალია მაინც საჭიროდ მიემართა რომის სამწყსოსთვის ეპისტოლეთი, მაშინ, რასაკვირველია, წმ. პეტრეს გვერდის ავლით არ იზამდა და ასე თუ ისე მოიხსენიებდა მის სახელს ეპისტოლეში. გარდა ამისა, წმ. პავლე თვით საუბრობს თავის შესახებ, რომ მას აქვს ჩვევა „სხვის საძირკველზე აეშენებინა“ (რომ. 15:20) და ექადაგა სხვის ოლქში (2კორ. 10:6). არ იჩქარებდა წმ. მოც. რომში, თუკი იქ უკვე იყო წმ. მოც. პეტრე. არ იყო წმ. მოც. პეტრე, მაშასადამე, წმ. მოც. პავლეს პირველი ტყვეობის დამთავრებამდე. შეუძლებელია, რომ საქმე მოციქულთას ავტორს, რომელიც მოგვითხრობს წმ. მოც. პავლეს რომში მისვლის თაობაზე არ ეხსენებინა, რომ ამ დროს წმ. მოც. პეტრე რომში იმყოფებოდა. აქედან დასკვნა აშკარაა: წმ. მოც. პეტრე შესაძლებელია რომში ყოფილიყო მხოლოდ წმ. მოც. პავლეს პირველი ტყვეობის შემდეგ, ე.ი. არც თუ გვიან თავის მოწამეობრივ სიკვდილამდე.

და მაინც, ვინ იყო მომწყობი რომის ეკლესიისა?

უნდა ვივარაუდოთ – წმ. მოც. პავლეს მოწაფეები. რომაელთა მიმართ ეპისტოლეს დასასრულს წმ. მოც. პავლე უგზავნის მოკითხვას პირთა მთელ რიგს, როგორც ჩანს, მისთვის ძალიან ახლოს და ნაცნობს. ვინ არიან ეს პიროვნებები და როგორ შეეძლო წმ. მოც. პავლეს, რომელიც მანამდე არ იმყოფებოდა რომში, მათი გაცნობა? ყველა ისინი, უეჭველია, რომიდან დევნილებია, კლავდიუსის მიერ დევნილები და საბერძნეთში, მაკედონიაში და მც. აზიაში განთესილები, სადაც ისინი გაეცნენ წმ. მოც. პავლეს. ერთი, მის მიერ განათლდნენ, სხვები იქცნენ მის თანამგზავრებად. კლავდიუსის შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნდნენ რომში და სულიერად უხელმძღვანელებს რომის საეკლესიო თემს. წმ. მოც. პავლეს ამიტომაც მხურვალედ სურდა რომში ყოფნა, რათა მოემკა მისი მოწაფეების მიერ დათესილი.

გადმოცემა კი იმის შესახებ, რომ რომის ეკლესია წმ. პეტრეს მიერ არის დაარსებული, შეიძლება ახსნათ იმით, რომ რომში პირველი მორწმუნენი იყვნენ სულთმოფენობას მოქცეულთა რიცხვიდან, რომლებიც ისმენდნენ, რომლებიც ისმენდნენ წმ. მოც. პეტრეს ქადაგებას და ბუნებრივია თვლიდნენ მას სულიერ მამად. ამას თან დაერთო ისიც, რომ რომში წმ. მოც. პეტრემ მიიღო მოწამეობრივი აღსასრული.

რომის ეკლესიის შემადგენლობაში თავდაპირველად შედიოდნენ ძირითადად იუდეველები, მაგრამ შემდეგ მასში შევიდა მრავალი წარმართი, ასე რომ უკანასკნელნი რიცხოვნობივად ჭარბობდნენ კიდევ. ეს ჩანს რომაელთა მიმართ ეპისტოლედან.

ეპისტოლეს დაწერის საბაბი და მისი მიზანი

რომაელთა მიმართ ეპისტოლედან არ ჩანს, რომ თვით მათ მისცეს წმ. მოც. პავლეს რაიმე საბაბი ეპისტოლეს დასაწერად. ეპისტოლეს აქვს სრულიად ზოგადი ხასიათი. ამოდ ფიქრობენ, რომ დაწერის საბაბი თითქოსდა რაღაც კამათები და მათ შორის განხეთქილება იყო, მიუთითებენ რა 16:17 – ეს ადგილიც ზოგადი ხასიათისაა, როგორც სხვა დანარჩენი დარიგებები.

ამ ეპისტოლეს დაწერის საბაბი – თვით პავლეში იყო, რომელმაც გაიგო რა რომაელთა მოქცევის შესახებ, დიდი ხანია მიიღტვოდა მათკენ, რათა შეემოწმებინა ყველაფერი რიგზეა თუ არა, ის ხომ „წარმართთა მოციქული“ იყო, და მისთვის ბუნებრივია მაშინდელი კულტურული სამყაროს დედაქალაქის მაცხოვრებელთა ქრიატიანულ წარმატებაზე ზრუნვა. ემზადებოდა რა რომაელებთან სტუმრობისათვის, წინასწარ გაავზავნა თავისი ეპისტოლე რათა დროებით მას

შეეცვალა მისი პირადი სტუმრობა, მოემზადებინა რომაელები მასთან შესახვედრად. თავის ეპისტოლეში იგი აღნიშნავს მთელი ქრისტიანული სწავლების პროგრამას და აფრთხილებს მათ იუდაისტური დასწავლებისაგან.

ეპისტოლეს დაწერის ძირითადი საბაბი იყო კორინთოდან, სადაც იმყოფებოდა მაშინ პავლე, რომში ღრმად პატივცემული კენსრეის დიაკონისას ფიბას გაგზავნა, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა წმ. პავლეს სახარების ქადაგების საქმეში, რაზეც თვითონ მოწმობს (16:1-2), მას საქმე ჰქონდა რომში, და წმ. მოც. პავლე აფასებდა რა მის დამსახურებას, ვალად თვლიდა მის რეკომენდირებას რომაელ ქრისტიანებთან.

ეპისტოლეს დაწერის ადგილი და დრო

რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მონაცემების საფუძველზე შეიძლება ზუსტად დავადგინოთ, რომ იგი დაწერილია კორინთოში. ეს ჩანს იქედან, რომ წმ. პავლე გადასცემს რომაელებს მოკითხვას გაიოზისაგან, რომელთანაც ცხოვრობდა იგი და ერასტისაგან, ქალაქის მეგანძურისაგან (16:23), ხოლო სხვა ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ ისინი კორინთოში ცხოვრობდნენ (1კორ. 1:14 და 2ტიმ. 4:20). ზუსტად ასევე ფიხაც, რომელსაც გაატანა ეპისტოლე კენსრეის დიაკონისა იყო, ხოლო კენსრეი იყო კორინთოს ერთ-ერთი ადგილი – კორინთოს ნავმისადგომი ეგეოსის ზღვის მხრიდან. (რომ. 6:1)

რომაელთა მიმართ ეპისტოლე დაწერილია წმ. მოც. პავლეს მიერ მესამე მოციქულებრივი მოგზაურობის დროს, როცა მან სამი თვე დაყო ელადაში, ე.ი. დაახლ. 59 წელს ქრ.შ.დან, გაზაფხულზე.

ეპისტოლეს ნამდვილობა

წმ. კლიმენტი რომაელი, პოლიკარპე სმირნელი, წმ. ირინეოს ლიონელი, ტერტულიანე, კლ. ალექსანდიელი, ასევე ყველა გვიანდელი მწერლები და ერეტიკოსებიც კი იცნობენ და აკეთებენ ციტირებას ამ ეპისტოლეს. მხოლოდ მარკიანე ერეტიკოსი უარყოფდა სინამდვილეს ბოლო ორი თავისა, დაწყებული მე-14 თავის 24-ე მუხლიდან. ამას თან მოჰყვა ახალი კრიტიკა, თვლიდა რა ამ თავებს მოგვიანებით მიმატებულს. ორიგენე, ერთი მხრივ, განსჯის მარკიანეს ამისთვის, ხოლო მათ სინამდვილეს გვიმტკიცებს.

შინაარსი და შემადგენლობა ამ ეპისტოლესი

რომაელთა მიმართ ეპისტოლე შედგება 15 თავისაგან. მისი შინაარსის მთავარი საგანია – ერთადერთი ხსნის საშუალება, როგორც წარმართისათვის, ასევე იუდეველთათვისაც, უფალ იესო ქრისტეში. ეს თემა მოიცავს ეპისტოლეს დიდ ნაწილს – 11 თავს. შემდეგ თავებში მოცემულია ზნეობრივი დარიგებები ქრისტიანული ცხოვრების შესახებ. იწყება მოკითხვით და მთავრდება სხვადასხვა პირების მოკითხვით.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეს ეგზეგეტური განხილვა

ეპისტოლე იწყება მოკითხვით: „პავლე, ქრისტე იესოს მონა, მოწოდებული მოციქული, ამორჩეული ღვთის სახარებისათვის“. უწოდებს რა თავმდაბლობით თავის მზრუნველობაში მოციქულებრივი მოწოდების საფუძველზე თავად უფლის იესო ქრისტესაგან, დაავალა რა მას „დაუმორჩილოთ სარწმუნოებას ყველა ხალხი“. რომელთა შორის იმყოფება ისინიც, რომაელებიც. შემდგომ მოციქული უქადაგებს მათ, ჩვეულებრივ „მადლი თქვენ და მშვიდობა“. (მუხლ. 1-7)

შემდგომ, როგორც წადილი შევიდეს რომაელებთან ურთიერთობაში წმ. პავლეს მოჰყავს ის, რომ „თქვენი რწმენა იხარება მთელ სოფელში“, ე.ი. მოციქულისათვის განსაკუთრებით სასიამოვნოა გაცნობა ისეთ ღირსეულ

ქრისტეს მიმდევრებთან იმისათვის, რომ რათა ახაროს მათი სარწმუნოება კიდევ მაღალ საფეხურზე: „უწილადოს მათ სულიერი ნიჭი“ და „მათთან ერთად ინუგეშოს ერთმანეთის რწმენით“. (8-12). მოციქული ამბობს, რომ იგი არაერთხელ ფიქრობდა მათთან მისვლას, მაგრამ წინააღმდეგობები შეხვდა. ეს წინააღმდეგობაა – სურვილი მთელ სოფელში ქადაგების წარმატება, სადაც აქამდე მოციქული ქადაგებდა.

მე-16 მუხლიდან იწყება სჯულის მასწავლებლური, დოგმატური ნაწილი ეპისტოლესი, რომელშიც მოციქული ამტკიცებს, რომ ღვთის წინაშე ყველა ცოდვილია და უპასუხო – როგორც წარმართები, ასევე იუდეველები, და რომ ადამიანებს ისხნის მხოლოდ ცოცხალი რწმენა უფალ იესო ქრისტეში: „მართალი თავისი რწმენით იცხოვრებს“ (ამბაკუმი 2:4). უპირველესად მოციქული საუბრობს წარმართთა ცოდვებზე, რომლებმაც არ იზრუნეს შეეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი მისი ქმნილების შესწავლის მეშვეობით: „ვინაიდან მისი უხილავი, მისი მარადიული ძალა და ღვთაება სოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა“ (მუხლ. 18-20) ჭეშმარიტი ღმერთის ასეთი დაუნახაობის დასკვნამ წაიყვანა კერპთაყვანისმცემლობისაკენ, ხოლო კერპთაყვანისმცემლობამ მიიყვანა ყოველგვარი სახის უზნეობისაკენ, ბიწიერი ცხოვრებისაკენ. (მუხლ. 21-32)

მეორე თავში წმ. მოციქული გადადის იუდეველებთან. ის ამბობს, რომ წარმართებთან განაწესით ღვთის მსჯავრი იუდეველებსაც დაამძიმებს, რომლებსაც თუმცა გააჩნდათ განცხადებული სჯული, მაგრამ ყოველთვის არ იყვნენ წარმართებზე უკეთესები: განიკითხავდნენ რა წარმართებს მათი უწმინდურობის გამო, ისინი იგივეს აკეთებდნენ. გარდა ამისა ამ თავის პირველ 16 მუხლს, როგორც აღნიშნავს ეპ. თეოფანე დაყუდებული წმ. იოანე ოქროპირის განმარტებების საფუძველზე, მხედველობაში ჰყავს არა მხოლოდ იუდეველები, არამედ მთელი კაცობრიობა, რომლებიც განიკითხავენ რა სხვებს ცოდვების გამო, თვითონ არ იკავებენ თავს ცოდვებისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება ძალაუფლების მქონეთ, სახალხო მმართველებს, მოსამართლეებად დაყენებულთ. ასეთებმა უნდა იცოდნენ, რომ „ღმერთთან არ არსებობს მიკერძოება“ და თითოეული, ვინც არ უნდა იყოს იგი, ცოდვილი დაიმსახურებს ღირსეულ სასჯელს. აქ მნიშვნელოვანია მითითება, რომ წარმართები, რომელთაც არ გააჩნიათ ღვთივგამოცხადებული სჯული, განისჯებიან უფლის მიერ სინდისის სჯულით, რომელიც მათ გულებშია დაწერილი: „როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავიანთი თავის რჯული არიან. ისინი აჩვენებენ, რომ სჯულის საქმე გულებში უწერიათ, რას მოწმობს მათი სინდისი და აზრები, ხან ბრალს რომ სდებენ ერთიმეორეს და ხან ამართლებენ, – იმ დღეს, როცა ჩემი სახარების მიხედვით ღმერთი განიკითხავს ადამიანთა დაფარულ ფიქრებს იესო ქრისტეს მიერ“ (მუხლ.1-16)

მე-17-დან 29-ე მუხლების ჩათვლით წმ. მოც. საუბრობს უკვე განსაკუთრებით იუდეველებზე, რომ ისინი ამოდ იმედოვნებენ თავიანთ წინადაცვეთაზე და იქებენ თავს ღვთივგანცხადებული სჯულით, ვინაიდან მათი წინადაცვეთა და მათთვის მიცემული ღვთის სჯული მოემსახურება მათ უფრო მეტად დასასჯელად, თუკი ისინი, სჯულით იქებენ რა თავს, სჯულის დარღვევით უპატიოდ ჰყოფენ ღმერთს (მუხლ. 17-29)

მესამე თავში წმ. მოციქული აჩვენებს, რომ იუდეველებს არ გააჩნიათ არანაირი უპირატესობა წარმართთა წინაშე, ვინაიდან „იუდეველებიცა და ბერძნებიც ცოდვის ქვეშ არიან“ (მუხლ.9) „ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის ღიდებას“ (მუხლ. 23). ამიტომ განმართლება ადამიანს შეუძლია მიიღოს მხოლოდ „რწმენით“, „ღვთის მადლით“, „ქრისტე იესოში გამოსყიდვით“ (მუხლ. 24-25) თუმცა იუდეველებს მაინც არ გააჩნიათ უპირატესობა, რომ „მათ აქვთ მინდობილი ღვთის სიტყვები“ (მუხლ. 2), მოიცავენ რა უმაღლეს ალტკმებს

მესიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იუდეველები აღმოჩნდნენ არაერთგულნი ამ დიდი ღვთის ნიჭის დაცვაში, ღმერთი თავისი ბუნების თვისებით, დაუყოვნებლივ აღასრულებს მის მიერ აღთქმულს. იუდეველებისადმი მიცემული სჯული კიდევ უფრო ამძიმებს მათ პასუხისმგებლობას და ბრალეულობას. რამდენადაც ღმერთი არ არის მხოლოდ იუდეველთა ღმერთი, არამედ წარმართთაც, ამიტომაც ერთნისთვისაც და მეორეთათვისაც ხსნის ერთი გზაა – რწმენის მეშვეობით. ამით სჯულის მნიშვნელობა არ კნინდება, არამედ მხოლოდ მტკიცდება, ვინაიდან ღვთის მადლმა მისცა შესაძლებლობა ადამიანებს განახორციელონ სჯულის მოთხოვნები.

მეთხე თავში მოციქული იხსენებს ძველადთქმისეულ მართლებს აბრაამს და ღვთის, აჩვენებს რა მათ სახეებში, რომ არა მხოლოდ ფორმალური აღსრულება სჯულისა განამართლებს ადამიანს ღვთის წინაშე, არამედ ღვთის მადლით აღსავსე რწმენა, რომელიც ანიჭებს ადამიანს ღვთის წყალობას: **„ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას“ (მუხლ. 3)**

მეხუთე თავში მოციქული გამოხატავს ქრისტიანული სწავლების ძირითად ჭეშმარიტებას ცოდვისა და ხსნის შესახებ. როგორც ადამიდან, მთელი კაცობრიობის ბუნებრივი თავიდან, ცოდვა გავრცელდა მთელ კაცობრიობაზე – **„ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა სოფელში, ხოლო ცოდვის მიერ – სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველა შესცოდა“ (5:12)** – ასევე ქრისტე თავისი გამომსყიდველი ღვაწლით, ანიჭებს ხსნას ასევე მთელ კაცობრიობას. ამ თავის 12-21 მუხლები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან დოგმატური შინაარსის მქონე ადგილს. იმის მტკიცებულებად, რომ ეს ადამის ცოდვა ნამდვილად გადავიდა ყველა მის შთამომავლობაზე, არის სიკვდილის ფაქტორი, რომელიც გაჩნდა ადამის ცოდვის შედეგად, ანუ ე.წ. პირველშობილი ცოდვის შედეგად. მოციქული მიუთითებს მნიშვნელოვან მდგომარეობაზე: მოსემდე არ იყო სჯული და, მაშასადამე, ადამიანთა ცოდვები არ შეირაცხებოდა: **„თუ სჯული არ არის, ცოდვა არ შეირაცხება“ (მუხლ.13)**, მაგრამ ადამიანები მაინც კვდებოდნენ მოსემდე, აქედან ბუნებრივია დასკვნა, რომ ისინი ისჯებოდნენ სიკვდილით არა საკუთარი ცოდვების გამო, არამედ პირველშობილი ცოდვის გამო, რომელიც პირველმამისაგან, ადამისაგან გადმოვიდა მათზე. როცა მიეცა სჯული, ხოლო ადამიანები არ ანებებდნენ თავს ცოდვას, მათი ბრალეულობა ღვთის წინაშე კიდევ უფრო გაიზარდა (მუხლ. 20), როცა ცოდვა გაიზარდა, ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლით ღვთის მადლი უხვად მიეცა ადამიანს – **„როცა ცოდვამ იმრავლა, უფრო გაუხვდა მადლი“ (მუხლ. 20)**. ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლი ფარავს არა მხოლოდ პირველშობილ ცოდვას ადამისას, არამედ ადამიანის ყველა პირად ცოდვას (მუხლ. 16).

მეექვსე თავში, ცრუ დასკვნისაგან გაფრთხილების მიზნით, რომ თუკი ცოდვის გამრავლებამ გამოიწვია ღვთის ყოვლისშემძლე მადლის მოქმედება, მაშინ უმჯობესი არ არის ცოდვაში დარჩენა, რათა კვლავ გამოიწვიო ღვთის მადლი, მოციქული შეაგონებს ქრისტიანებს წმიდა, ღვთივსათნო ცხოვრება გასწიონ. ქრისტიანი თავისი ნათლობის მომენტიდან კვდება ცოდვისათვის და იბადება ახალი წმიდა ცხოვრებისათვის, მსგავსად იმისა, როგორც ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი, ტანჯული და ჯვარზე მომკვდარი, მკვდრეთით აღმდგარი და **„ღვთისათვის ცოცხლობს“ – „შერაცხეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღვთისათვის ცოცხლებად ქრისტე იესოში“ (მუხლ.11)**. ეს ადგილი (6:3-11) იკითხება საღვთო ლიტურგიაზე დიდ შაბათს, როცა აღესრულება სიკვდილი, დაფლვა ქრისტესი და მისი საფლავში ყოფნა. ჩვენი ძველი ადამიანი (ე.ი. ცოდვილი, ცოდვისადმი მიდრეკილი) უნდა ჯვარს ეცვას ქრისტესთან ერთად, **„რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები“**. ცოდვის მონობისაგან განთავისუფლება ქრისტიანს ჭეშმარიტად თავისუფალს აქცევს.

ქრისტიანი მონაც რომ იყოს, სიმართლის მონაა. მაგრამ სამართლიანობის ეს მონობა მხოლოდ მოჩვენებითი მონობაა: ასეთად იგი მხოლოდ ჩანს უძლურთათვის, ჯერ კიდევ ცოდვის მონობისაგან სრულიად არ განთავისუფლებულთა, იმიტომ რომ სიმართლის მსახურების დასაწყისში თავის დაძალება, ბრძოლაა საჭირო ცოდვისადმი მიდრეკილებებთან. მაგრამ სამაგიეროდ სიმართლისადმი მონობის ნაყოფი, ანუ ღმერთისადმი მონობა არის სიწმინდე და მარადიული ცხოვრება, ხოლო ცოდვის მონობის შედეგი – „საქმეები, რომელთა გამო ახლა გრცხვენიათ, ვინაიდან მათი ბოლო სიკვდილია“ (მუხლ. 16-22).

მეშვიდე თავში მოციქული განმარტავს, რომ ქრისტიანი ცოდვის მონობისაგან განთავისუფლებული, თავისუფალია მოსეს სჯულის აღსრულებისაგან. **„რჯული ბატონობს ადამიანზე, ვიდრე ის ცოცხალია“**. მაშასადამე, ქმრის სიკვდილი ათავისუფლებს ცოლს ცოლ-ქმრული ვალდებულებებისაგან და მას შეუძლია გათხოვდეს სხვაზე. **„ჩემო ძმებო, თქვენც რჯულისათვის დაიხოცენით ქრისტეს სხეულით, რომ ეკუთვნოდეთ სხვას, მკვდრეთით აღმდგარს, რათა ნაყოფი მივუტანოთ ღმერთს“** (მუხლ. 4). მოსეს სჯულს დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რათა გამოავლინოს ცოდვის მთელი ძალა და მიიყვანოს კაცობრიობა აზრამდე, რომ ხსნა განსაკუთრებული ღვთიური მადლმოსილების შეწვევის გარეშე შეუძლებელია. სჯული მხოლოდ გამოაშკარავებდა ცოდვის წყლულებს, მაგრამ მათგან კურნებას ვერ იძლეოდა: იგი აძლევდა ადამიანს მხოლოდ მწარე შემეცნებას სჯულის ყველა მოთხოვნილების შესრულების უსუსურობისა და მიიღოს მისი მეშვეობით ღვთისაგან განმარტება. ეხლა კი ჩვენ, ქრისტიანები განვთავისუფლდით სჯულისაგან იმიტომ, **„რათა ვემსახუროთ ღმერთს განახლებული სულით და არა დაძველებული ასოთ“**, ე.ი. არა რჯულის გარეგნული, ფორმალური დანიშნულებით. აქვე მოციქული აფრთხილებს შესაძლებელი ცრუ დასკვნისაგან, თითქოსდა რჯულში დევს ცოდვის მიზეზი: არ ყოფილიყო რჯული, არ იქნებოდა ცოდვა. არა ცოდვის მიზეზი თვით ადამიანშია. სჯული თავისთავად წმიდაა, და მისი მცნებები წმიდაა, სამართლიანი და სიკეთისადმი მიმართული. სჯული გამოავლენს ცოდვას, ადამიანის ბუნებაში ფესვგადგმულს, პირველშობილი ცოდვით გარყვნილს. მეშვიდე თავის მეორე ნახევარში (მუხლ. 13-25) მოციქული განმარტავს იმ მოჩვენებით არანორმალურობას, რომ წმ. მოსეს სჯულის არსებობისას კაცობრიობის ცოდვიანობა არათუ არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა, რის შედეგადაც მოითხოვება განსაკუთრებული მადლმოსილი საშუალება ადამიანთა ხსნისათვის მხოლოდშობილი ძე ღვთისას გამომსყიდველი ღვაწლით. ეს ერთ-ერთი ადგილია ახ. აღთქმის საღვთო წიგნთაგან, სადაც ისეთი ძალითა და სიღრმით გამოხატულია ცოდვისმიერი გარყვნილება ადამიანის ზნეობრივი ბუნებისა: **„იმას არ ვაკეთებ რაც მსურს, არამედ რაც მძულს, იმას ვაკეთებ“**. (მუხლ.15). ღვთის მადლის გარეშე, მხოლოდ ერთი საკუთარი ძალებით ადამიანს არ შეუძლია შეებრძოლოს მასში არსებულ ცოდვას, **„არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არ მსურს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, მე კი აღარ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული“**. ცხადად გვიხსნის წმ. მოციქული გაორების ამ სურათს, რომელსაც ახდენს ცოდვა ჩვენს დაცემულ ბუნებაში: **„შინაგანი ადამიანის მიხედვით მეამება ღვთის სჯული. მაგრამ ჩემს ასოებში მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მაქცევს ჩემს ასოებში მეოფი ცოდვის რჯულის ტყვედ“**. (მუხლ. 21-23) **„უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან? (მუხლ. 24)** ხატავს რა ამ მწუხარე სურათს ცოდვის მიერ დამონებული ადამიანისა, წმ. პავლე შემდეგ მიუთითებს ჩვენი გამომსყიდველის ყოვლისშემძლე შეწვენაზე: **„ვმადლობ ღმერთს ჩვენი უფლის ქრისტე იესოს მიერ“** (მუხლ. 25). ქრისტე მაცხოვარს

ჩვენი შეჩვენებულობის დროსაც შეუძლია გვაქციოს ჩვენ ჩვენში დამკვიდრებულ ცოდვაზე გამარჯვებულად. დაწვრილებით ამაზე საუბარია შემდგომ მერვე თავში.

ახსნა რა ცოდვის ძალა და უფლის იესო ქრისტეს გამომსყიველი ღვაწლის დიდებულება, რომელიც გვათავისუფლებს ცოდვის ძალაუფლებისაგან, წმ. მოციქული **მერვე თავში** გვარწმუნებს ვებრძოლოთ ცოდვას, ჩვენთანაა ქრისტეს ყოვლისშემძლე სული, რომელიც გვეხმარება ჩვენ ვიცხოვროთ სულიერად და არა ხორციელად, „ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის“. (მუხლ. 9). ღვთის სულით მავალნი, ჩვენ – ღვთის შვილები ვართ (მუხლ. 14-16), ხოლო „თუ შვილები – მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი, და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ერთად კიდევ ვიდიდოთ“. (მუხლ.17) მიდრეკილება, ვიცხოვროთ სულიერად ცოდვასთან ბრძოლით, დაკავშირებულია ტანჯვასთან, მაგრამ ქრისტიანს არ უნდა ეშინოდეს ამ ტანჯვის, ვინაიდან იგი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც ჩვენ გველოდება მომავალ ცხოვრებაში: „ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ“ (მუხლ. 18). ამ მომავალ დიდებას ელოდება ჩვენთან ერთად მთელი ქმნილება, ვინაიდან იგი გათავისუფლდება სიკვდილისა და ხრწნილების რჯულის მონობისაგან, როგორც მთელ ქმნილებაზე ასახული ადამიანის ცოდვის შედეგი. ცოდვასთან ბრძოლაში ჩვენ გვეხმარება სულიწმიდა, ვინაიდან „**ეხმარება ჩვენს უძლურებას, ვინაიდან არ ვიცით, როგორ უნდა ვილოცოთ, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით**“ (მუხლ. 26) ხსნის იმედში გვამტკიცებს წინარე საუკუნეთა წინასწარგანზრახვა ღვთისა ჩვენი ხსნის შესახებ: „**რომელიც წინასწარ იცნო, მათ წინასწარგანზრახვას თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა, რათა იყოს იგი პირმშო მრავალ ძმათა შორის. ხოლო ვისაც განზრახვრა, მათ კიდევ მოუწოდა და ვისაც მოუწოდა, კიდევ გაამართლა, ვინც გაამართლა, კიდევ განადიდა**“ (29-30). წმ. მოც. პავლეს ღმერთის წინასწარგანზრახვის განგებულების შესახებ ამ ადგილის სწორად გაგებისათვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოციქული საუბრობს არა უპირობო განგებულების შესახებ, როგორც კალვინისტები ასწავლიან, არამედ ღმერთის ყოვლისმხედველობაზე დაფუძნებული განგებულების შესახებ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთმა, ადამიანის ნების მიღმა, წინასწარგანზრახვას ხსნისაკენ ერთნი, ხოლო მეორენი – დაღუპვისაკენ, არამედ იმას, რომ ღმერთმა, როგორც ყოვლისმხედველმა, იცის თუ ადამიანთაგან ვინ წარმართავს საკუთარ ნებას სიკეთისაკენ და აქედან გამომდინარე, წინასწარგანზრახვას თითოეულის მარადიულ ხედვას. ვიყოთ ხსნის იმედში მტკიცენი, ამ დარიგების დასასრულს წმ. მოციქული ბრძანებს: „**ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს? (მუხლ. 35)** და აღტაცებით აღიარებს თავის ქრისტე მაცხოვრისადმი სიყვარულსა და ერთგულებას, მოუწოდებს რა იგივესაკენ ყველა მორწმუნეს (მუხლ. 35-39).

შემდგომ სამ თავში – 9, 10, 11 – წმ. მოციქული გამოხატავს თავის „**დიდ მწუხარებას**“ და „**განუწყვეტელ გულის ტანჯვას**“ იუდეველთა ქრისტე მაცხოვარში ჯიუტ ურწმუნობაზე და ამტკიცებს, რომ თვით ისრაელია დამნაშავე თავის ქრისტეს ეკლესიისაგან გაძევებაში, რამდენადაც ეძებს განმართლებას არა ქრისტე მაცხოვრის რწმენაში, არამედ მოსეს სჯულის გარეგნული წესების აღსრულებაში. მასთან წმ. მოციქული გამოხატავს რწმუნებას, რომ როგორც გაძევება არ ეხება ყველა იუდეველს, იმიტომ რომ არიან მათგან მორწმუნენიც, ასევე იგი არ იქნება იუდეველთა ერისათვის მუდმივად: თავის დროზე იუდეველებიც ირწმუნებენ ქრისტეს და შევლენ მის ეკლესიაში. სრულიად მათ მიერ დამსახურებული დროებით იუდეველთა გაძევება წმ. მოციქული ხედავს ღვთიური სიბრძნის გამოვლინებას მტელი კაცობრიობის ხსნასთან მიმართებაში. იუდეველთა ფანატიზმმა, ჯიუტად უარყოფს რა ქრისტეს,

როგორც მესიის რწმენას აიძულა წმ. მოციქული ქადაგებით მიემართა წარმართთათვისაც. მაშასადამე, იუდეველთა გაჯიუტებამ მოციქულთა ქადაგების წინააღმდეგ გამოიწვია შედეგად ქრისტეში წარმართთა მოქცევა (მუხლ. 25), წარმართთა შორის ქრისტეს სარწმუნოების წარმატება და სხვა სულიერი სიკეთეები, რომლებსაც ისინი ღებულობენ, გააღვიძებს იუდეველებში გულმოდგინებას და შედეგად „**მთელი ისრაელი გადარჩება**“ (11:26), ამიტომ წმ. მოციქული შეაგონებს წარმართთაგან მორწმუნეთ არ იყოყოიონ თავიანთი ხსნით იუდეველთა წინაშე. ადარებს რა იუდეველთა ერს ზეთისხილის ხეს, რომელსაც ტოტები აქვს დამტვრეული, მაგრამ ფესვი მთელია და წმიდა, წმ. მოციქული წარმართებს ადარებს „**ველურ ზეთისხილს**“, რომელიც დამყნობდა ზეთისხილის ხის დამტვრეული ტოტების ადგილზე: „**თუკი... შენ, ველურო ზეთისხილო, დაემყენ მათ ადგილას და გახდი ზეთისხილის ფესვისა და წვენის თანაზიარი, ნუ იამპარტავნებ რტოთა წინაშე, ხოლო თუ იამპარტავნებ, იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ.**“ (11:17-18). ამასთან გადამტყდარი რტოები კვლავ შეიძლება დაემყნას, ვინაიდან „**ღმერთს ძალუძს მათი კვლავ დამყნობა**“ (მუხლ. 23), ხოლო თუ შენ მოკვეთილი ხარ ბუნებით ველური ზეთისხილისაგან და არაბუნებრივად დაემყნე კარგ ზეთისხილს, მით უმეტეს ესენი, ბუნებრივები, დაემყნობიან თავიანთ ზეთისხილს“. (11:24).

ღვთის განგებულების დიდებულება, რომელსაც ბრძნულად მიჰყავს ყველა ერი ხსნისაკენ ადამიანთათვის უხილავი ხალხთა ისტორიულ ბედზე მოქმედების გზით, იწვევს წმ. მოციქულში აღტაცებულ შეძახილს: „**ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! რა ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები! რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი მრჩეველი? ან წინასწარ ვინ მისცა მას, რომ მიუზღოს? რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის. მას დიდება უკუნისამდე. ამინ!**“ (11:33-36). ამით მთავრდება დამრიგებლობითი, დოგმატური ნაწილი რომაელთა მიმართ ეპისტოლესი.

მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე, და მეთუთხმეტეს მე-13 მუხლის ჩათვლით თავები შეადგენენ ეპისტოლეს ზნეობრივი სწავლების ნაწილს. აქ წმ. მოციქული აღნიშნავს ქრისტიანის ზნეობრივი ცხოვრების იდეალს. მე-12 თავში იგი საუბრობს ქრისტიანის, როგორც ეკლესიის წევრის ღმერთთან მიმართებაში მოვალეობების შესახებ (მუხლ. 1-2), ასევე მოყვასთან (მუხლ.3-5) მიმართებაში, სხვადასხვა ზებუნებრივი ნიჭებისა და ჩვეულებრივი მსახურებების შესახებ, ქრისტიანის გრძნობებისა და განწყობილებების შესახებ (მუხლ. 8-21). მე-13 თავში წმ. მოციქული საუბრობს ქრისტიანის, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოების წევრის მოვალეობებზე. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარიგება ხელისუფლებისადმი მორჩილების შესახებ: „**ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას**“ (მუხლ. 1). ამ დარიგების სწორი გაგებისათვის ყურადღება უნდა მივმართოთ 3 და 4 მუხლებში მოცულ აზრისკენ: ის ხელმწიფება „**ღვთისგანაა**“, რომელიც ხელს უწყობს სიკეთეს და სჯის ბოროტებას. ღირსი ისიღორე პელიერიოტი ამბობს: „ამიტომ ჩვენ ვიტყვი, რომ თავად საქმე, ვგულისხმობ ძალაუფლებას, ე.ი. სამეფო მხედრობას და ძალაუფლებას, ღვთის მიერაა დადგენილი. მაგრამ თუკი ვინმე ბოროტმოქმედი მიიტაცებს ამ ძალაუფლებას, მაშინ არ ვამტკიცებთ, რომ ღმერთის მიერაა დადგენილი, არამედ ვამბობთ, რომ მიეცა მას, გადმოანთხიოს ის ბოროტება, როგორც ფარაონს, მიაყენოს უკიდურესი სასჯელი იმათ, ვისთვისაც საჭიროა სიმკაცრე“. (ნაწ. II, მე-6 წერილი). მე-14 თავში და მე-15 თავის 1-13 მუხლებში წმ. მოციქული იძლევა დარიგებას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ რწმენაში უსუსურებთან; რომის ეკლესიაში ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაც იყო. რომაელ წარმართთაგან ქრისტიანთა უმრავლესობა იქებდა თავს ქრისტიანული თავისუფლებით იმასთან მიმართებაში, რომ განურჩევლად ჭამდნენ ყოველგვარ

საჭმელსა და სასმელს, ვინაიდან ქრისტიანული სარწმუნოება ამასთან მიმართებაში არანაირ აკრძალვებს არ აკეთებდა. ამასთან ერთად იუდეველი ქრისტიანები აგრძელებდნენ ზოგიერთი სახის საკვების არაწმინდად ჩათვლას და ეშინოდათ მათ მიერ არ შებილწულიყვნენ, ისევე, როგორაც მიაჩნდათ ზოგიერთი ძველადოქმისეული დღესასწაულების აუცილებელი აღიარება. წმ. მოციქული მოუწოდებს ამ ნიადაგზე განხეთქილების შეწყვეტას, რამდენადაც რწმენაში უძღურებთან საჭიროა შემწყნარებლობა. კერძო აზრები და რწმუნებები თითოეულის სინდისის საკითხია. მთავარია არ განიკითხონ ერთმანეთი და არ იქცნენ ერთმანეთის დაბრკოლებად. ქრისტიანთათვის ყველაფერი წმიდაა, მაგრამ თუკი შენი ძმა დაბრკოლდება, მაშინ უმჯობესია არ ჭამო ხორცი და არ დალიო ღვინო, რათა არ დააბრკოლო ძმა (14:1-21). მე-13 თავის 12-14 მუხლები და მე-14 თავის 1-4 მუხლები იკითხება ყველიერის კვირაში ლიტურგიაზე, რომელიც იძლევა მითითებას, თუ როგორი განწყობილებით უნდა გაატაროს ქრისტიანმა დიდი მარხვა.

ეპისტოლეს დასასრულს (15:14-16) წმ. მოციქული გვიხსნის განზრახვას, რომლითაც იგი მიმართავს რომაელებს, თავისი ეპისტოლეით, რეკომენდირებას უკეთებს კენხრეის ეკლესიის დიაკონისას ფიბას მათთან, რომელსაც ატანს თან ამ ეპისტოლეს და გადასცემს მოკითხვას სახელობით რომში მაცხოვრებელ ქრისტიანებს.

წმ. მოც. პავლეს ეპისტოლე I კორინთელთა მიმართ

კორინთოს ეკლესიის დაარსება

კორინთო მდებარეობს ყელზე, რომელიც აერთიანებს საბერძნეთს ზღვასთან. აშენებულია იგი ქრისტეს შობამდე 1 000 წლის წინ. 44 წელს იულია ცეზარის დროს, იგი აღდგენილი იქნა აოხრების შემდეგ და იქცა რომის პროვინციის აქაიას აყვავებულ პირველ ქალაქად – პროკონსულთა რეზიდენციად. იგი განდიდებული იყო მეცნიერებით, ხელოვნებითა და მხიარული ცხოვრებით, რაც იზიდავდა მისკენ უამრავ მაცხოვრებელს. **პირითადი მასში იგი ე.წ. „ისტმийские ипри“** და აფროდიტეს ტაძარი. შეიძლება ვთქვათ, რომ მოციქულთა ქადაგების დროს კორინთო იყო ბერძნული ფუქსავატობის, ქარაფშუტობისა და გრძნობებით ტკბობის წარმომადგენელი.

კორინთოში ეკლესია დააარსა წმ. მოც. პავლემ მისი მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს, დაახლ. 53 წელს, მას შემდეგ, რაც მან ქადაგებით განვლო ფილიპე, სილონი, ვერია და ათენი. დატოვა რა მაკედონიაში სარწმუნოების განმტკიცებისთვის თავისი მოწაფეები სილა და ტიმოთე, წმ. პავლე გაემართა საბერძნეთში და მივიდა კორინთოში ათენში ხანმოკლე დროის ყოფნის შემდეგ, როგორც ამას საქმე მოციქულთას წიგნი მოგვითხრობს. (18:11)

კორინთოში წმ. მოციქული შეხვდა კეთილ და სტუმართმოყვარე ადამიანებს აკილასა და პრისკილას, წარმოშობით იუდეველებს პონტოდან, რომლებიც ჯერ რომში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ კორინთოში გადასახლდნენ იმპერატორ კლავდიუსის მიერ, რომიდან ყველა იუდეველის დევნის შემთხვევისა გამო. აკილა იყო კარგების მკეთებელი, რამდენადაც წმ. პავლემ იცოდა ეს ხელობა, ამიტომაც დასახლდა მათთან, რათა თავისი შრომით მოეპოვებინა სარჩო-საბადებელი. თუკი აკილა და პრისკილა ჯერ კიდევ არ იყვნენ ქრისტიანები, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი შემდეგ მოინათლნენ წმ. პავლეს მიერ და გახლნენ მისი თანაშემწენი სახარების ქადაგებაში. ყოველ შაბათს მოციქული ქადაგებდა იუდეველთა სინაგოგაში, არწმუნებდა იუდეველებს და ელინ-პროზელიტებს, რომ არ არსებობს სხვა ხსნა, რაც მხოლოდ უფალ იესო ქრისტეშია. როცა მაკედონიიდან მოვიდნენ სილა და ტიმოთე, წმ. პავლეს მიეცა

თავისი ქადაგების გაფართოებისა და გაძლიერების შესაძლებლობა და ასწავლიდა უკვე არა მხოლოდ შაბათს, არამედ კვირის ყველა დღეს. იუდეველებთან ეს ქადაგება, ერთი მხრივ, ნაკლებად წარმატებული იყო. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მოციქულს. მაშინ წმ. მოციქულმა დატოვა სინაგოგა იუდეველთათვის შემაგონებელი მოქმედებითა და სიტყვით, დაიბერტყა ტანისამოსი და უთხრა მათ: **„თქვენს თავზე იყოს თქვენივე სისხლი! მე უბრალო ვარ. ამიერიდან წარმართებთან მივდივარ“**. (საქმ. 18:6) ამ სიტყვების აზრი ასეთია: „თქვენს დაღუპვაში თავადვე მიგიძღვით ბრალი. მე ამისგან სუფთა ვარ. მე მიგიითითეთ ხსნის გზა, თქვენ კი არ გინდათ მისი მიღება. დარჩით თქვენს დაღუპვაში“. შემდგომი ქრისტიანული შეკრებები ქრისტეს შესახებ ქადაგები წმ. პავლემ მოაწყო სინაგოგის მოშორებით, ვინმე იუსტოსის სახლში, რომელიც იყო ღვთისმოსიში. აქ იკრიბებოდნენ წარმართები. ქადაგება წარმატებულად ვითარდებოდა: ბევრი ინათლებოდა. მოქცეულთა შორის იყო თვით სინაგოგის მთავარი კრისპოსი მთელი თავისი ოჯახით. მაგრამ ქადაგების წარმატება, როგორც ჩანს, მაინც არ იყო დიდი, ასე რომ წმ. პავლეს საერთოდ სურდა წასვლა გარყვნილი კორინთოდან, რომელშიც მან განიცადა სიცოცხლეზე საფრთხე. (2თესალონ. 3:2). ამიტომ თვით უფალი გამოეცხადა მას ხილვაში კორინთოში (საქმ. 18:9-10). ამ ხილვით გაძლიერებული წმ. მოციქული დარჩა კორინთოში წელიწადნახევარი და ამ პერიოდში მისმა ქადაგებამ კორინთოში უხვი ნაყოფი გამოიღო, ასე რომ კორინთოს ეკლესია ცნობილი გახდა და განდიდებული იყო სულიერი ნიჭების სიუხვით (1კორ. 1:5-7).

როცა კორინთოს ეკლესია მოეწყო, წმ. პავლეს ელოდებოდა ქადაგებისათვის სხვა ადგილებში გამგზავრება. კორინთოდან მისი წასვლა დააჩქარა ერთმა სამწუხარო მოვლენამ. მოციქულის ქადაგებით გაღიზიანებულმა იუდეველებმა შეიპყრეს იგი და მიიყვანეს პროკონსულ გალიონთან სამსჯავროზე საჩივრით, რომ იგი **„არწმუნებს ხალხს, რომ სჯულის საწინააღმდეგოდ სცენ თაყვანი ღმერთს“** (საქმ. 18:13). ამ საჩივრის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ პავლე დამაარსებელი გახდა რომის იმპერიის კანონით გაუთვალისწინებელი რაღაც ახალი სექტისა. გალიონი იყო ცნობილი ფილოსოფოსის სენეკას ძმა და ძალიან განათლებული და კეთილსინდისიერი ადამიანის, პოეტ ლუკანას ბიძა. მან უარი თქვა სარწმუნოებასთან დაკავშირებული საქმის გარჩევაზე და იუდეველები გამოყარა სამსჯავროდან. ხოლო იუდეველების მოძულე ბერძენმა შეიპყრეს ბუნტის თავი სინაგოგის მთავარი სოსთენესი და **„სცემეს სამსჯავროს წინ, მაგრამ გალიონს ესენი არ ადარდებდა“**. (საქმ. 18:14-17). შესაძლებელია, რომ ეს სოსთენესი შემდგომ გაქრისტიანდა და ამის შესახებ წმ. მოციქული აღნიშნავს 1კორ. 1:1-ში.

ღვთის განსაკუთრებული განგებულებით კორინთოში პავლეს საქმის გამგრძელებელი გახდა ვინმე იუდეველი სახელად აპოლოსი. იგი დაიბადა და აღიზარდა ალექსანდრიაში, საიდანაც ჩამოვიდა ჯერ ეფესოში, ხოლო შემდეგ კორინთოში. ეს იყო ენამჭევრი და ძლიერი წერილებში (საქმ. 18:24). წმ. პავლე წამოვიდა რა კორინთოდან, მოკლე დროით დარჩა ეფესოში, სადაც დატოვა აკილა დ პრისკილა, თვითონ კი გაემგზავრა იერუსალიმში და იქედან ანტიოქიაში, საიდანაც შემდგომ დაიწყო თავისი მესამე მოციქულებრივი მოგზაურობა. წმ. პავლეს ეფესოდან წამოსვლის შემდეგ იქ მივიდა აპოლოსი, უკვე ქრისტიანი და სულით ცხელი, ოღონდ მარტო იოანეს ნათლისცემა იცოდა. იგი თამამად ასწავლიდა სინაგოგაში, **„მოუსმინეს აკილამ და პრისკილამ და თან წაიყვანეს და უფრო ზუსტად აუხსნეს უფლის გზა“**. (საქმ. 18:26). როცა აქაიაში უნდა წასულიყო, რომლის დედაქალაქიც კორინთო იყო, ეფესელმა მორწმუნეებმა რეკომენდაციის წერილები გაუკეთეს იქაურ ქრისტიანებთან. მივიდა რა კორინთოში იგი ბევრს ეხმარებოდა მადლით და ბეჯითად ამხილებდა იუდეველებს საჯაროდ და **„ადასტურებდა წერილების მიხედვით, რომ ქრისტეა**

იესო“. (საქმ. 18:27-28). აპოლოსის ქადაგებას ქრისტიანობის კორინთოში განმტკიცებისათვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ წმ. მოც. პავლე უწოდებს მას მის მიერ დარგულ ქრისტეს სარწმუნოების მომრწველს: „**მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა**“. (1კორ. 3:6). რამდენ ხანს დარჩა აპოლოსი კორინთოში, არ არის ცნობილი, კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს დაწერისას ჩვენ კვლავ ვხედავთ მას ეფესოში მოციქულთან ერთად. (1კორ. 16:12).

I კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერის საბაბი

აპოლოსის კორინთოში ყოფნის დროს წმ. პავლემ, განახორციელა რა თავისი გეგმა პასქახე იერუსალიმის სტუმრობის შესახებ, დაიწყო თავისი მესამე მოციქულბრივი მოგზაურობა ანტიოქიიდან და „**რიგრიგობით მოიარა გალატელთა ქვეყანა და ფრიგია**“ (საქმ. 18:22-23), მივიდა ეფესოში აქ ქრისტეს ეკლესიის განმტკიცებისათვის (საქმ. 19:1). აქ მანამდე დადიოდა სხვადასხვა არასასიამოვნო ხმები მის მიერ კორინთოს ეკლესიის დატოვების შესახებ. მას სურდა თავად გამგზავრებულიყო კორინთოში ზღვით ეფესოდან (2კორ. 1:15-16), მაგრამ ვერ გადაწყვიტა რა ეფესოს დატოვება, თავის ნაცვლად გაამგზავრა კორინთოში თავისი საყვარელი მოწაფე ტიმოთე, დაავალა რა მას გაეგლო მაკედონია და შემდეგ მიეტანა მისთვის კორინთოს ეკლესიაში ყოველივე მომხდარის შესახებ. ამასთან ერთად არასასიამოვნო ხმები კორინთოს ეკლესიის შესახებ უფროდაუფრო მეორდებოდა და იზრდებოდა. თითქოსდა ერთი კორინთოელი ქრისტიანი ისეთი სახით მრუშობდა, რომლის მსგავსი წარმართებშიც კი არ იყო (1კორ. 5:1). შემდგომ ეფესოში მოვიდნენ ერთ-ერთი ქრისტიანი ქალის ქლოეს ახლობლები და დაუმოწმეს მოციქულს ეს ხმები, მოუთხრეს რა ამასთან ერთად ბევრი სხვა რამ დაწვრილებით, აწყენინეს რა მოციქული განსაკუთრებით სხვადასხვა რელიგიური კამათების შესახებ მონათხრობით (1კორ. 1:11-12). შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კორინთოში წარმოიქმნა სხვადასხვა რელიგიური პარტიები და სექტები. კორინთოდან მოსულმა ელჩებმა კორინთოს ეკლესიიდან სტეფანემ, ფორტუნათმა და აქაიკმა რამდენადმე დაამშვიდეს მოციქულის სული (1კორ. 1:17-18), მაგრამ მაინც დაამოწმეს მრავალი განწყობილების არსებობა. დაამოწმეს რა ხმები მრუშობისა და დავის შესახებ, მათ გადასცეს ბევრი სხვაც კვლავ: წარმართულ სამსჯვროში დავის, სიყვარულის სერობაზე უწესრიგობის, ეკლესიაში ქალების თავდაუხურაობის, ზოგიერთების მკვდართა აღდგომის არდაჯერების შესახებ. მოციქულს თხოვეს განსაკუთრებული ეპისტოლეს მიწერა და კითხვებზე პასუხის გაცემა: ქორწინებისა და ქალწულების შესახებ, კერპმენაწირავების შეჭმის შესახებ და ა.შ. ამის გამოც წმ. პავლემ გადაწყვიტა კორინთოში გაეგზავნა თავისი ეპისტოლე, რათა განკურნოს ყველა განწყობილება და გასცეს პასუხი ყველა გაუგებრობაზე. ამასთან ერთად იგი პირდება თავად მივიდეს მათთან (1კორ. 4:19-21). დამატებითი საბაბი ეპისტოლეს დაწერის, რაც ჩანს 1კორ. 16:14-დან, იყო პალესტინელი ქრისტიანებისათვის ფულადი შემწეობის აკრეფის მოგვარება.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი

როგორც ეს ჩანს ეპისტოლედან, იგი დაწერილია ეფესოში. „**არ მინდა თქვენი ნახვა გავლით, არამედ ვიმედოვნებ რამდენიმე ხანს დავრჩე თქვენთან, თუ უფალი ინებებს. ხოლო ეფესოში დავრჩები ორმოცდამეათე დღემდე**.“ (1კორ. 16:7-8). ეპისტოლეში წმ. პავლე წერს, რომ მან კორინთოში გააგზავნა წმ. ტიმოთე (16:10), ხოლო საქმე მოციქულთაში ჩვენ ვხედავთ, რომ მან ეფესოდან გააგზავნა იგი იმაზე წინ, სანამ თვითონ განიზრახავდა იქედან წასვლას (19:21-22). წლების გათვლით ეს უწევს ქრ.შ.დან 58 ან 59 წელს.

I კორინთელთა ეპისტოლეს ეგზეგეტიური განხილვა

კორინთელთა პირველი ეპისტოლე განსხვავდება წმ. პავლეს სხვა დანარჩენი ეპისტოლეებისაგან განსაკუთრებული სხვადასხვაობით მასში გადაწყვეტილი კითხვებისა. აქ წმ. მოც. პავლეს უხდება საქმე არა იუდაისტურ ცდუნებებთან, არამედ ბერძნულ კულტურასთან, ელინიზმთან.

ეპისტოლე იწყება ჩვეულებრივი მიწერილობითა და მოკითხვით. საკუთარი თავის შემდეგ წმ. პავლე მოიხსენიებს „**მა სოსთენს**“. ნეტარი თეოდორიტე და წმ. დიმიტრი როსტოველი მიიჩნევენ, რომ ეს სოსთენი იყო სწორედ ის მთავარი სინაგოგისა კორინთოში, რომელიც გაილახა მოციქულ პავლეს წინააღმდეგ აღძრული მღელვარების შემთხვევისა გამო. (საქმ. 18:17). ასეთივე აზრზეა ეპ. თეოფანე დაყუდებული.

სხვა შემდგომი შინაარსი ეპისტოლესა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, პირველი ექვსი თავის ჩათვლით, შეიცავს განსაკუთრებით მხილებას, მეორე ნაწილი – 7-დან 15-მდე თავები – შეიცავს დარიგებას და ბოლოს, 16 თავი, მოიცავს თავის თავში დასასრულს, რომელშიც წმ. მოციქული გადმოგვცემს მოსაზრებას ფულადი შემწეობის აკრეფის შესახებ პალესტინელი ქრისტიანებისათვის და თავისი მოგზაურობის შესახებ კორინთოში მიმავალ გზაზე, ასევე გადასცემს ჩვეულებრივ მოკითხვებს.

პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თავებში წმ. მოციქული ამხელს კორინთელებს ერთმანეთს შორის დავისა და დაყოფის გამო, თავდაპირველად იგი აქებს რწმენას, გამოხატავს რა რწმუნებას, რომ უფალი განამტკიცებს მათ ამ რწმენაში „**ბოლომდე, რათა უმწიკველო იყვნენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დღეს**“. (მუხლ. 8), ხოლო მე-10-ე თავიდან იწყებს თავის მამხილებელ ქადაგებას. წმ. მოც. პავლეს შემდეგ კორინთოში ქადაგებდა მისი მოწაფე აპოლოსი, იქვე მივიდნენ წმ. მოც. პეტრეს მიერ მოქცეული ქრისტიანები. იქ იყვნენ ქრისტიანები აგრეთვე პალესტინიდან, რომელთაც ესმოდათ თვით უფლის იესო ქრისტეს ქადაგებები. მიდრეკილნი პარტიული დავისაკენ და შენარჩუნებული ჰქონდათ რა წარმართული შეხედულებები სახარების მქადაგებლებზე, როგორც ფილოსოფოსებზე, აფუძნებდა რა თითოეული თავის სკოლას, კორინთელები დაიყვნენ სხვადასხვა პარტიებად სახარებისეული სწავლების მქადაგებლების სახელებით და უწოდებდნენ თავიანთ თავს: „**მე პავლესი ვარ, მე აპოლოსისა, მე კეფასი, მე კი ქრისტესიო**“. თავდაპირველად ამ დაყოფას საფუძვლად ედო ამა თუ იმ მქადაგებლისადმი სიყვარული, მაგრამ შემდგომში ამ დაყოფას შესაძლებელია სახიფათო შედეგები მოეტანა თვით სარწმუნოების სიწმინდეში; ზნეობრივ ურთიერთობებშიც ამ დაყოფამ არასასურველი გამოვლინებები შეიტანა კორინთელ ქრისტიანებს შორის, რომელსაც ამხელს წმ. მოციქული თავის ეპისტოლეში. ითვალისწინებს რა იმას, რომ სხვადასხვა პარტიების ხელმძღვანელები, წარმართი ფილოსოფოსების მაგალითზე, გავლენას ახდენდნენ ბრბოებზე მჭერმეტყველებით და ფილოსოფიური მსჯელობებით, წმ. მოციქული პირველ თავში ახასიათებს სახარებისეული ქადაგების თვისებას ერულ სიბრძნესთან შედარებით – ფილოსოფიასთან. თავიანთი განსწავლულობით ამპარტავან წარმართათვის ქადაგება ჯვრის შესახებ უგუნურებად ითვლებოდა, მაშინ, როდესაც მორწმუნეთათვის იგი – ძალაა ღვთისა, რომელიც ხსნას გვანიჭებს. მაშინ, როდესაც ერული სიბრძნე მოწყდა სიბრძნის წყაროს – ღმერთს და ცდილობდა ფილოსოფია დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ყველა ცხოვრებისეული ამოცანა, აღმოჩნდა უსუსური ადამიანური ცხოვრების მოწყობაში, სახარებისეული ქადაგება კი, ეჩვენებოდათ რა ურწმუნოებს უგუნურებად, ანიჭებს ადამიანებს ნამდვილად ყველაფერს, რაც აუცილებელია მათი მიწიერი ცხოვრების კეთილმოწყობისათვის. ასე, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მარადიული ხსნისათვის. „**იუდეველნი მოითხოვენ**

სასწაულებს და ბერძნები სიბრძნეს ეძებენ. ხოლო ჩვენ ვკადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ბერძენთათვის უგუნურებას, ხოლო მოწოდებულთათვის – იუდეველებისთვისაც და ბერძენებისთვისაც – ვკადაგებთ ქრისტეს – ღვთის ძალას და ღვთის სიბრძნეს“. (მუხლ. 22-24) აქ მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ „უგუნურება ღვთისა ადამიანებზე უბრძენისა და უძღურება ღვთისა – ადამიანებზე უძღიერესი“ (მუხლ.25), რაც იქედან ჩანს, რომ „სოფლის უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი და სოფლის უძღურნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი“ (მუხლ. 17) ეს ხილულად აისახა იმაში, რომ ლატაკმა, უცნობმა და გაუნათლებელმა მეთევზეებმა, როგორებიც იყვნენ მოციქულები, და პირველი ქრისტიანების უმრავლესობა, ასევე დაბალი ფენის და გაუნათლებელმა ხალხმა, თავიანთი რწმენის ძალით და თავიანთი ქადაგებით შეარცხვინეს მთელი სიბრძნე წარმართა და ფილოსოფოსთა და ქრისტეს ჯვრის ფერხთქვეშ მოაქციეს მთელი მსოფლიო. „ღმერთმა ყველანაირად – ამბობს ნეტ.თეოდორიტე – უსწავლელობით გაიმარჯვა სწავლულებზე, ლატაკებით მდიდრებზე, და მეთევზურებით დაიჭირა მთელი მსოფლიო.“ რისთვის იყო ეგ ყველაფერი საჭირო? „რომ არცერთი ხორციელი არ იქადოდეს ღვთის წინაშე.“ (მუხლ.29) – რათა დაამდაბლოს ყოველი ამპარტავნება და ქედმაღლობა, რათა გვაჩვენოს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თავით თვისით ხსნა, რომ ქრისტიანობა – ეს ხსნის გზაა თავმდაბლობის მეშვეობით.

სახარების ქადაგების უბრალოების შესახებ ამ აზრის დასამტკიცებლად, რომელიც განსხვავებულია წარმათი ფილოსოფოსების გარეგნული სიბრძნისა და მომაჯადოებელი ლამაზი გარეგნული წყობის სიტყვისაგან, წმ. მოციქული მეთრე თავში იხსენებს, თუ როგორ გაიარა კორინთოში თავმდაბლობით ჯვარცმულის შესახებ უბრალო სიტყვით, რათა კორინთელთა რწმენა არ იყოს ვაღდებული არანაირად ადამიანური სიბრძნისადმი, არამედ ღმერთისადმი: „თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით“ (მუხლ.5). რწმენაში უფრო სრულყოფილთათვის შემდეგ გახსნილია ჭეშმარიტი სიბრძნის ცოდნა – ღვთის სიბრძნის, რომელიც აღემატება ადამიანის ყოველგვარ გონიერებას და ამ სამყაროს ბრძენთა სიბრძნეს. ეს – „სიბრძნეა საიდუმლოებებში დაფარული, რომელიც წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის“. – ეს ჩვენი ხსნის გამართვაა უფალ იესო ქრისტეში. (მუხლ. 6-8). „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს.“ (მუხლ. 9). ჩვენ კი, ე.ი. ჭეშმარიტ ქრისტიანებს „ღმერთმა გაგვიმხილა თავისი სულით. ვინაიდან სული ჭვრეტს ყველაფერს ღვთის სიღრმეებსაც.“ (მუხლ.10). ქადაგებენ რა კაცთა საიდუმლოს სიბრძნის შესახებ, მოციქულებს აქვთ „ქრისტეს გონება“, ამიტომაც მათი სწავლების მთელი სირღმით მიღება შეუძლიათ მხოლოდ „სულიერ“ ხალხს, ე.ი. სულიერ-ზნეობრივ ცხოვრებაში გამტკიცებულებს, სულიერად ახალშობილებს და ჭეშმარიტების არა მხოლოდ გონებით მიღებულებს, არამედ გულით და ნებით მიღებულებს, ე.ი. მთელი თავიანთი შესაძლებლობებით. „მიწიერი ადამიანი“, ე.ი. ჯერ კიდევ არგანწმენდილი ცოდვის სიყვარულისგან, არა სულით მცხოვრები, არამედ უმდაბლესი სულიერი თვისებებით, „არ ღებულს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევენ და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი“. (2:14)

მესამე თავის შინაარსი გვეუბნება, წმ. მოც. პავლეს კორინთოში არ ყოფნის დროს მისმა მოწინააღმდეგებმა აღძრეს მის წინააღმდეგ ქრისტიანები, ცდილობდნენ რა მისი სწავლების დამცირებას. ისინი მიუთითებდნენ, რომ სხვა მქადაგებლები, როგორცაა წმ. პეტრე და აპოლოსი, უფრო დრმად და მჭევრმეტყველურად შლიან ქრისტეს ჭეშმარიტ სწავლებას. წმ. პავლე წერს: „მე

ქმანო, არ შემეძლო თქვენთან ლაპარაკი, როგორც სულიერებთან, არამედ როგორც ჩვილებთან ქრისტეში, რქეს გასმევედით თქვენ და არა საჭმელს, ვინაიდან მაშინ არ შეგეძლოთ და არც ახლა ძაღვით, იმიტომ რომ ჯერ კიდევ ხორციელნი ხართ“, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს დავა, კამათი და პარტიებად დაყოფად სხვადასხვა მასწავლებელ-მქადაგებლების გამო. შემდგომ წმ. პავლე გვიხსნის, როგორ უნდა ვუყურებდეთ მოციქულებს. მოციქულები – მხოლოდ უფლის მსახურებია, „მხოლოდ მსახურნი, რომელთა მეშვეობითაც ირწმუნეს“, ხოლო ხსნის საფუძველი იესო ქრისტეშია, ვინაიდან „არავის ძაღვს დაუდოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რაც დადებულია, რომელიც არის იესო ქრისტე“. (მუხლ.11). „მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა. ამიტომ არც დამრგველია არაფერი, არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი. დამრგველი და მომრწყველი ერთი და იგივეა, ხოლო თითოეული მიიღებს თავის საზღაურს თავისი შრომისამებრ, ვინაიდან ჩვენ ღვთის თანამშრომელნი ვართ, თქვენ კი – ღვთის ყანა და ღვთის შენობა.“ (მუხლ.6-8). თითოეული ასეთი მშრომელი-მქადაგებლის შრომის ფასი განისაზღვრება უფლის სამჯავროზე. საძირკველი ერთია – უფალი იესო ქრისტე, მაგრამ ამ საძირკველზე შეიძლება შენება სხვადასხვა ფასეულობის და სახის მასალით: „ოქროსაგან, ვერცხლისაგან, ძვირფასი ქვებისაგან ან ხისგან. საშინელი სამსჯავროს დღეს „თითოეულის საქმეს, როგორც არის, ცეცხლი გამოცდის“. (12-14) „ვისი საქმეც დაიწვება, ის იზარალებს, თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლიდან.“ ნეტ. ავგუსტინეს თქმით, წმ. მოც. პავლეს ეს გამოთქმა ეხება სწორედ ისეთებს, რომლებსაც წმ. მოც. პეტრე უწოდებს „უმეცართ“ (2პეტ. 3:16). მოციქულის ეს შეფარული სიტყვები, რომელთა კათოლიკებს აძლევს საბაბს ნახონ მასში თავიანთი ცრუდოგმატის მტკიცებულება საიქიო განსაწმენდელი ცეცხლის შესახებ, რომლითაც თითქოსდა სიკვდილის შემდეგ ცოდვილები განიწმინდებიან. ამ სიტყვების სწორი გაგებისათვის შეიძლება შედარება გავაკეთოთ ხანძართან, რომელმაც მოიცვა სახლი „ირგვლივ ცეცხლია, უნდა გაარღვიო იგი და გაიქცე. რა ხდება? ვიღაც გაიქცევა თითქმის დაუმწვარი, სხვები სხვადასხვა სახის დამწვრობით, სხვა კი ცეცხლში დარჩება. მსგავსი მოუვა იმათ, ვისი სახლებიც (საქმეები) სასამჯავროს ცეცხლზე დაიწვება. ერთნი ცეცხლში წავა, სხვები კი მიიღებს სხვადასხვა სახის სასჯელს, სხვები კი იქნება შეწვალბული. ვინაიდან თუმცა ყველა დამნაშავეა, რადგანაც არ ააშენეს შესაბამისი მასალით, მაინც მათი ბრალეულობა შეიძლება სხვადასხვა ხარისხის იყოს. სხვა შესაძლებელია ამ ბრალეულობის გარეშე იყოს დამნაშავე: შრომობდა მშენებლობაზე არამტკიცებთან, არ იცოდა რა უკეთესი სახის მშენებლობა, ან კიდევ შესაძლებელია გარემოებების გამო ვერ მოახერხა უკეთესისაკენ მიდრეკა, ან კიდევ რატომღაც იმსახურებს პატიებას“ (ეპ. თეოფანე).

ამიტომ მასწავლებელ-მქადაგებელი დიდი სიფრთხილითა და სიფხილით უნდა აშენებდეს ქრისტეს ეკლესიას, უნდა გვახსოვდეს რა, რომ თითოეული ქრისტიანი არის ღვთის ტაძარი, რამდენადაც ღვთის სული მათ მიერ მიღებული საიდუმლოებების მეშვეობებით სუფევს ჩვენში. „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში?“ (მუხლ. 16) ამო ადამიანურმა სიბრძნემ შეიძლება დაანგრიოს ეს ტაძარი იმიტომ, რომ „ამ სოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე“, „თქვენ ხომ ქრისტესი ხართ“, ე.ი. როცა გახდით მისი ეკლესიის წევრები თქვენ ეკუთვნით ერთ ქრისტეს, ამიტომაც სწორი იქნება კი დაყოფა პავლესად, აპოლონისად, კეფასისად და სხვა ვინმესად?

მეოთხე თავში წმ. მოციქული მიუთითებს, რომ აფასებს რა მოციქულთა შედარებით მნიშვნელობას, კორინთელებმა გამოავლინეს ნაკლებობა ქრისტიანული სათნოებისა – თავმდაბლობისა. ამპარტაგნობდნენ რა თავიანთი სულიერი გონიერებით, კორინთელებმა დაივიწყეს, რომ თუ კი მათთან რაიმე

ფასეული არსებობს, ეს მოციქულთაგან მიიღეს. რათა შეაგონოს კორინთელებს და აღძრას მათში გულწრფელობისა და მადლიერების გრძნობა თანაბრად ყველა მოციქულთა მიმართ, როგორც მოღვაწეთა მათი კეთილდღეობისათვის, მოციქული ადარებს მათ მდგომარეობას თავის თავთან. ვერც კი მოასწარიტ რწმენის ნაყოფისაგან საწყისების გემოს გასინჯვა და უკვე „გაძეხით, უკვე გამდიდრდით, ჩვენს გარეშე გამეფდით“. „ჩვენ კიდევ ვიგვემებით ქადაგების გამო, თქვენ კი უკვე გამეფებით ტკბებით“ (ნეტ. ტეოდორიტე) და მოციქული ხატავს ყოველგვარი ჭირ-ვარამის სურათს, რომელსაც სახარების მქადაგებლები ითმენდნენ. „ჩვენ, მოციქულებს ღმერთმა უკანასკნელი ადგილი მიგვიჩინა, როგორც სიკვდილმისჯილებს, ვინაიდან სანახაობად გავხდით სოფლისათვის, ანგელოზებისათვისაც და ადამიანებისათვის“. „უზნურები ვართ ქრისტეს გულისათვის, თქვენ კი ბრძენნი ხართ ქრისტეში, ჩვენ უძლურნი ვართ, თქვენ კი ძლიერნი, თქვენ დიდებულნი, ჩვენ კი უპატიონი“. ეს დაპირისპირება უნდა გავიგოთ როგორც მამხილებელი ირონია. თავის მხილებას წმ. მოციქული ამთავრებს რწმენით, რომ ამას აკეთებს არა მათ „შესარცხვენად“, არამედ შესაგონებლად, როგორც თავის „საყვარელ შვილებს“. „თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბერი არა გყავთ; რადგან მე გშობეთ თქვენ იესო ქრისტეში სახარებით.“ (მუხლ 14-16). მნიშვნელოვანი ადგილი! წმ. მოციქული ამბობს, რომ თუმცა ჰყავთ კორინთელებს „ათი ათასი აღმზრდელი“, მაგრამ „მამები ცოტა“ და რომ მან „შობა ქრისტე იესოში სახარებით“, ე.ი. ითვლება მათ სულიერ მამად. თვით წმ. მოციქული უწოდებს თავს ქრისტიანობაში მოქცეულთა „მამად“. ამასთან ერთად სექტანტები უსაფუძვლოდ ესესხებიან უფლის იესო ქრისტეს სიტყვებს მიმართულს მოციქულებისადმი მთ. 23:9-ში, უკანონოდ თვლიან რა მართლმადიდებელი მოძღვრების „მამაოდ“ წოდებას. კორინთელთა შეგონებისათვის წმ. მოციქული აგზავნის მათთან ნდობით აღჭურვილ თავის მოწაფეს ტიმოთეს და ჰპირდება მათ მალე სტუმრობას. წმ. მოც. პავლეს მოწინააღმდეგენი ავრცელებდნენ ხმებს, რომ იგი 4 წელი არ ჩასულა კორინთოში თავის მოწინააღმდეგეებთან შეხვედრის შიშით, რომლებიც უფრო ძლიერები არიან სიტყვაში. მოციქული ჰპირდება კორინთოს სტუმრობისას გამოცდის „არ ქედმაღლურ სიტყვებს, არამედ ძალას, რადგან ღვთის სასუფეველი არის არა სიტყვაში, არამედ ძალაში“ – ცხოვრებაში და საქმეში. (მუხლ. 17-20)

მესუთე და მეექვსე თავები შეიცავს ზნეობრივი ნაკლოვანების მხილებას. მთელი მესუთე თავი მიძღვნილი აქვს მემრუმე-სისხლისამრევის მხილებას, რომელმაც ცოლად მოიყვანა „თავისი მამის ცოლი“, ე.ი. უნდა ვივარაუდოთ, დედინაცვალი. პავლე კიცხავს კორინთელებს, რომ ისინი გაამპარტავდნენ „ნაცვლად იმისა, რომ გლოვობდნენ“, ე.ი. არ მართებდათ კორინთელებს მაღალი წარმოდგენები თავიანთ თავზე, მაშინ როდესაც ასეთი სამწუხარო ამბები ხდება მათ შორის. შემდგომი ცდუნებებისაგან დასაღწევად წმ. პავლე ავალებს ჯერ კიდევ თავის მისვლამდე „გადაეცეს“ „დამნაშავე“ სატანას ხორცის დასაღუპავად, „რათა სული გადარჩეს ჩვენი უფლის იესოს დღეს“ (მუხლ. 1-5). ეს არა მხოლოდ ეკლესიისაგან განკვეთაა, რომლის გარეთაც „სატანის ოლქია“, არამედ ნამდვილი სასჯელი, როგორც ამბობს წმ. იოანე ოქროპირი, მსგავსი იმისა, რაც იობს გადახდა „ცხადია, არა ერთი და იგივე ძალით“. იქ – დიდებული გვირგვინისთვის, აქ – ცოდვებისაგან განთავისუფლებისათვის, რათა სატანამ „დასაჯოს იგი ავთვისებიანი ჭრილობებით ან სხვა რაიმე სენით“. „ხორციელი ცოდვა ხორცში ისჯება – განგვიმარტავს ეპ. თეოფანე – დატანჯული ხორცი ასუსტებს ცოდვის ბორკილებს და სულს ანიჭებს გასაქანს სინანულისათვის“. „ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს?“ – ასეთი მკაცრი სასჯელი იმისთვისაა საჭირო, რათა ამ ცუდმა მაგალითმა არ გასვაროს სხვაც (მუხლ. 6). საერთოდ, ქრისტიანები „ახალი ცომი“ უნდა იყვნენ, რომელშიც

ადგილი არ იქნება არანაირი შებილწული საფუარისა, ე.ი. არანაირი ცოდვისმიერი ვნებისა. **„ვინაიდან ჩვენი პასეჟი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა. ამიტომ ვიდღესასწაულოთ არა ძველი საფუარით, არა ბოროტებისა და უკეთურების საფუარით, არამედ სიწმიდისა და ჭეშმარიტების ხშიადით“.** (მუხლ.7-8). ეს ორი მუხლი შეერთებული 13-14 მუხლებთან და გალატელთას მე-3-ე თავთან იკითხება როგორც საკითხავი დიდი შაბათის ცისკარზე. სისხლის აღრევის ცოდვასთან დაკავშირებით მოციქული ქადაგებს საერთოდ არ ვიქონიოთ არანაირი კავშირი იმათთან, რომლებიც უწოდებენ თავიანთ თავს ქრისტიანებს, არ ტოვებენ ბიწიერ ცხოვრებას: **„ასეთთან არც კი ჭამოთ“.** (მუხლ. 9-12). **„მოიშორეთ ბოროტი თქვენგან“** – მოციქული მიუთითებს, რომ ასეთი განდევნა ცოდვილისა საზოგადოების ცოდვისმიერი სიბილწისაგან განთავისუფლების გამო ნაქადაგები იყო ჯერ კიდევ ძვ. აღთქმაში (2სჯ. 27:7).

მეექვსე თავის პირველი ნახევარი მიძღვნილია წარმართულ სამსჯავროებში ურწმუნოთა წინაშე დავის მხილებას (მუხლ. 1-8), ხოლო მეორე ნახევარი შეიცავს საერთოდ ვნებიანი ცხოვრების, ნაყროვანებისა და სიძვის მხილებას. წმ. ოქროპირი შენიშნავს, რომ საკუთრივ წინარემოყვანილმა სიტყვამ სისხლისაღმრევზე შინაგანი სამსჯავროს შესახებ განაწყო მოციქული იმის შესახებ ილაპარაკოს, რომ გარეგნული ცხოვრებისეული საქმეები ქრისტიანებმა თავად უნდა გაარჩიონ, არ უნდა მიიყვანონ საქმე წარმართულ სამსჯავროებამდე, რის შემდეგაც მოციქული კვლავ უბრუნდება წინარე მაგალითს – მეძავის მხილებას და საერთოდ მგრძობარე ცხოვრებას. **„ნუთუ არ იცით, რომ წმიდები განიკითხავენ სოფელს?“** – მოციქული ამბობს, რომ „წმიდები“, ე.ი. ქრისტიანები **„განიკითხავენ სოფელს“**, ამიტომაც უღირსებაა მათგან წარმართ სამსჯავროებში მიმართვა. **„განიკითხვა“** ანუ **„განსჯიან“** იმ გაგებითაა, რომ მორმუნე ქრისტიანები გახდებიან იმათი განმსჯელნი, რომლებმაც არ ირწმუნეს. **„ნუთუ არ იცით, რომ ანგელოზები უნდა განვიკითხოთ“** – აქ იგულისხმებიან დაცემული ანგელოზები, ე.ი. დემონები. აქაც **„განვიკითხოთ“** ნიშნავს **„განესჯით“**.

შემდეგ წმ. მოციქული მიუთითებს, რომ თავისთავად ქრისტიანებისათვის ცილობა შეუფერებელია, რომელთა მოვალეობაც ძმოებაა (მუხლ.7). განსაკუთრებით დასაძრახია ეს ცილობები თუკი ისინი მიმართულნი არიან ძმის განაწყენების მიზნით, რათა წაართვა მისი კუთვნილება. აქედან კი წმ. მოციქული გადადის ყოველგვარი ცოდვის მხილებაზე, რომელიც არ უნდა იყოს ქრისტიანულ, როგორც წმიდა საზოგადოებაში (მუხლ. 8-11). ამის შემდეგ მოციქული კვლავ გადადის სიძვის მხილებაზე. ეს მუხლები 12-20 იკითხება უძღვები შვილის კვირაში. **„ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია; ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები“** – აქ საუბარია უპირველეს ყოვლისა იმის შესახებ, რომ შეიძლება ვჭამოთ ყოველგვარი სახის საკვები. მაგრამ ქრისტიანის ამ თავისუფლებაზე მოციქული ორ შეზღუდვას აკეთებს: 1 – სარგებლობა, 2 – თავი არაფრით შეზღუდოს და სხვა თავისუფლების სახელით არ დაკარგოს ნამდვილი თავისუფლება – თავისუფლება ყოველგვარი ცოდვისაგან და მიჯაჭვულობისაგან. ამიტომ ქრისტიანი უნდა გაუფრთხილდეს თავს გრძობების მონობისაგან: გემოთმოყვარეობისა და მასთან დაკავშირებული სიძვის ვნებისაგან. სიძვის დანაშაული იმაშია, რომ იგი ბილწავს სულსაც და სხეულსაც და ითვლება მკრეხელობად, ვინაიდან ჩვენი სხეულები, როგორც სულები, ქრისტეს ასოებია და ეკუთვნის ღმერთს: მეძავი კი არღვევს თავის ერთობას ღმერთთან და ბილწავს თავის სხეულს, რომელიც წარმოადგენს ჩვენში არსებული სულიწმიდის ტაძარს (მუხლ. 12-13, 15-16, 18-19). **„ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა“** – ამთავრებს წმ. მოციქული თავის მამხილებელ სიტყვას.

მეშვიდე თავით ეპისტოლეს მეორე ნაწილი იწყება, რომელიც შეიცავს დარიგებებს ზნეობრივ ქრისტიანულ ცხოვრებაში. სიძვის შესახებ უკანასკნელ მამხილებელ სიტყვასთან დაკავშირებით წმ. მოციქული უპირველესად იძლევა დარიგებებს, ეხება რა ქორწინებას და უქორწინებელ ცხოვრებას, ანუ ქალწულებას. მთელი ამ დარიგებების ძირითადი აზრი ისაა, რომ ქალწულება ქორწინებაზე მაღლაა, ამიტომაც ქრისტიანებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ; მაგრამ ვინც არ გრძნობს ძალებს მკაცრი ქალწულებრივი ცხოვრებისა, მისთვის სჯობია დაქორწინდეს, ვიდრე აღეგზნას, ე.ი. დაუმონოს სიძვის ცოდვას თავისი სული და სიძვაში ჩავარდნის მუდმივი საშიშროების წინაშე იდგეს. მაშასადამე, პირველი ზნეობრივი მიზანი ქორწინებისა – სიძვისაგან თავის არიდებაა (მუხლ. 1-2). ქმარი და ცოლი ერთმანეთს მთლიანად ეკუთვნიან და თავიანთ თავს ვერ უფლებენ: ქორწინებითი ცხოვრებისაგან თავის შეკავება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით (მუხლ. 3-6). სურს რა ყველასთვის სიკეთე, წმ. მოციქულს მაგალითად მოჰყავს საკუთარი უქორწინებლობა, როგორც საუკეთესო მდგომარეობა (მუხლ. 7-8). იმათ, რომელთაც არ შეუძლიათ უქორწინებელი ცხოვრება, უნდა დაქორწინდნენ, მაგრამ მკაცრად უნდა დაიცვან ამასთან მეუღლეობრივი ერთგულება და არ გაეყარონ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთ-ერთი მეუღლე არ არის ერთგული (მუხლ.10-24). „ურწმუნო ქმარი განიწმინდება ცოლით და ურწმუნო ცოლი განიწმინდება ქმრით, თორემ თქვენი შვილები არაწმინდები იქნებოდნენ, ახლა კი წმინდები არიან“ (მუხლ. 14). აზრი ამ ნახევრადგაუგებარი გამოთქმისა ისაა, რომ ქორწინება არ უნდა დაირღვეს იმ შემთხვევაში, რომ ერთ-ერთი მეუღლეთაგანი გახდება მორწმუნე, ხოლო მეორე დარჩება წარმართი. ასეთი ქორწინებიდან შვილები არ უნდა განვიხილოთ, როგორც „არაწმინდები“ შემდეგი გაგებით – უკანონოდ შობილნი. მოციქულის მთავარი მიზანი ისაა, რომ ოჯახების დანგრევა აიცილოს, რომელსაც შეუძლია დიდი ხმაურის გამოწვევა. 25-დან მე-40-ე მუხლების ჩათვლით მოციქული აშკარად წარმოაჩენს უქორწინებლობის უპირატესობას: უქორწინებლები თავისუფალნი არიან „ხორციელი გასაჭირისაგან“, ე.ი. ყოველგვარი სახის ჭირისა და მწუხარებისაგან, რომელიც დაკავშირებულია ქორწინებასთან (მუხლ. 25-28). დაჩქარებულმა ჩვენმა ცხოვრებამ და ქრისტეს მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს მოლოდინმა უნდა აღძრას ქრისტიანი ასეთი შინაგანი განწყობილებისაკენ, რომელთანაც „ცოლიანები იყავით, როგორც უცოლონი“ (მუხლ. 29-31). „უცოლო უფლისაზე ზრუნავს, როგორ აამოს უფალს. ხოლო ცოლიანი სოფლის საქმეებზე ზრუნვს, როგორ აამოს ცოლს“ და ა.შ. (მუხლ. 32-35) – ქორწინება მრავალ საზრუნავს წარმოშობს, რომლებიც ხელს უშლიან მთლიანად აამო უფალს, განაყენებენ ღმერთის მსახურებისაგან. ამიტომ უმჯობესია ქალწულებაში დარჩენა, თუმცა ვინც მოეკიდება ოჯახს, ამით იგი არ სცოდავს – ამთავრებს წმ. მოციქული თავის დარიგებას (მუხლ. 35-40).

მერვე თავში წმ. მოციქული იძლევა ნაკერპავის ჭამის საბაბით ქრისტიანული თავისუფლების ხასიათზე დარიგებას. ქრისტიანული თავისუფლება იმაში კი არ არის, რათა ყველაფერი აკეთო, რაც მოგეპრიანება, არამედ იმაში, რათა დაიცვა თავი სიყვარულის სახელით. სამართლიანად თვლიდნენ რა კერპებს არაფრად, კორინთელები თავისუფლად შედიოდნენ ბომონებში და მონაწილეობდნენ იქ ტრაპეზში, ჭამდნენ რა ნაკერპავს. ამით ისინი აბრკოლებდნენ იმ ძმებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ ამადლებულან იმ შეგნებამდე, რასაც კერპების არარაობა ჰქვია და რომელთა გაგებით ნაკერპავის ჭამა ნიშნავდა კერპებთან ურთიერთობაში შესვლას. **ძმათა თანდასწრებით, ნაკერპავის მჭამელთა, მათ დაუძღვრებულ** სინდისს ბღალავდა. თავისთავად „საჭმელი არ მიგვაახლოვებს ღმერთთან, ვინაიდან თუ ვჭამთ, ვერაფერს ვამატებთ, და თუ არ ვჭამთ, არაფერი გვაკლდება (მუხლ. 8), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ ცხოველური, არამედ ზნეობრივად

თავისუფალი არსება, ამიტომაც მთელ მის საქმიანობას, მათ შორის ჭამას თუ უჭმელობასაც, გარდა ფიზიოლოგიურისა აქვს ასევე ზნეობრივი მნიშვნელობაც. მაშასადამე, ყოველთვის არ არის სულერთი და უცოდველობა ჭამა ან არჭამა ცნობილი სახის საკვებისა, მაგალითად ნაკერპავისა, ან ეკლესიის მიერ დადგენილი მარხვის დროს გახსნილება. ამიტომაც მოციქული გადაწყვეტილად ასკვნის: „**თუ საჭმელი აცდუნებს ჩემს ძმას, საუკუნოდ არ ვჭამ ხორცს, რათა არ დავაბრკოლო ჩემი ძმა**“ (მუხლ. 13).

მეცხრე თავში წმ. მოციქული აგრძელებს იგივე აზრის განვითარებას ქრისტიანული თავისუფლების გონივრულად სარგებლობის შესახებ – უმაღლესი მიზნებისათვის მისი შეზღუდვის აუცილებლობაზე. აქ იგი საუბრობს თავის უფლებებზე მიიღოს მის მიერ მოქცეულ მორწმუნეთაგან ჯამაგირი, ეფუძნება რა უძველეს დადგენილებას: „**ნუთუ არ იცით, რომ წმინდანთა მსახურნი ტაძრისაგან ჭამენ? ხოლო სამსხვერპლოს მსახურნი მსხვერპლიდან იღებენ წილს.**“ (მუხლ. 13). მაგრამ თავად ნებაყოფლობით ამბობდა უარს ასეთი კანონიერი უფლებისაგან იმისათვის, რათა „**რაიმე დაბრკოლება არ შეექმნას ქრისტეს სახარებას**“ (მუხლ.12). ყველას და ყოველთვის იგი ემსახურებოდა უანგაროდ და უარობდა თავად აუცილებელს, ერთადერთი სახარების ქადაგების წარმატების გამო (მუხლ. 15-23). „**იუდეველთათვის გავხდი, როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა – რჯულის ქვეშ მყოფთათვის – როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ, როგორც რჯულის ქვეშ უმყოფელი, რათა რჯულის ქვეშ მყოფნი შემეძინა, ურჯულოთათვის – როგორც ურჯულო, თუმცა არა ვარ ღმერთის ურჯულო, არამედ ქრისტეს რჯულიერი, რათა ურჯულოები შემეძინა. უძღურთათვის გავხდი უძღური, რათა უძღურნი შემეძინა. ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მესხნა როგორმე**“ (მუხლ. 20-22). – ეს სამაგალითო წესი ე.წ. „სამოდერო პრაქტიკისა, რომელსაც ფართოდ იყენებდა მოც. პავლე, შეიწყნარებდა რა ყველა კლასის უძღურებს და მისი თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობას იმისთვის, რათა იხსნას თუნდაც ზოგიერთები. ყოველივე ზემოთქმულს წმ. მოციქული ურთავს შემდეგ კორინთელებს. მიუთითებს რა თავისთავს მაგალითად იმაში, თუ როგორ უნდა შეიკავოს თავი პირადი სურვილებისა და მონღომებებისაგან მოყვასთა სახარებლოდ, წმ. მოციქულს სურს მიდრიკოს იგივესაკენ კორინთელებიც. ამისთვის იგი იყენებს მათთვის კარგად ცნობილ ასპარეზზე მორბენალთა და მებრძოლთა მაგალითს, რომლებიც ხრწნადი გვირგვინის მისაღებად „**თავს იკავენდნენ ყველაფრისაგან**“. „**მაშ, ირბინეთ ისე, რომ მოიპოვოთ**“ – არიგებს მოციქული (მუხლ.24-25). იქ მოციქულს კვლავ მოჰყავს თავი მაგალითად, ამბობს რა, რომ იგი დარბის არა ისე, როგორც ურწმუნო და ებრძვის არა ისე, „**ვითომც ჰაერს ვგვემდე**“, ე.ი. არა ამაოდ, უმიზნოდ, არა ისე როგორც მოვარჯიშე მებრძოლები, რომლებიც ნეტ. თეოდორიტეს სიტყვებით „**ვარჯიშობენ რა, მოწინააღმდეგის ნაცვლად ჰაერის წინააღმდეგ ამოძრავებენ ხელებს**“, არამედ დარტყმას აყენებენ მტერ-ეშმაკს. მიზნის მიღწევისათვის იგი „**თრგუნავს და იმონებს თავის სხეულს, რათა სხვებს რომ უქადაგებს, თვითონ უღირსი არ დარჩეს**“. აქ ქრისტიანული ასკეტიზმის სჯულისდებაა: სხეულის მოთხოვნილებების ალაგმვის გარეშე შეუძლებელია ცოდვისმიერი ვნებების აღმოფხვრა, შეუძლებელია სულიერ ცხოვრებაში წარმატება.

მეათე თავი კვლავ მიმართულია ნაკერპავის ჭამის წინააღმდეგ. მისი მთავარი აზრი ისაა, რომ ნაკერპავის მჭამელნი ეზიარებიან ეშმაკთა ტრაპეზს. თავდაპირველად წმ. მოციქული აშინებს, კორინთელებს ღვთის საშინელ სამსჯავროს შემთხვევით ნაკერპავისაგან მიდრეკილების გამო ისრაელიანთა ძველ აღთქმისეული ისტორიიდან. აქ პირველად მნიშვნელოვანია პარალელების გავლება ისრაელიანთა და ქრისტიანთა შორის „**ჩვენი მამები ყველანი ღრუბელქვეშ იყვნენ და ყველამ გაიარა ზღვაში და ყველა მოინათლნენ მოსეს**

მიერ ღრუბელში და ზღვაში“ – გაგლა მეწამულ ზღვაში იყო ნათლობის წინასახე, ხოლო მოსე – ქრისტეს წინასახე. „და ყველანი ჭამდნენ ერთსა და იმავე სულიერ საჭმელს და სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ, ხოლო ეს კლდე იყო ქრისტე“. (მუხლ. 1-4). სულიერი საზრდო მანანა, პირველსახეა უფლის ხორცისა, ხოლო სულიერი სასმელი – წყალი, ქვიდან სასწაულებრივად წარმოდენილი წინასახეა უფლის სისხლისა. აზრი ისაა, რომ მადლმოსილი ნიჭების მიმცემი ხალხისადმი, როგორც ძველ აღთქმაში, ისე ახალ აღთქმაში იყო ერთი და იგივე ქრისტე. ეს ადგილი სამოციქულოდან იკითხება ღვთივგანცხადებაზე დიდი აიაზმის კურთხევისას.

ჩამოთვლის რა ისრაელიანთა ზნეობრივი დაცემის შესახებ და მათზე ღვთის რისხვას, მოციქული აფრთხილებს კორინთელებს წარმართთა ცდუნებების მხრიდან წამოსული განსაცდელების საფრთხისაგან, თუკი ისინი მიიღებდნენ მონაწილეობას წარმართებთან ტრაპეზში. „ვინც ფიქრობს, რომ დგას, იფრთხილოს, რომ არ წაიქცეს (მუხლ. 5-12). 15-22 მუხლებში მოციქული შეაგონებს, რომ ნაკერპავის ჭამა არის ეშმაკებთან ურთიერთობა, როგორც სატანურ ტრაპეზში მონაწილეობა, ვინაიდან „წარმართები რასაც სწირავენ, სწირავენ ეშმაკს და არა ღმერთს“ (მუხლ. 20) 23 და 33 მუხლების ჩათვლით მოციქული იძლევა მითითებას, თუ როგორ მოვიქცეთ საკვებთან მიმართებაში, რათა არ ვცოდნოთ ნაკერპავის გამოყენებით. უწინარეს, იგი კვლავინდებურად იმეორებს აზრს მე-6 თავის მე-12 მუხლისას, ამბობს რა: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ ვინაიდან კორინთელები მშვიდად მონაწილეობდნენ წარმართულ ტრაპეზში, ეყრდნობოდნენ რა ქრისტიანული თავისუფლების უფლებაზე, ბოროტად იყენებდნენ მას. მოციქული ნებას რთავს ყველაფრის ჭამის, რაც ბაზრობებზე იყიდება, რთავს ნებას ყველაფრის ჭამის ასევე, რასაც სტუმრობისას შესთავაზებენ, თუნდაც ურწმუნონი, მაგრამ „თუ ვინმე გეტყვით ეს ნაკერპავია, ნუ შეჭამთ მთქმელის გამო“ ქრისტიანი იქნება თუ წარმართი: პირველ შემთხვევაში, რათა არ ვაცდუნოთ იგი, ხოლო მეორე შემთხვევაში – რათა დაიცვა ქრისტიანული ღირსება გამომცდელისაგან. ყველა შეხედულებას მოციქული საყოველთაო წესით ფარავს: „ჭამთ, სვამთ, თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერს აკეთებთ ღვთის სადიდებლად“ (მუხლ.31) – ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ღვთის დიდებაა და ჩვენ მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უპირველესად იგი.

მეთერმეტე თავი შეიცავს მხილებას და საეკლესიო შეკრებებისას ზოგიერთი უწესრიგობის გამოსწორებას, სახელდობრ: 1) ეკლესიაში ქალების თავდაუხურობას და 2) სიყვარულის საღამოებზე არეულობას. პირველი დარიგების არსი იმაშია, რომ საზოგადო საეკლესიო შეკრებაზე ქალები უნდა ესწრებოდნენ თავდახურულები, ხოლო მამაკაცები თავდაუხურავები. წმ. ოქროპირი ამ დარიგებას იმით ხსნის, რომ კორინთოში „ქალები თავდაუხურავი და შიშველი თავით ლოცულობდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, ხოლო მამაკაცები თმებს იზრდიდნენ, მსგავსად ფილოსოფიით დაკავებულთა, და როცა ლოცულობდნენ და წინასწარმეტყველებდნენ თავს იფარავდნენ, მისდევდნენ რა ამა თუ იმ წარმართულ კანონს“. წმ. მოციქული, ხედავს რა ქრისტიანთათვის შეუფერებლად, ქალებისაგან ითხოვს თავის დაბურვას, ნიშნად თავისი დაქვემდებარებული მდგომარეობისა მამაკაცთან შედარებით, გარდა ამისა, იმ დროში წარმართი ქალები თავიანთ ბომონებში ღიად დადიოდნენ უწმინდური მიზნებით და თავღია სიარული ქალისთვის ითვლებოდა მისი უსირცხვილოების ნიშნად. გარყვნილი ქალი ისჯებოდა გარყვნილების გამო თმების გადაპარსვით, რისთვისაც მოციქული ამბობს: „თუ დედაკაცი არ დაიფარავს, გადაიპარსოს“ (მუხლ.1-6). ეპ. თეოფანე ამბობს: „თავდაპირველად მამაკაცია ღვთის ხატი, ხოლო

შემდგომ მამაკაცის ხატისაგან არის დედაკაცი, რომელიც ამიტომაც არის ხატის ხატი ანუ არის ქმრის დიდების ანარეკლი.“ **„ამიტომ დედაკაცი ვალდებულია, თავზე ჰქონდეს ხელმწიფების ნიშანი ანგელოზების გულისთვის“** (მუხლ.10). „თუკი – ამბობს წმ. ოროპირი – არ აქცევს ყურადღებას ქმარს, მაშინ ანგელოზის გრცხვენოდეს.“ ეს თავდახურვა ქალისა, მაშასადამე, არის ნიშანი მისი ქმრისადმი მორიდებულობისა და მორჩილებისა, მაგრამ ქმარი რომ არ განდიდდეს ცოლზე და ბოროტად არ გამოიყენოს თავისი თავკაცობა, მოციქული შემდგომ ამბობს: **„არც ქმარია ცოლის გარეშე და არც ცოლია ქმრის გარეშე უფალში, ვინაიდან, ისევე როგორც დედაკაცი მამაკაცისაგან არის, მამაკაციც დედაკაცის მეოხების არის, ხოლო ყოველივე ღვთისგან არის“** (მუხლ. 12) „განა ბუნება არ გასწავლით თქვენ, რომ თუკი მამაკაცი გაიზრდის თემებს, ეს უღირსებაა მისთვის?“ – ამ სიტყვებით უყვართ სარგებლობა სექტანტებს მართლმადიდებელი მღვდლების წინააღმდეგ, რომლებიც გრძელ თემებს ატარებენ, მაგრამ აქ საუბარია არა მღვდლებზე, არამედ რიგით მოწმუნებებზე და მხედველობაშია საყოველთაოდ მიღებული წესი, რომლის ძალითაც მხოლოდ ქალები იზრდიან თემებს და მამაკაცები იკვეცენ. სექტანტებს ავიწყდებათ, რომ თვით ღმერთის ბრძანებით მამაკაცები, რომლებმაც ნაზორვევლობის აღთქმა დადეს, ვალდებული იყვნენ თემები გაეზრდათ (რიცხვთა 6:5). თემების გაზრდა თანამედროვე მართლმადიდებელ მღვდლებთან და ბერებთან შეიცავს თავისთავში სწორედ ნაზორვევლობის იდეის გატარებას, ე.ი. საკუთარი თავის ღმერთისთვის მიძღვნას (მუხლ.14-16). მე-17–34-ე მუხლებში წმ. მოციქული ამხელს უწესრიგობას, მომხდარს კორინთელებთან სიყვარულის საღამოებზე. როგორც იერუსალიმში პირველქრისტიანებში ყველაფერი საერთო იყო და მოწმუნე ერთად დადიოდა სატრაპეზოდ, ასევე ეს ტრადიცია დიდხანს ინახებოდა ყველა უძველეს ქრისტიანულ თემებში.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ და წმ. ზიარების შემდეგ ყველასთვის ეწყობოდა საერთო ტრაპეზი, ამასთან მდიდრებს მოჰქონდათ (αγτβα) , ხოლო ღარიბებს, რომელთაც არაფერი გააჩნდათ, იწვევდნენ და ასეთი სახით ყველა ერთად ჭამდა პურს. ეს იყო ე.წ. „სიყვარულის სერობა“. მოციქული ამხელს კორინთელებს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ როცა ისინი იკრიბებიან ეკლესიაში **„მათ შორის დაყოფა არსებობს“**, ე.ი. ისინი იყოფიან ჯგუფებად ან ოჯახებად, ან ნაცნობებად და ავიწყდებათ ღარიბები, რითაც ირღვევა თვით ამ „სასიყვარულო სერობის“ დადგენის მიზანი. იძლევა რა განკარგულებას სიყვარულის ტრაპეზში კეთილგონივრული მონაწილეობისაკენ, წმ. მოციქული 23-32 მუხლებში საუბრობს ევქარისტის საიდუმლოს დაწესების შესახებ, რომლის დასრულებას ჩვეულებრივ მოყვებოდა სიყვარულის ტრაპეზი. ეს ადგილი იკითხება დიდი ხუთშაბათის ლიტურგიაზე. აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია განსაკუთრებით სიტყვები: **„ვინც შეჭამს ამ პურს, ან დაღვეს უფლის სასმისს უღირსად, დამნაშავე იქნება უფლის სხეულისა და სისხლის წინაშე“**. ეს სიტყვები აღსანიშნავია მათი დოგმატური მნიშვნელობით: პური ჭეშმარიტი სხეულია ქრისტესი, ხოლო ღვინო – ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი, და არა მხოლოდ სიმბოლოებია, როგორც უწმინდურად ასწავლიან პროტესტანტები და სექტანტები, ამიტომაც ამბობს შემდგომ მოციქული: **„ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ასე ჭამოს ამ პურიდან და შესვას ამ სასმისიდან.“** – ე.ი. ზიარების მსურველმა ჯერ თავი უნდა მოამზადოს, სინდისი გამოსცადოს და დაბრკოლებები გადალახოს ღირსეული ზიარებისთვის. ამისთვის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ზიარებისთვის დაწესებულია სინანული და აღსარება. ეს სრულიად აუცილებელია, ვინაიდან **„ვინც უღირსად ჭამს და სვამს თავის თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ არჩევს რა უფლის სხეულს“** (მუხლ. 27-28). 33-34 მუხლების დასასრულს მოციქული შეაგონებს, რომ სიყვარულის სერობებზე **„ერთიმეორეს დაელოდნენ“**, ე.ი. ჭამონ წესიერად, სიძუნწის გარეშე

და სხეულისადმი საყვედურების გარეშე „დანარჩენს, როცა მოვალ მაშინ მოვაგვარებ“ (მუხლ. 34) – ეს მნიშვნელოვანია: ყველაფერი მოციქულთა მიერაა – ეკლესიაში მათ მიერაა დაწესებული ყველა წესრიგი, თუმცა საღვთო წერილში ყველაფერი არ არის გადმოცემული.

მეთორმეტე თავი საუბრობს ეკლესიაში სულიერ ნაბიჯებზე. ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრება ნიშანდობლივი განსაკუთრებით მოციქულთა საუკუნეებში იყო ღვთის მადლის გამოვლინება საეკლესიო ნიჭების სახით, რომელთაც მორწმუნეები ფლობდნენ. მოციქული ჩამოთვლის აქ შემდეგ სულიერ ნიჭებს: სიბრძნის ნიჭი, ცოდნის, რწმენის, სასწაულმოქმედების, წინასწარმეტყველების, სულთა განსხახვების, ენათა ნიჭის და მათი განმარტებების ნიჭი. ამ ნიჭებს მორწმუნეთა შორის სახარების წარმატებულად ქადაგებისათვის უნდა შეეწყო ხელი. მაგრამ კორინთელთა შორის ბევრმა სული წმიდის ამ მადლმოსილ გამოვლინებებზე დაიწყო ყურება როგორც ამპარტავნებისა და განდიდებისაკენ ღტოლვის საბაბზე. ცდილობდნენ რა უფრო განსაცვიფრებელი ნიჭების დაუფლებას, ზოგიერთები ცვივდებოდნენ ხიბლში და არ ფლობდნენ რა არანირ ნიჭს, მძვინვარებდნენ, წარმოთქვამდნენ რა დაუნაწევრებელ და არავისთვის გასაგებ სიტყვებს, ხოლო ზოგჯერ გულითა და გონებით დაბინდულნი გამოთქვამდნენ ღვთისსაგებობ აზრებს, მაგ. წარმოთქვამდნენ რა იესოზე ანათემას. აქ თავს იჩენს წარმართ წინასწარმეტყველთა თითქოს პიფიის ან სიბილიის გავლენა. ხელოვნურად გამოწვეულ ცრუ აღმაფრენაში ისინი პირზე დორბლით, გაზრდილი თმებით გაჰკიოდნენ ან გაუგებარს, ან ორაზროვან გამონათქვამებს და ახდენდნენ დიდ შთაბეჭდილებას ადამიანებზე, მათთან პასუხის მეძიებლებზე. ასეთია მაგალითად თანამედროვე სექტანტები – ორმოცდაათიანელები. მოციქული აფრთხილებს ქრისტიანებს სულიერ ნიჭებზე წარმართული შეხედულებებისაგან და განმარტავს, რომ ყველა სულიერი ნიჭი ეკლესიაში არის ღვთის ერთი სულის მოქმედება (მუხლ. 3-11), ამიტომაც როგორც არ შეუძლია ღვთის გმობა სული წმიდის ზემოთაგონების ქვეშ მყოფს, ასევე არ შეიძლება მოხდეს ჯიბრი სხვადასხვა სულიერი ნიჭების მფლობელთა შორის. როგორც ადამიანის სხეულს აქვს სხვადასხვა ნაწილები და თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული განსაზღვრული დანიშნულება გააჩნია და შეუძლებელია მათ შორის ჯიბრობა, ასევე ეკლესიაში შეუძლებელია ქრისტიანებში ჯიბრობა, რომლებიც შეადგენენ ქრისტეს ერთიან სხეულს, რომელშიც ყველას დავალებული აქვს თავისი განსაკუთრებული მსახურება: ზოგიერთს მოციქულეობრივი, ზოგს წინასწარმეტყველური, მესამეთ მასწავლებლური, ზოგიერთმა სასწაულმოქმედების ნიჭი მიიღო, ზოგმა – კურნების, მართვის, სხვადასხვა ენების ცოდნის (მუხლ. 12-30). მოციქული კორინთელებს ურჩევს „დიდ ნიჭებს“ მიეშურონ! ყველაზე დიდი კი ნიჭთაგან სიყვარულის ნიჭია, სწორედ მას ეძღვნება შემდეგი თავი.

მეცამეტე თავი სამართლიანად იწოდება ზოგიერთების მიერ „ქრისტიანული სიყვარულის საოცარ ჰიმნად“. მხოლოდ ერთი სიყვარული ანიჭებს ადამიანს სულიერ ნიჭებს და აძლევს ჭეშმარიტ აზრს და ფასს. უსიყვარულოდ ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს ყველა ადამიანურ ენაზე და ანგელოზების ენაზეც კი, მაგრამ მისი საუბარი იქნება თუ არა „რვალის ჟღარუნი და წინწილის ჩხარუნი“. სიყვარულის გარეშე ადამიანი – არააობაა, თუნდაც წინასწარმეტყველების უნარი რომ გაუჩნდეს და ყველა იღუმალებას ფლობდეს და ყველანაირი შემეცნებაც რომ ჰქონდეს, ისეთი რწმენაც რომ გააჩნდეს, მთები დაძრას ადგილებიდან. უსიყვარულოდ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ისეთ თავგანწირულ ღვაწლსაც კი, როგორცაა მთელი თავიანთი ქონების დარიგება და საკუთარი სხეულის დასაწველად გადაცემა. 4-7 მუხლები მიძღვნილი აქვს სიყვარულის დახასიათებას. სიყვარულის თვისება ისეთია, რომ იგი ჭეშმარიტად ითვლება მთელი სჯულის აღსრულებად, წმ. მოციქულ რომ. 13:10-ში გამოთქმით.

ეს – დიდხანს თმენაა, არავერცხლისმოყვარეობაა, უშურველობაა, არყოყნობაა, არამპარტავნობაა, არმრისხანებაა, წყენის მიტევებაა და შეურაცხყოფის ატანაა, სიმართლის სიყვარულია, სრული რწმენაა, მტკიცე იმედი და ყოველივე ჭირვარამის დათმენისთვის სრული მზადყოფაა. ქადაგება, ენათა ცოდნა მხოლოდ დროებით აუცილებელი ნიჭებია, ხოლო სიყვარული დარჩება მუდმივად. იგი „არასოდეს მთავრდება“ (მუხლ. 8-10). იმათ შეიძლება ვუწოდოთ ყრმის ტიტინს, აზრებსა და განსჯას, ხოლო სიყვარული არის სრულყოფილი ადამიანის საკუთრება, როცა იგი ხედავს არა როგორც გამჭვირვალე მქრქალ მინას, არ მარჩიელობით, არამედ პირისპირ და შემეცნებს ღმერთს არა ნაწილობრივ, არამედ სრულიად. ზუსტად ისე როგორც ამჟამად ცნობენ ადამიანებს (მუხლ. 11-12). „ახლა კი რჩება რწმენა, სასოება, სიყვარული – ეს სამი, მათგან უდიდესი კი სიყვარულია“ (მუხლ. 17) – ეს სამი ყველაზე უმაღლესი ნიჭებია, მაგრამ მათგან ყველაზე უმაღლესი სიყვარულია, იმიტომ რომ, როგორც წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს, „რწმენა და იმედი შეწყდება, როცა ვლინდება რწმენისა და იმედის შემადგენელი საგანი, მადლი“. (ე.ი. მომავალ საუკუნეებში). „მომავალ საუკუნეში ზედმეტია რწმენა – ბრძანებს ნეტ. თეოდორიტე – როცა ცხადი შეიქმნება საგნები. ასევე ზედმეტია იქ იმედიც“. მაგრამ სიყვარული იქ უფრო შევა ძალაში, როცა დაწყნარდება ვნებები, სხეულები იქცევიან გაუხრწნელნი, ხოლო სულები არ გამოირჩევენ აწ ამას, ხოლო ხვალ სხვას“.

მეთოთხმეტე თავში წმ. მოციქული საუბრობს ორი სულიერი ნიჭის სარგებლობის შესახებ, წინასწარმეტყველებისა და ენათა ნიჭების შესახებ. თავდაპირველად, 1-15 მუხლებში, იგი გვიხსნის პირველი ნიჭის მეორეზე უპირატესობას, შემდეგ 26-38 მუხლებში გვარიგებს, თუ როგორ ვისარგებლოთ ამა თუ იმ ნიჭით ეკლესიაში. 30-40-ე მუხლებში აკეთებს დასკვნას ამ ორივე ნიჭზე, ხაზს უსვამს რა, რომ ეკლესიაში ყველაფერი უნდა იყოს „შესაფერისად და წესიერად“. წინასწარმეტყველების უპირატესობა ენათა ნიჭებზე ისაა, რომ ვინც წინასწარმეტყველებს, ე.ი. გასაგებად გადმოსცემს ღვთის ნებას, არა მხოლოდ მომავალზე, არამედ წარსულზეც და აწმყოზეც, ის ესაუბრება ხალხს დამოდვრით, დარიგებით, სანუგეშებლად, ხოლო უცხო ენაზე მოსაუბრის არავის ესმის, გარდა იმ ენის მცოდნისა. იმ ენის არმცოდნეთათვის ასე ამბობს – ნიშნავს „ჰაერში ილაპარაკებს“. ეს იგივეა, რაც სხვადასხვა ინსტრუმენტების დარღვეული სიმების ხმების ჟღერა (მუხლ. 7-9), უსაზღვრო გატაცება უცხო ენების ნიჭით არის ბავშვური გატაცება, შეუფერებელი სრულყოფილი ქრისტიანისათვის. ამიტომაც გვარიგებს მოციქული: „ნუ იქნებით ბავშვები გონებით. მხოლოდ ბოროტებისთვის გახდით ბავშვები, გონებისთვის კი სრულწლოვანნი იყავით“ (მუხლ. 20). ამ სიტყვების აზრი იგივეა, რაც ქრისტეს სიტყვებისა: „იყავით გონიერნი, როგორც გველნი, და უმანკონი, როგორც მტრედნი“ (მთ. 10:16). ე.ი. ნუ გეცოდინებათ ბოროტება, როგორც არ იციან ეს ყრმებმა, მაგრამ გონებით იყავით სრულყოფილნი. ასეთი ბავშვური გართობა უცხო ენებით არის მორწმუნეთა უპატივცემულობაც კი (მუხლ. 22), და საბაბის მიცემა ურმუნოსაგან დაცინვის (მუხლ.23). საერთო წესი განსაკუთრებული მადლმოსილი ნიჭების ყველა მფლობელისათვის არის: „ყოველივე ეს ხდებოდეს აღსაშენებლად“, ე.ი. ყველაფერი უნდა იყოს საერთო, დამოდვრისათვის მიმართული (მუხლ. 26). თუ ვინმეა უცხო ენაზე მოლაპარაკე, მაშინ ყველაფერი ერთად, სწრაფად კი არ უნდა წარმოთქვას, არამედ ერთი უნდა განმარტავდეს; წინასწარმეტყველებანიც უნდა ისწავლებოდეს რიგ-რიგობით და მაშინვე უნდა შეწყვიტოს სიტყვა, როცა სხვები მიიღებენ განცხადებას, რათა არ მოხდეს ეკლესიაში უწესრიგობა, ვინაიდან „ღმერთი უწესრიგობის კი არ არის, არამედ მშვიდობისა“ (მუხლ. 27-33). „დედაკაცებმა იყუჩონ ეკლესიებში“ (მუხლ. 34) – ქალებს ასწავლის მორიდებულებას და მორჩილებას ქმრისადმი, წმ. მოციქული უკრძალავს მათ არა მხოლოდ ეკლესიაში სწავლებას, არამედ რაიმეს შესახებ

კითხვასაც კი: „ვინაიდან სამარცხვინოა დედაკაცისთვის ეკლესიაში ლაპარაკი“ (მუხლ.35). დასასრულს, მოციქული გვთავაზობს მოშურნობას წინასწარმეტყველების ნიჭზე, მაგრამ არ გვიკრძალავს უცხო ენებზე ლაპარაკსაც, შეგვახსენებს, რომ მთავარია ეკლესიაში – მოხდეს ყველაფერი შესაფერისად და წესიერად (მუხლ. 40).

მეთხუთმეტე თავი წარმოადგენს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ტრაქტატს დოგმატურ მიმართებაში მკვდრების აღდგომის შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ კორინთოს ქრისტიანებს შორის წარმართი ფილოსოფოსების გავლენით ჩნდებოდა ეჭვები მკვდართა აღდგომის დიდ ჭეშმარიტებაში. როცა მოც. პავლემ დაიწყო საუბარი ათენში მკვდართა აღდგინების შესახებ, მაშინ ზოგიერთები დასცინოდნენ მას (საქმ. მოც. 17:32). მსგავსი ფილოსოფოსები, რომელთაც მკვდართა აღდგომა დაუჯერებლად ეჩვენებოდათ, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ კორინთოში. ერთნი საერთოდ უარყოფდნენ მკვდრების აღდგომას, სხვები ამბობდნენ, რომ ეს ალევგორიულად უნდა გავიგოთ და რომ ეს უკვე იყო, რამდენადაც სულების განწმენდა უნდა ვიგულისხმოთ. ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეში (2ტიმ. 2:17-18) წმ. პავლემ ამ უწმინდურ სწავლებს განგრენა უწოდა და მის გამავრცელებლებს მიუთითა - იმენევსს და ფილიტას, რომლებიც ამბობდნენ, რომ აღდგომა იყო. ზოგიერთები მხოლოდ გონს ვერ მოდიოდნენ, როგორ აღსდგებიან მკვდრები და როგორ სხეულში. უპირველესად წმ. მოც. ამტკიცებს უფლის იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტებას, ესესხება რა მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს პეტრესადმი, 12 მოციქულისადმი, 500 ძმისადმი, მოც. იაკობისადმი, ქრისტეს სხვა მოწაფეებისადმი გამოცხადებას და საბოლოოდ თვით მოც. პავლესადმი (მუხლ. 1-8). ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებიდან წმ. მოც. პავლეს გამოჰყავს, როგორც გარდაუვალი შედეგი, ჭეშმარიტება და საყოველთაო აღდგომა ღმერთის მიერ წინასწარგანსაზღვრულ დროს, ვინაიდან ქრისტემ თავისი აღდგომით საფუძველი ჩაუყარა ჩვენ აღდგომას, როგორც „განსვენებულთა მთავარი“ (მუხლ. 20). თუკი დაგუშვებთ აზრს, რომ საყოველთაო აღდგომა არ იქნება, მაშინ უნდა უარყოთ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება. ხოლო ეს უარყოფა ამხობს მთელ ქრისტიანობას, ვინაიდან „ქრისტე თუ არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც“ (მუხლ. 14). **ამასთან ერთად, მოციქულთა ქადაგებას თან ახლდა ეგ ზომ გამაოგნებელი ნიშნებითა და ასეთივე სულიწმიდის ნიჭებით, რასაც იმავე წოდებას ვერავინ გონიერი ადამიანთაგანი ვერ გაბედავდა.** „ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ“ (მუხლ.17), „მაშინ ისინიც დაღუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს და თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში, ვართ ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ“ (მუხლ. 18-19), ვინაიდან, რაზე ეფუძნება რწმენა ცოდვათა მიტევებისა? იმაზე, რომ ქრისტემ, ჯვარზე ვნებულმა, მიიტანა მათთვის გამომხსნელი მსხვერპლი, ხოლო ის, რომ ეს მსხვერპლი მიღებულა, ეს დამოწმებულია მისი აღდგომით. თუ ის არ აღდგა, მაშინ მისი მსხვერპლი არ არის მიღებული და მისი სიკვდილი – ჩვეულებრივი ადამიანური სიკვდილია, რომელსაც არ შეუძლია ჰქონდეს გამომსყიდველი მნიშვნელობა. მაშინ რწმენაში აღსრულებულნი და ქრისტესათვის წამებულნი – არანაკლებ საცოდავნი არიან, როგორც დაღუპული ადამიანები. მაშინ ქრისტიანები უფრო უბედურები აღმოჩნდებიან უბედურ ადამიანთა შორის: აქაც ყველაფრის გარეშე, დევნილნი, თავშეკავებულნი და იქაც, მომავალ ცხოვრებაშიც, რაზეც იმედოვნებენ, ვერაფერს მიიღებენ. მაშინ არანაირი აზრი არ აქვს იხელმძღვანელო ზნეობრივი წესებით ცხოვრებაში და ებრძოლო ცოდვისმიერ მიდრეკილებებს. მაშინ მეტი აზრი ექნება იხელმძღვანელო ეპიკურეთა წარმართული სკოლის წესებით: „გჭამოთ და ვსვათ, რადგან ხვალ დავიხოცებით!“ (მუხლ. 3). მაშასადამე, მკვდართა აღდგომის უარყოფა არის მთელი ქრისტიანული ზნეობის რღვევა.

შემდგომ მოციქულს ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებიდან გამოჰყავს ჭეშმარიტება მკვდართა საყოველთაო აღდგომისა, ვინაიდან ქრისტე – მამამთავარი, მის მიერ განახლებული კაცობრიობისა, ახალი ადამია: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში“ (მუხლ. 20-28). შემდეგ მოციქული ამბობს, რომ მკვდართა აღდგინების ჭეშმარიტების უარყოფამ მიგვიყვანა ნათლობის წესის უარყოფის ცნებამდე, რომელსაც არანაირი აზრი არ ექნებოდა, ყველანაირი შრომა და ღვაწლი მოციქულთა იქნებოდა ამაო და ყოველგვარი ზნეობრიობა დაემხოებოდა (მუხლ. 28-32). სურს რა დაიცვას კორინთელები მათთვის წარმართებთან ურთიერთობის ზიანისაგან, რომლებიც, როგორც ჩანს, რყვნიდნენ მათ უკვდავებისადმი ურწმუნოებით, მოციქული იყენებს უძველეს ანდაზას: „ცუდი საზოგადოებანი ხრწნიან კეთილ ჩვევებს“ და არხვენს მათ, რომ „არ იცნობენ ღმერთს“, ე.ი. წარმართულად ვერ წარმოედგინათ ღვთის ყოვლისშემძლეობა, რომელსაც შეუძლია მკვდრების აღდგინება (მუხლ. 33-34). 35-53 მუხლებში საუბრობს მოციქული მკვდრების აღდგინების სახეზე: თავდაპირველად იგი წყვეტს საკითხს, როგორ აღდგებიან მიცვალებულთა სხეულები, ე.ი. როგორი ძალით (მუხლ. 36-38), შემდეგ – როგორი სახით აღდგებიან ისინი (მუხლ. 39-50), და ბოლოს, როგორ მოხდება თავად აღდგომა (მუხლ. 51-53). პირველ კითხვას მოციქული წყვეტს იმით, რომ ადამიანის სხეულს ადარებს ხორბალს. როგორც ხორბალი, რათა მოსცეს ნაყოფი, უნდა გაიხრწნას, ასევე მიცვალებულ ადამიანთა სხეულების გახრწნა არ უნდა იქნეს განხილული როგორც წინააღმდეგობა მათი აღდგომისათვის ღვთიური ძალით. მეორე კითხვაზე, მოციქული პასუხობს, რომ აღმდგარ ადამიანთა სხეულები იქნება განსხვავებული ახლანდელ გაუხეშებულ სხეულებთან: ეს სხეულები იქნებიან „სულიერნი“, მსგავსნი აღმდგარი ქრისტეს სხეულისა. ისინი იქნებიან უხრწნელები, ვინაიდან „ხორცსა და სისხლს არ ძალუძთ ღვთის სასუფეველის დამკვიდრებაც და ხრწნაც ვერ დაიმკვიდრებს უხრწნელებას (მუხლ. 50). ამიტომაც „ყველანი არ განვისვენებთ, მაგრამ ყველანი შევიცვლებით“ (მუხლ. 51), ე.ი. ისინი ვინც იცოცხლებენ საყოველთაო აღდგომის მომენტში, უცვებ შევიცვლებიან და მათი სხეულებიც იქცევიან სულიერად და უხრწნელად. „ხრწნადი უხრწნელებით შეიმოსება და ეს მოკვდავი – უკვდავებით“ (მუხლ. 53). ყველა ეს სულიერი სხეული განდიდდება სხვადასხვა ხარისხში, თითოეული ადამიანის ზნეობრივ სრულყოფილებასთან დამოკიდებულებაში. თავის აზრს მიცვალებულთა აღდგომის შესახებ ასრულებს წინასწარმეტყველ ისაიას საზეიმო სიტყვებით – იმაზე, რომ „ოდესღაც სიკვდილი შთაინთქმება ძლევიტ“, და ოსიას სიტყვებით: „სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლევა?“ (ის. 25:8 და ოსია 13:14) და ღვთისადმი მადლიერებით, რომელიც გვანიჭებს სიკვდილზე გამარჯვებას, რის შემდეგაც შეგვაგონებს, ვიყოთ მტკიცენი და ურყეენი ქრისტიანულ რწმენაში და ცხოვრებაში, ვიცით რა „ფუჭი არაა თქვენი შრომა უფლის წინაშე“ (მუხლ. 54-58).

მეთექვსმეტე თავში იძლევა დარიგებას იერუსალიმელ ქრისტიანთათვის შესაწირავის აკრეფისა. შემდეგ ჰპირდება თავად კორინთოში მიისვლას ეფესოდან მაკედონიის გავლით, თხოვს მეგობრულად მიიღონ ტიმოთე, კვლავ სიფხიზლეს, მედგრად და მტკიცედ დგომას რწმენაში შეაგონებს, გადასცემს მოკითხვას ასიის ეკლესიიდან, კილასა და პრისკილასაგან და ყველა ძმისაგან, ხოლო იმათ, ვისაც არ უყვართ უფალი იესო ქრისტე, გადასცემს „ანათემა – მარანათას“, რაც ნიშნავს: „დაე, განიკვეთოს უფლის მოსვლამდე“. აი, საიდან ფუნდება ის „ანათემა“, რომელიც წარმოითქმება ჩვენს ტაძრებში მართლმადიდებლობის შვიდეულში. ასრულებს ეპისტოლეს ჩვეულებრივი მოციქულებრივი კურთხევით.

წმ. მოც. პავლეს კორინთელთა მიმართ II ეპისტოლე

ეპისტოლეს დაწერის საბაბი

მანამ სანამ კორინთოში გაემგზავრებოდა წმ. მოც. პავლეს სურდა გაეგო, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა პირველმა ეპისტოლემ. გარდა ამისა, მას სურდა ადრე იქ გაგზავნილ ტიმოთეს მისცეს შესაძლებლობა დაასრულოს იერუსალიმელი ქრისტიანებითვის მოწყალების აკრეფა (1კორ. 4:17). ამავდროულად, იგი ვარაუდობდა ეფესოში ცოტა ხნით დარჩენას, რათა დაასრულოს იქ თავისი მისია, რომ მეტი დრო მიუძღვნას კორინთელებს. ერთი მხრივ, დიმიტრი ვერცხლისმჭედელის აღშფოთებამ აიძულა მოციქული დაეტოვებინა ეფესო დაუყოვნებლივ. მაშინათვე კორინთოში წასვლა ადრე იქნებოდა, ვინაიდან ტიმოთეს შესაწირვით იქ დარჩენა აღარ შეეძლო, ხოლო მთავარი – მოციქულმა არ იცოდა პირველი ეპისტოლეს შედეგები. ამიტომაც მან გააგზავნა კორინთოში მეორე თავისი მოწაფე ტიტე, ხოლო თვით გაემგზავრა ტროადაში, მისცა ტიტეს მითითება დაბრუნდეს მასთან ცნობებით კორინთოში მომხდარის შესახებ. მოციქულის მომლოდინე მდგომარეობა ტროადაში იმდენად დაძაბული იყო, რომ იგი არ ჰქონდა რა, თავისი გამოთქმით (2კორ. 2:12-13), სულის სიმშვიდე, წავიდა მაკედონიაში, რათა მალე შეხვდეს ტიტეს. ტიტესთან მაკედონიაში შეხვედრამ დაამშვიდა წმ. მოციქული პავლე. აქვე შეხვდა ტიმოთესაც, რომელიც კორინთოში მიემართებოდა. ტიტემ აცნობა წმ. მოციქულს ბევრი სასიხარულო იმ მოქმედების შესახებ, რომელიც მოახდინა კორინთელებზე მისმა პირველმა ეპისტოლემ, მაგრამ რაღაც არასასიმოვნოც. ყველა ამ მიღებულმა ტიტესაგან ცნობებმა კორინთოში მდგომარეობის შესახებ წმ. პავლეს საბაბი მისცა დაეწერა II ეპისტოლე. ეს ცხადად ჩანს თავად ეპისტოლედან (თ.7 მუხლ. 6-16).

წმ. ტიტემ აცნობა მოციქულს, რომ მისმა პირველმა ეპისტოლემ კორინთელებში გამოიწვია „ძლიერი დამწუხრება ღვთის გულისათვის“, რომელმაც მიიყვანა ისინი სინანულისაკენ, გააღვიძა შიში ღვთისა და სურვილი გამოსწორებისა (2კორ. 7:11) და აღუძრა სიძულვილი ყოველგვარი უწმინდურისადმი – წარმართულისადმი. მაგრამ სხვა მხრივ, წმ. ტიტემ აცნობა მოციქულს ისიც, თუ როგორ ცდილობენ ჯიუტი მოწინააღმდეგენი მოციქულის ავტორიტეტის დამცირებას კორინთელებში. ისინი ცდილობდნენ რაღაც მნიშვნელოვანი მნიშვნელობის მინიჭებას კორინთელთა თვალში იმაზე, რომ მაგალითად, მოციქულმა არაერთხელ შესცვალა თავისი გეგმა კორინთელებთან სტუმრობისა (2კორ. 1:16, 1კორ. 16:3,6,7). აქედან მათ სურდათ გაეკეთებინათ დასკვნა, მოციქულის განწყობა არამდგრადია, ცვალებადია, ამიტომაც თვით მისი სწავლებისადმი, როგორც სუსტი მოაზროვნისა და არასერიოზული ადამიანისა, ნდობა არ შეიძლება. წმ. პავლეს თავმდაბლობა და მისი არაჩვეულებრივი მორიდებულობა, მისი კორინთოში ყოფნის დროს გამოვლენილი, მათ გამოიყენეს როგორც მისი სისუსტის სულმოკლეობის ნიშნები. „წერილებში ის მძიმე და ძლიერია – ამბობდნენ ისინი – მაგრამ როდესაც პირადად იმყოფება, სუსტია და მისი სიტყვაც არარაობაო“ (2კორ. 10:10). ამას არ შეეძლო არ აედევლებინა მოციქული, ვინაიდან ჩირქს სცხებდა არა მხოლოდ მის პიროვნებას, არამედ მის მიერ ნაქადაგებ მოძღვრებას. ამიტომაც იგი თვლიდა აუცილებლად, განემარტა კორინთელებისთვის მასზე უსაფუძვლოდ გავრცელებული ხმები. ტიტემ იმის შესახებაც შეახსენა, რომ ყველა კორინთელი არ მოსულა გონს, რომ ზოგიერთები, ღრმად გასვრილნი უწმინდურებაში, სიძვაში და გარყვნილებაში, არ ფიქრობენ გამოსწორებას (2კორ. 12:20-21). მათ ეკისრებოდათ მთელი ძალით შეგონება სინანულისაკენ, ვინაიდან როგორც გამოთქვამს წმ. მოციქული მეორე ეპისტოლეში „რათა არ მოვიქცე მკაცრად იმ ძალაუფლებისამებრ, რომელიც უფალმა მომცა აღსაშენებლად და არა დასანგრევად“. (13:10)

გარდა ამისა, მოციქულს სურდა განეწყო კორინთელები გულკეთილი შესაწირავებისათვის პალესტინელი ქრისტიანებისადმი, რათა მათ გამო არ შერცხვეს მაკედონელთა წინაშე, ვინაიდან მოციქულმა, მისი სიტყვისამებრ, ადრე შეაქო ისინი მათი ქველმოქმედებით (2კორ. 9:4).

ყველა ამ სურვილმა აღძრა წმ. მოციქული დაეწერა II ეპისტოლე კორინთელთა მიმართ.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი

საქმის მიმდინარეობიდან ჩანს, რომ ეს ეპისტოლე დაწერილია იგივე 58 ან 59 წელში, როგორც პირველი ეპისტოლე. ხოლო დაწერის ადგილი უჭკველად მაკედონია იყო, უფრო სავარაუდოდ, ქალაქი ფილიპე, რაც თავად ეპისტოლედან ჩანს (2კორ. 2:12-13; 7:5-7; 8:1-6; 9:2-4). ეპისტოლე გაიგზავნა ტიტეს და სხვა ძმის, „რომელსაც ყველა ეკლესიაში აქებენ სახარების ქადაგებისათვის“; (2კორ. 8:18), როგორც ჩანს, ლუკას მეშვეობით.

ეპისტოლეს შინაარსი და შედგენილობა

მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ შეიცავს 13 თავს და შინაარსით იყოფა შემდეგ ნაწილებად:

1. შესავალი, რომელიც ამასთან ერთად შეიცავს ჩვეულებრივ მოკითხვასაც და კეთილ სურვილებსაც (1:1-11);
2. თეოკრატიული ნაწილი, სადაც წმ. მოციქული გადმოგვცემს მიზეზებს, რომელთა გამოც არ შეეძლო კორინთოში მისვლა (1:12; 2:11), შემდეგ განიხილავს მის მიერ ნაქადაგები მოძღვრების სიმაღლეს (2:12-7:1) და ბოლოს, უბრუნდება რა წინა საუბარს, გამოთქვამს სიხარულს, რომელიც ტიტეს დაბრუნებამ მიანიჭა და ყველაფრისადმი, რაც დაინახა და რასაც იგი შეხვდა კორინთოში (7:2-16).
3. პრაქტიკული ნაწილი მიძღვნილი აქვს იერუსალიმელი ძმებისთვის მოწყალების აკრეფის შესახებ განხილვას – თავები 8 და 9.
4. თავდაცვითი ნაწილი მიძღვნილი აქვს მოციქულს თავისი მქადაგებლური საქმიანობისა და თავისი მაღალი მოციქულებრივი ღირსების დაცვას – თ. 10–13:10.
5. დასასრული სამი მუხლი (13:11-13) შეიცავს დარიგებას მშვიდობისა და ერთსულოვნების შესახებ, მოკითხვასა და წმ. მოც. პავლეს კურთხევას.

კორინთელთა მიმართ II ეპისტოლეს ეგზეგეტიური განხილვა

მთელი ეპისტოლე გამსჭვალულია ტანჯვა-წუხილის გრძნობით, რომელიც მოციქულის სულს მოციქულებრივი მსახურების მძიმე პირობებით აწევს, მაგრამ ეს ჭირ-ვარამი არ თრგუნავს მოციქულს იგი რწმენის ძალით და თავისი საქმის სამართლიანობის იმ შეგნებით და თავისი მოვალეობის სიწმიდით არის გაზავებული, როგორც წმ. მოც. პავლეს მუდმივი გამორჩეული ნიშნით ახასიათებდა.

ეპისტოლე იწყება ჩვეულებრივი წანაწერით თავად მოც. პავლეს და მისი მოწაფის ტიმოთეს სახელით და მოციქულებრივი კურთხევის გადაცემით არა მხოლოდ კორინთელებზე, არამედ აქაიას ყველა ქრისტიანზე. შემდეგ ამყარებს კორინთელების ნუგეშსა და ხსნაზე და, მოციქული გადმოსცემს ასიაში თავს გადამხდარ სასიკვდილო საშიშროების შესახებ, რომელთაგან იგი დაიფარა უფალმა კორინთოს ეკლესიის ღოცვით (მუხლ. 1-11). I თავის 12-ე მუხლიდან და მეორე თავში წმ. მოციქული აუწყებს კორინთელებს მცირე ასიაში მათ მიერ გადატანილი დევნისა და უბედურებების შესახებ, განუმარტავს მათ მიერ

კორინთოს სტუმრობის დაგვიანებას მათი მონანულთა ხედვის სურვილით და გამოხატავს სიხარულს იმის გამო, რომ მათ უკვე დაიწყეს მუშაობა თავიანთი ზნეობრივი გამოსწორებისათვის. I თავის 17-20 მუხლებში წმ. მოც. ედავება ცილისმწამებლებს, რომლებიც ბრალს დებდნენ მას ცვალებადობაში და ამით ჩრდილს ცხებდნენ თვით მის ქადაგებას, როგორც ისეთივე ცვალებადს, ცრუს და უთავბოლოს. „მოწმეა ღმერთი, რომ ჩვენი სიტყვა თქვენს მიმართ არ ყოფილა ჰოც და არაც, ვინაიდან ძე ღვთის იესო ქრისტე, რომელსაც თქვენს შორის ვქადაგებდით ჩვენ – მე, სილოანე და ტიმოთე, არ იყო „ჰოც“ და „არაც“, არამედ „ჰო“ იყო მასში... ღვთის სადიდებლად ჩვენს მიერ“ (1:18-20). ამ სიტყვების არსი ის არის, რომ წმ. პავლეს ქადაგება ისეთივე მტკიცე და უცვლელია, როგორც თვით იესო ქრისტე. „ის, რომელიც თქვენთან ერთად გვამტკიცებს ქრისტეში და რომელმაც გვცხო ჩვენ, ღმერთია, რომელმაც აღგვებჭდა კიდევ და მოგვცა ჩვენ გულებში სულის საწინდარი“. (მუხლ. 21-22) – აქ საუბარია მირონცხების საიდუმლოზე, რომლის აღსრულებისთვისაც ფორმულად აღებულია სიტყვები: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“. მოციქულის ამ სიტყვების არსი ასეთია: იმის, რომ ჩემს მიერ ნაქადაგები სწავლება ნამდვილია, მტკიცებულებად გვაქვს თქვენს მიერ მიღებული სული წმიდის მადლის ბეჭედი მირონცხებით. „მე მოვეუხმობ ღმერთს ჩემი სულის მოწმედ...“ – ეს სიტყვები მოწმობენ ფიცის დაშვებაზე მნიშვნელოვან მომენტებში. (მუხლ. 23). ფიცით იმოწმებს რა ღმერთს, წმ. მოციქული უხსნის მოციქულებს მათთან მისვლის დაგვიანების ჭეშმარიტ მიზეზს, რომ თვით კორინთელების დასახოგავად, იგი არ მიდიოდა მანამ, რათა არ მოქცეოდა მათ ისე, როგორც შეიძლებოდა რომ მოქცეულიყო, „ებატონა მათ რწმენაზე“, ე.ი. ეფიქრა მთელი თავისი სიმკაცრით გამხდარიყო მათი რელიგიური ცხოვრების სრული ლიდერი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოციქულს სურდა თავად მათ გამოესწორებინათ თავიანთი ცოდვები, რათა მათი მოციქულთან შეხვედრა სასიხარულო ყოფილიყო.

იგივეზე საუბრობს მოციქული **მეორე თავში**. მას არ სურდა კორინთელებთან მისვლა „დასამწუხრებლად“, ამიტომაც შესთავაზა მათ თავად ეწარმოებინათ მსჯავრი იმათზე, ვინც მან და ისინი დაამწუხრა, გაანაწყენა, ე.ი. სისხლისაღმრევზე. მაგრამ რამდენადაც შემაწუხებელმა მოინანია, ამიტომ მოციქულმა აპატია მას, „რათა იგი მეტისმეტმა ნაღველმა არ შთანთქას“ და რათა არ გაიმარჯვოს სატანამ.